

რუსი პოლიტტექნოლოგები „ხავერდოვანი რევოლუციების" პროგნოზირებას ცდილობენ

A5



"თქვენი აფხაზეთი"

A8



გზაზე

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 18 მაისი, 2005 წელი. №109 (969)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### საპარლამენტო არჩევნების გენერალური რეპეტიცია



კვირას აფხაზეთში, ორ საარჩევნო ოლქში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

A2

## საზოგადოება

### „ჰილტონი" ბურჯებზე



ძველი თბილისის არქიტექტურაში კლდოვან ადგილებზე განლაგებული სახლები ჰარმონიულად არის შერწყმული გარემოსთან. ქართველი არქიტექტორი გიორგი ჩახავა ტრადიციის გაგრძელებას და დღეს აუთვისებელი ტერიტორიების მშენებლობისთვის გამოყენებას აპირებს. პროექტით ჰოლანდიური სამშენებლო კომპანია და "ჰილტონის" სასტუმროების ქსელი დაინტერესდა.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 18/05 | 19/05 | 20/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 23 | 27 |
| ქუთაისი | 26 | 27 | 30 |
| ბათუმი | 24 | 24 | 27 |
| სოხუმი | 26 | 26 | 27 |
| ფოთი | 26 | 26 | 28 |
| ზუგდიდი | 28 | 28 | 30 |
| გორი | 21 | 22 | 25 |
| ახმეტა | 22 | 23 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8201 |
| ევრო | 2.3012 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.3455 |
| რუბლი | 0.0650 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |



# სად წავლენ რუსული ბაზები?

სოფო ბუკია

*ქართული მხარე აბსურდულს უწოდებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტების განცხადებებს, ახალქალაქიდან და ბათუმიდან გაყვანილი რუსული სამხედრო ბაზების მიღებისათვის მზადყოფნის შესახებ.*

საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო ბაზების გამო გაჩაღებულ პოლიტიკურ ფრონტზე რამდენიმედღიანი სიწყნარეა. ქართული მხარე კვლავ აგრძელებს მოსკოვიდან მიღებული "დამაიმედებელი დოკუმენტის" დეტალურ შესწავლას. რუსეთის საგარეო უწყებაში კი თბილისიდან მიღებულ საპასუხო წინადადებებს უკირკიტებენ.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ქართულ-რუსული მოლაპარაკებები მომავალი ორშაბათიდან თბილისში გაგრძელდება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*რუსულმა ბაზებმა საქართველოში სამხედრო ფუნქცია პრაქტიკულად დაკარგეს, მათი შემადგენლობა დემორალიზებულია - ამას თვით სომეხი ექსპერტებიც აღიარებენ.*

## გარდაუვალი ისტორიული პროცესი

### ასე აფასებს სააკაშვილი საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის შესაძლო დასასრულს

ნინო გომართელი

*გუშინ ვარშავაში ევროპის საბჭოს ვარშავის დასკვნითი სესია გაიმართა, რომელზეც მონაწილეები ევროსაბჭოსა და სხვა პარტნიორ ევროპულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთხელშეწყობის წახალისებაზე მსჯელობდნენ. სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა სამიტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ ადამ დანიელ როტფელერმა და ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ დიმიტრი რუპელმა ერთობლივი განცხადება მიიღეს. აღიარეს რა ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობების ადაპტაციის საჭიროება, ერთმანეთს მოუწოდეს თანამშრომლობის გაუმჯობესებისკენ, პირველ რიგში, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტერორიზმისა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, შემწყნარებლობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედება.*
*ვარშავაში, გუშინვე, საქართველოს პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც საუბრის ძირითადი თემა ქვეყანაში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა – კონფლიქტები იყო.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ქართული პლაცდარმი: ომი ავტონომიებთან გარდაუვალია"

გურამ მაღლაკელიძე

11 მაისს ამ სათაურით დაიბეჭდა რუსულ ყოველკვირეულ გაზეთ "ВПК"-ში ალექსეი მატვეევის სტატია. "ВПК", რომელიც "მშვიდობისმოყვარე" რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესების ერთგული დამცველი და გამომხატველია, მაინც რატომ ტეხს განგაშს: **"სანამ მოსკოვსა და თბილისს შორის საკმაოდ რთული მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსული ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელმძღვანელობა, აშშ-ს და დასავლეთის ხელშეწყობით, ღიად და აქტიურად ემზადება სამხედრო მოქმედებების დასაწყებად ავტონომიების წინააღმდეგ."**

რუსული პრესის "ზრუნვა" საქართველოსა და მისი ავტონომიების "კეთილდღეობაზე" საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიმაჩნია სტატიაში არსებულ რამდენიმე "მინიშნებაზე" ყურადღების გამახვილება, რადგან ისინი, პირველ რიგში, ქართველ, აფხაზ და ოს მკითხველებზეა გათვლილი.

1. სტატიის ავტორი უაპელაციოდ აცხადებს, რომ "აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა... დალოცა სააკაშვილი ღია სამხედრო მოქმედებების დასაწყებად ოსური და აფხაზური ავტონომიების წინააღმდეგ". რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ამ "აღმოჩენასთან" დაკავშირებით. როგორც ჩანს, ბატონ ა. მატვეევს აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებების ტექსტი შეუცვალეს და რუსეთის პრეზიდენტის მიერ რამდენიმე წლის წინ გაკეთებული განცხადებების სტენოგრამა გადასცეს. მკიხველს იმედია, ახსოვს ვ. პუტინის მთავარი წინასაარჩევნო ლოზუნგი – "мочить в сортире," რომელიც, ფაქტობრივად, მისი გაპრეზიდენტების შემდეგ, რუსი სამხედროებისათვის ჩეჩენი ხალხის გენოციდის გამართლების საფუძველი გახდა. ჩვენს აფხაზ და ოს მეგობრებს კი მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო, თუ რა ბრძანა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა თბილისში ვიზიტისას: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტები "საქართველოს მთავრობის მიერ მშვიდობიანი გზით გადაწყდება და ხელისუფლებას კარგი სტრატეგია აქვს, რომ ეს ასე მოხდეს... თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ფიქრობს, რომ ჩემი დახმარებაა საჭირო, მე აუცილებლად დავეხმარები, მაგრამ ეს საკითხი საქართველოს მთავრობასა და სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის უნდა მოგვარდეს... საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება აუცილებელია თქვენი ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის.".

2. სტატიაში ხაზგასმულია, რომ "თუ წლის დასაწყისში თავდაცვისათვის დაგეგმილი იყო 65 მილიონი დოლარის გამოყოფა... ახლა გადაწყვეტილია თავდაცვისა და სამართალდაცვითი საქმიანობისათვის 324 მილიონი დაიხარჯოს... 23 ნოემბრისათვის დასრულდება ქალაქ სენაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სამხედრო ბაზის მშნენებლობა, რომელიც 3000 სამხედრო მოსამსახურეზეა გათვლილი... მხოლოდ ბოლო პერიოდში საქართველომ შეიძინა... ტანკები ჩეხეთში, საარტილერიო სისტემები ბულგარეთში, ვეტმფრენები და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები უკრაინაში..." ა. მატვეევი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ "მოყვანილი ფაქტები მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს - საქართველო აქტიურად ემზადება თავისი ტერიტორიული დავების ძალისმიერი გზით გადაწყვეტისათვის, ხოლო მისი პირველი სამიზნე, ალბათ, სამხრეთ ოსეთი იქნება... ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ზაფხულის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი... არ არის გამორიცხული, შეჭრის საბაბი გახდეს ქართული სპეცსამსახურების მიერ კარგად ორგანიზებული დივერსია, "ბანდიტების მორიგი თავდასხმა" კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ სოფლებზე, სამშვიდობო ძალების ქართველი წარმომადგენლების მკვლელობა და ა.შ." ამასთანავე, სტატიის ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს,

გაგრძელება A3 გვერდზე

# იტალიელებზე ნადირობა გრძელდება, ამჯერად - ავღანეთში

როგორც ჩანს, იტალიის მთავრობას ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობა საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ფასად უჯდება. ერაყში მომხდარი გატაცებების შემდეგ იტალიის მოქალაქე ახლა უკვე ავღანეთში ჩავარდა ანალოგიურ სიტუაციაში. ორშაბათს საღამოს ქაბულში საერთაშორისო ორგანიზაცია "ქეარ ინტერნეშნლ"-ის თანამშრომელი კლემენტინა კანტონი გაიტაცეს. მართალია, ავღანეთის პოლიცია ირწმუნება, რომ გამტაცებლები ავღანეთში მოქმედ არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ მიეკუთვნებიან და, უბრალოდ, რიგითი კრიმინალები არიან, მაგრამ საეჭვოა, ეს ფაქტი იტალიელი მძევლის ბედს ამსუბუქებდეს.

ავღანეთის პოლიციის განცხადებით, კლემენტინა კანტონი მძევლად აიყვანა არა "თალიბანის მოძრაობამ" ან "ალ-ქაიდას" დაჯგუფებამ, არამედ უბრალო კრიმინალურმა ჯგუფმა, რომელსაც საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან არანაირი კავშირი არ აქვს.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ავღანელი ქალები იტალიელი მძევლის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.*

## აეროგეიტი

გიორგი ასანიშვილი

*როგორც ოპოზიციის, ისე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს არადამაჯერებლად მიაჩნიათ ეკონომიკის მინისტრის ლექსო ალექსიშვილის მიერ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მოყვანილი არგუმენტები, რომელიც მან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციაზე გამოცხადებულ ტენდერში თურქული კომპანია "ჩელების" გამარჯვებასთან დაკავშირებით დაასახელა. დეპუტატი ივლიანე ხაინდრავა საუბრობს "ძლიერი ბიძის" მხრიდან ზეწოლაზე, რომელიც, მისი მტკიცებით, ეკონომიკის მინისტრსა და სატენდერო კომისიის წევრებზე განხორციელდა. "სულსწრაფობა გამოავლინეთ, რაც თქვენს პოლიტიკურ კარიერას ძალიან დააზარალებს," - არასასიამოვნო მომავალს უწინასწარმეტყველებს რესპუბლიკელი დეპუტატი ლექსო ალექსიშვილს.*

"რესპუბლიკელებს" მხარს უჭერს "მემარჯვენე ოპოზიცია", რომლის ლიდერი დავით გამყრელიძე გუშინ, თავდაპირველად, ტენდერის შედეგების გაუქმებასა და პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა, თუმცა, მოგვიანებით, მომხსენებელთა ჯგუფის შექმნაზეც თანახმა იყო. რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, ლექსო ალექსიშვილის წინააღმდეგ მათ ღიად არ გაილაშქრეს, მაგრამ ეკონომიკის მინისტრისგან იმის წერილობითი დასაბუთება მოითხოვეს, თუ რატომ დამარცხდა ტენდერში "ტაკომ გლორია პივდენი", რომლის შეთავაზებებიც "ჩელებისაზე" უკეთესად გამოიყურებოდა.

საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, საკითხის შესწავლა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს დაევალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტი დეპუტატზე თავდასხმის ფაქტის სასწრაფო გამოძიებას ითხოვს

პარლამენტის წევრზე, "კონსერვატორ" კახა კუკავაზე განხორციელებული თავდასხმა გუშინ პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა.

ინფორმაცია თავდასხმის შესახებ ჯერ პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ გააკეთა, რომელმაც მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა და შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს ამ ფაქტის უმოკლეს დროში გამოძიება მოსთხოვა. **"სამართალდამცველებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ეს საქმე უმოკლეს დროში გამოიძიონ,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, თუმცა იქვე დასძინა, რომ იგი დეპუტატზე თავდასხმაში პოლიტიკურ სარჩულს ნაკლებად ხედავს. მისივე თქმით, **"ჩვენს ქვეყანაში არსებობს იმის კულტურა, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს ფიზიკურად არ გაუსწორდნენ."**

მოგვიანებით, დღის ორ საათზე, "კონსერვატორმა" ბიძინა გუჯაბიძემ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტებს თავდასხმის დეტალების შესახებ უამბო.

მართალია, ბიძინა გუჯაბიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორმა ნიღბიანმა თავდამსხმელმა კუკავას საფულე და ჯიბის ტელეფონი წაართვა და სასტიკად სცემა, მაგრამ გუჯაბიძემ ხმამაღლა გამოხატა კონსერვატიული პარტიის პოზიცია, რომლის თანახმადაც, სავარაუდოდ, ბოროტმოქმედებმა ამით მხოლოდ ძარცვის იმიტაცია განახორციელეს. შესაბამისად, "კონსერვატორები" მიიჩნევენ, რომ კახა კუკავას პოლიტიკური მოსაზრებების გამო გაუსწორდნენ.

საგულისხმო დეტალი - ბიძინა გუჯაბიძის პრესკონფერენციას, ჟურნალისტებთან ერთად, საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ აინტერესებდათ, თუ სად იმყოფებოდა იმ მომენტში თავად კახა კუკავა. თუმცა, ბიძინა გუჯაბიძემ განაცხადა, რომ მან მხოლოდ მიახლოებით იცის, თუ სად გადაიყვანეს საავადმყოფოდან დეპუტატი.

თავდასხმის ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა იგივე ბიძინა გუჯაბიძეს ეჭვი ეპარება, რომ საქმე გამოძიებული იქნება, რადგან ამ ბოლო დროს "კონსერვატორებზე" არაერთი თავდასხმა განხორციელდა, მაგრამ სამართალდამცავებს ამ ფაქტებზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

*24 საათი*

# პარლამენტის თავმჯდომარე იტალიის რეგიონული განვითარების მინისტრს შეხვდა

გუშინ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იტალიის რეგიონული განვითარების მინისტრს ენრიკო ლა ლოჯიასა და იტალიის მთავრობის დელეგაციას შეხვდა. მინისტრის თქმით, იტალიის მთავრობა საქართველოში რევოლუციის შემდგომ განვითარებულ რეფორმებს გულდასმით აკვირდება და სურვილი აქვს, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში კონკრეტული პროექტების განხორციელებით მონაწილეობა მიიღოს. შეხვედრისას ითქვა, რომ იტალიელები ძირითად დახმარებას რეგიონულ საკითხებსა და ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებასა და ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობების მოგვარებაში კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით დაგვეხმარებიან.

**"იტალიას, რეგიონული მოწყობის თვალსაზრისით, დიდი გამოცდილება აქვს და მზად ვართ, ამ მხრივ, ჩვენი წარმატებული შედეგები ქართველებსაც გაგიზიაროთ,"** - განაცხადა ენრიკო ლა ლოჯიამ. მისი თქმით, ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის აქტიურად უნდა ამოქმედდეს იტალია-საქართველოს მეგობრობის ჯგუფი. იტალიის პარლამენტი ევროპულ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებაშიც შეგვიწყობს ხელს და ასევე მთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროექტებსაც გაგვაცნობს.

პარლამენტის თავმჯდომარემ იტალიის რეგიონული განვითარების მინისტრს საქართველოს ხალხისა და ახალი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო იტალიასთან როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით დაინტერესებულია, განსაკუთრებით, რეგიონული ურთიერთობების გააქტიურების დონეზე. სწორედ ამ მხრივ, ნინო ბურჯანაძემ, როგორც ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ჩვენი ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობა აღნიშნა. მისი თქმით, ქუთაისის საწარმოო პოტენციალი, იქ არსებული ობიექტების აღდგენის პარალელურად, კვლავ უნდა განახლდეს.

ნინო ბურჯანაძემ იტალიელ სტუმრებს კონკრეტული წინადადებები შესთავაზა, კერძოდ, ამ რეგიონში ხე-ტის გადამამუშავებელი საწარმოების აღორძინებასა და ეროვნულ მოტივებზე ხეზე მომუშავეთა ნაკეთობების რეალიზების შესაძლებლობაზე, რაც პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ქუთაისის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. ენრიკო ლა ლოჯიამ პარლამენტის თავმჯდომარის წინადადებების განხორციელება შესაძლებლად მიიჩნია და ამ მხრივ მას დახმარება აღუთქვა. შეხვედრაზე, ასევე, კულტურული თანამშრომლობის, ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და რესტავრაციისათვის აუცილებელი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე შეთანხმდნენ.

*24 საათი*

# რუსი სამხედრობის მიერ გამოწვეული ეკოლოგიური ზარალი 700 მილიონ ლარს შეადგენს

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო შენაერთების არსებობით გამოწვეული ეკოლოგიური ზარალი 700 მილიონ ლარს შეადგენს. თუმცა ეს ეკოლოგიური ზარალის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც ქვეყანას უკვე გაყვანილი სამხედრო ბაზებისგან მიადგა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელის სოსო ქარსივაძის თქმით, გაყვანილი რუსული ბაზების ტერიტორიებზე, ამ დრომდე, მარტო 233 ერთეული რადიაქტიური ნარჩენია აღმოჩენილი.

ეკოლოგიური ზარალის დადგენის კუთხით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ორი მიმართულებით მუშაობს. მიმდინარეობს იმ ზარალის დადგენა, რომელიც რუსული ბაზების ობიექტებზე დატოვებული რადიაქტიური ნარჩენების გაუვნებელყოფას უკავშირდება, დგინდება სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისგან მიყენებული ზიანის ოდენობა.

ამ მიზნით, ქართულმა მხარემ დასახმარებლად იმ ქვეყნებსაც მიმართა, რომელთაც მათი ტერიტორიებიდან რუსეთის შეირაღებული ძალების გაყვანის გამოცდილება გააჩნიათ.

ქარსივაძის თქმით, უცხოელი ექსპერტები საქართველოში ივნისში ჩამოვლენ.

*ინტერ-პრესი*

# აეროგეიტი

პირველი გვერდიდან

შესაბამის დასკვნას ნიკო ლეკიშვილი პარლამენტის ბიუროს ორშაბათს მიაწვდის. თუ კანონმდებლები ჩათვლიან, რომ მათ კითხვებს სათანადო პასუხი არ გაეცა და ეჭვები არ გაუქარწყლდათ, შეიქმნება მომხსენებელთა ჯგუფი, რომელიც საკითხს უფრო დეტალურად შეისწავლის და პარლამენტს სათანადო ინფორმაციას წარუდგენს.

თავის მხრივ, ეკონომიკის მინისტრი ირწმუნება, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციაზე გამოცხადებულ ტენდერი მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარდა და უპირატესობა სწორედ იმ კომპანიას მიენიჭა, რომელმაც ქართულ მხარეს უფრო ხელსაყრელი პირობები შესთავაზა. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ლექსო ალექსიშვილმა რამდენჯერმე ჩამოთვალა ის შეთავაზებები, რომლის გამოც, გამარჯვებულად "ჩელები" გამოცხადდა: თურქული კომპანია აეროპორტის რეკონსტრუქციას 11 თვეში დაასრულებს, მაშინ, როდესაც "ტაკომი" ამისთვის 18 თვეს ითხოვდა; "ჩელებმა" წარმოადგინა 6,5-მილიონიანი საბანკო გარანტიები და აიღო ვალდებულება, აეროპორტში ადგილობრივი პერსონალი დაასაქმოს; იგი მზად არის, თავისი შემოსავლებიდან სახელმწიფოს 10-პროცენტიანი წილი გადასცეს და ა.შ.

ეკონომიკის მინისტრის მიერ მოხმობილ არგუმენტებს ოპოზიციონერი დეპუტატები კონტრარგუმენტებს უპირისპირებენ. ივლიანე ხაინდრავას თქმით, "ტაკომის" სატენდერო პირობები "ჩელებისაზე" გაცილებით უკეთესი იყო.

**"ტაკომი" მზად იყო, დაეგო ორი ასაფრენი ზოლი, მაშინ როდესაც "ჩელები" მხოლოდ არსებულის რეკონსტრუქციას მოახდენს. "ტაკომი" გააკეთებდა 6 ტელესკოპურ გასასვლელს, თურქები კი - მხოლოდ ოთხს. "ტაკომი" 600 ავტომობილის პარკინგის მოწყობას გვთავაზობდა, "ჩელები" - 200-ის. "ტაკომის" გამარჯვების შემთხვევაში, ბილეთის ფასს 28 დოლარი დაემატებოდა, გამარჯვებული კომპანია კი მგზავრობას 31 დოლარით გააძვირებს,"** - აღნიშნავს ივლიანე ხაინდრავა, რომელიც პარლამენტარებს შეახსენებს, რომ **"საქმე აეროპორტის მშენებლობას ეხება და არა ლუდის პავილიონის აგებას."**



*ლექსო ალექსიშვილზე პარლამენტის შეტევა, როგორც ჩანს, გუშინდელი პლენარული სხდომით არ დასრულებულა.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მისი თანაპარტიელი დავით ბერძენიშვილი კი კოლეგებს აუწყებს, რომ ლექსო ალექსიშვილი უკვე მეორედ იგდებს თავს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში და პირველად ეს საოკეანო სანაოსნოს პრივატიზების დროს მოხდა. სხვათა შორის, ივლიანე ხაინდრავას მსგავსად, ბერძენიშვილიც ახსენებს "გავლენიან ბიძას", რომელიც **"პროცესებზე ზეწოლას ახდენს."**

ოპოზიციონერი დეპუტატების კრიტიკას ეკონომიკის მინისტრი არ იზიარებს და აცხადებს, რომ **"ივლიანე ხაინდრავას ინფორმაცია ტენდენციურია, რადგან ის დაინტერესებული მხარის მიერ არის მიწოდებული."** ალექსიშვილი იმასაც დასძენს, რომ ტენდერის შედეგების გაუქმება საქართველოს ძალიან ცუდ შედეგებს მოუტანს, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ შენარჩუნდება ის არაკონკურენტუნარიანი გარემო, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება.

გუშინდელი მწვავე დებატების შემდეგ, საკმაოდ გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა: ეკონომიკის მინისტრის წინააღმდეგ მხოლოდ ოპოზიცია რომ გამოდიოდეს, სახელისუფლებო გუნდისთვის ეს სულაც არ იქნებოდა საგანგაშო. მაგრამ ამჯერად საქმე ის არის, რომ ოპოზიციას, ზოგჯერ ღიად, ზოგჯერ კი შეფარულად, საპარლამენტო უმრავლესობაც უჭერს მხარს. ასე რომ, ძნელია იმის თქმა, როგორ განვითარდება მოვლენები - საქმე ჩაიფარცხება (რაც ნაკლებად სავარაუდოა), თუ სკანდალი ახალი ძალით იფეთქებს და ზოგიერთ პოლიტიკურ ფიგურას შეიწირავს.

# საპარლამენტო არჩევნების გენერალური რეპეტიცია

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

კვირას აფხაზეთში, ორ საარჩევნო ოლქში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ პარლამენტი, მთავრობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ორმა დეპუტატმა დატოვა: ამჟამად საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა ვახტანგ ფიფიამ და პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ახლანდელმა თავმჯდომარემ დაურ თარბამ. არჩევნები ოჩამჩირის რაიონსა და სოხუმში ჩატარდა. თუ ოჩამჩირეში გამართული არჩევნები განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენდა, რადგან იქ კენჭს მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრიდა, სოხუმის არჩევნები საპარლამენტო არჩევნების ერთგვარი გენერალური რეპეტიცია გახდა, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ძირითადი ბრძოლა აფხაზეთის არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთ ლიდერს ალხას თხაგუშევსა და გულრიფშის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელს ადგურ ხარაზიას შორის გაჩაღდებოდა. მესამე კანდიდატი, სოხუმის ყოფილი ვიცე-მერი ლეონიდ ოსია, ამ ოლქში არჩევნების შესაძლო გამარჯვებულად არ განიხილებოდა.

საბოლოოდ, ალხას თხაგუშევმა ორივე კონკურენტს გაუსწრო და პირველივე ტურში გამარჯვებისათვის მხოლოდ რვა ხმა დააკლდა. ამომრჩეველთა გამოცხადება მოსალოდნელზე ნაკლები გამოდგა – 41 პროცენტი. საარჩევნო ოლქი, რომელშიც კანდიდატები კენჭს იყრიან, აფხაზეთის დედაქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონია და ქალაქის ცენტრის ნაწილსა და ცენტრალური ბაზრის რაიონს მოიცავს.



*ალხას თხაგუშევს პირველივე ტურში გამარჯვებისთვის 8 ხმა დააკლდა.*

არჩევნების მეორე ტურის თარიღს ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს მომავალში განსაზღვრავს. იმის მიუხედავად, რომ არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, წინასაარჩევნო კამპანია კი, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საკმაოდ "ჩუმი" გახდა, ვნებათაღელვა მაინც იგრძნობოდა.

ადგურ ხარაზია ოპოზიციის ერთ-ერთი პოტენციური ლიდერია. მის წინააღმდეგ სულ ახლახან შეწყვეტილი, სისხლის სამართლებრივი დევნის მიუხედავად, ოპოზიციონერები წინასაარჩევნო კამპანიის დროს მის იმიჯზე აქტიურად მუშაობდნენ. მათ ხარაზიას დიდი მხარდაჭერა გაუწიეს, რისთვისაც სპეციალური შტაბი შეიქმნა.

აქტიურად დაუჭირეს ხარაზიას მხარი რეგიონების ოპოზიციონერებმა. კერძოდ, აშკარად იგრძნობოდა გულრიფშის რაიონის ჩინოვნიკთა მხარდაჭერა, რომლებსაც იგი მრავალი წელი ხელმძღვანელობდა.

ოპოზიცია კანდიდატს ფინანსურადაც ამოუდგა გვერდში. როგორც ინფორმირებული წყაროები ამბობენ, ხარაზიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მას შემდეგ შეწყდა, რაც იგი, გულრიფშის რაიონის პროკურორთან ბესლან ყოლბაიასთან ერთად, პრეზიდენტ ბაგაფშს შეხვდა. ორივემ განაცხადა, რომ მათ შორის უთანხმოებები აღარ არსებობს. სისხლის სამართლის საქმე ხარაზიას წინააღმდეგ მას შემდეგ აღძრეს, რაც მან ყოლბაიას მისივე კაბინეტში რამდენჯერმე დაარტყა.

სულ სხვა საქმეა ალხას თხაგუშევი. ის, ფორმალურად, დამოუკიდებელი კანდიდატია, თუმცა თავისი პოზიციით გაცილებით ახლოსაა ხელისუფლებასთან. ბევრს მიაჩნია, რომ მას პარლამენტში ეფექტურად მუშაობა შეუძლია, რადგან აქამდეც მონაწილეობდა ინვალიდების სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული კანონების შემუშავებაში და მათ ლობირებას ეწეოდა. მან შექმნა უძლიერესი არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვა-თანადგომა". წინა არჩევნების დროს იგი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას "პატიოსანი არჩევნებისათვის", რომელმაც არჩევნების დროს, ფაქტობრივად, არ დაუშვა გაყალბება და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რამაც ძველი ხელისუფლების მარცხი განაპირობა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მას მხარი არასამთავრობო სექტორმა და დამოუკიდებელმა პრესამ დაუჭირა. კერძოდ, პოპულარული "ნუჟნაია გაზეტა" მოსახლეობას აქტიურად მოუწოდებდა, ხმა თხაგუშევისთვის მიეცა, ხარაზიას მომხრეებს კი პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარს ეუბნებოდა.

წარსულში ხარაზიას წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის მიუხედავად, ამ არჩევნებმა შავი პიარის გარეშე ჩაიარა. საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსი სკანდალები და ხმამაღალი მხილებები ამჯერად არ ყოფილა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ, "ამჯერად ხმამაღალი სკანდალები საჭირო არ იყო. თხაგუშევი არჩევნების აშკარა ფავორიტია და სხვადასხვა სკანდალებით ხარაზიასკენ ყურადღების მიქცევა მის შანსებს მხოლოდ გაზრდიდა".

# კიდევ ერთი სკანდალი დიზელთან დაკავშირებით

მაია მოსიაშვილი

პრეზიდენტის საჩუქარი გლეხებისათვის - 20 ლიტრი დიზელი, შესაძლოა, კიდევ ერთი სკანდალის მიზეზი გახდეს. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა იმ დარღვევების შესახებ, რომელიც დიზელის დარიგების დროს ქვემო ქართლში, კონკრეტულად, მარნეულის რაიონში დაფიქსირდა.

დიზელის დასარიგებლად მარნეულში პრეზიდენტი სააკაშვილი თავად ჩავიდა. ამას წინ უძღოდა, თითქოსდა, გაბერილ სიებთან დაკავშირებული გაუგებრობა, რომელიც ხელისუფლებამ მალევე გამოასწორა და ითქვა, რომ 20 ლიტრ დიზელის საწვავს მიიღებდა ყველა ის გლეხი, რომელიც მას ნამდვილად საჭიროებდა.

დიზელის დარიგება ერთი შეხედვით გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ასეთ შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხა თავის შეკავება და კეთილსინდისიერად მოქცევა. მათი "ვაჟკაცობის" ამბავი მარნეულის რაიონის კუტლიარის საკრებულოში გასკდა.

დაახლოებით ერთი თვის წინ, 110-მა კუტლიარელმა პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის სახელზე საჩივრის წერილი გააგზავნა, სადაც ისინი წერდნენ, რომ სიებში მკვდარი სულები იყვნენ შეყვანილნი, ცოცხლებმა კი საწვავი ან ვერ მიიღეს, ან 20 ლიტრზე გაცილებით ნაკლები ერგოთ.

ამ ფაქტით პროკურატურაც დაინტერესდა და მოკვლევაც დაიწყო. ჩვენი ინფორმაციით, მათ უკვე გადაამოწმეს პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილის ხელმოწერები და გაირკვა, რომ არც ერთი ყალბი არ არის.

გუშინ ამ საკითხზე მოკლე კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილმა. მისი თქმით, დიზელის დარიგების დროს დარღვევები გარკვეულ საკრებულოებში მართლაც დაფიქსირდა და ამას ადასტურებს ისიც, რომ რამდენიმე რაიონს დიზელის ნაწილი დასარიგებელი დარჩა. მელიქიშვილს კონკრეტული რაიონები და საკრებულოები არ დაუსახელებია იმ მიზეზით, რომ დარღვევები ჯერ გამოძიებით უნდა დადასტურდეს.

## მოკლედ

### აშშ-ს მთავრობამ საქართველოს მოსახლეობისათვის დამატებით 75 ათასი დოლარი გამოყო

ამერიკის მთავრობამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის, სტიქიური უბედურების გამო, დამატებით 75 ათასი დოლარი გამოყო.

დახმარების გამოყოფას საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის თხოვნა და მასზე აშშ-ს განვითარების ფონდის რეაგირება.

თანხა იმერეთში, ზემო სვანეთში, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის ზოგიერთ სოფელში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის აღდგენას მოხმარდება.

გარდა ამისა, დაზარალებული რაიონების მოსახლეობა მიიღებს პროდუქტებს, სამეურნეო საშუალებებს, პირველადი დახმარების საგნებს. მოსახლეობისათვის დახმარების დარიგების პროცესს კოორდინაციას ადგილობრივი ადმინისტრაციები გაუწევენ.

სულ აშშ-ს მთავრობამ დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურების გამო, მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით, 125 ათასი დოლარი გამოყო. აღნიშნული რეგიონებში 50 ათასი დოლარის პირველადი დახმარების საშუალებები 30 აპრილს გაიგზავნა. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა იტალიის რეგიონული პოლიტიკის მინისტრი ენრიკო ლა ლოჯია მიიღო. შეხვედრაზე იტალიასა და საქართველოს შორის კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, იტალიელმა მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი რომში ოფიციალური ვიზიტით დაპატიჟა.

დღესვე გაირკვა, რომ იტალიის კუნძულ სიცილიაზე იგეგმება სემინარი, რომელზეც იტალიასა და საქართველოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში დღეს 26+1 ფორმატით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომა გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას საქართველოსა და ნატო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები მიიღებენ.

სხდომაზე ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე წარმოადგენენ.

სხდომაზე ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP) საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა განიხილება. ვიზიტის დროს საქართველოს დელეგაცია ნატო-ს გენერალურ მდივანს იაპ დე ჰუპ სჰეფერსაც შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის ტერიტორიაზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს, რომელსაც თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიყენებული. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ მოკლულია სამტრედიის მკვიდრი, ადრე სამჯერ ნასამართლევი დავით ფოცხვერია. ამ დროისთვის გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. წინასწარი ინფორმაციით, დანაშაული, დაახლოებით, 10 დღის წინ მოხდა. დადგენილია ისიც, რომ მკვლელობა სანადირო თოფიდან გასროლის შედეგად მოხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 14 მაისს ბათუმის პორტში, უკრიანის დროშის ქვეშ მცურავ ბორანის ტიპის გემზე - „გეროი შიპკი", სასაზღვრო კონტროლის დროს მესაზღვრეებმა ყალბი პასპორტების მქონე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. აღნიშნული პირები შემდგომი რეაგირებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილებას გადაეცნენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თელავის რაიონის სოფელ კისისხევში მცხოვრები, ავთანდილ წიკლაური დააკავეს.შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 24 წლის ავთანდილ წიკლაური ეჭვმიტანილია სოფელ ნასამხრალში 62 წლის გოგი მარაულის მკვლელობაში. პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული დანაშაულის დაფარვაში ეჭვმიტანილი, სოფელ კისისხევში მცხოვრები, 20 წლის ივანე ცისკარიშვილიც დააკავეს. მკვლელობის ფაქტს პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-4 სამმართველოს, ამავე დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და აფხაზეთის განყოფილებებისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევრები - ფოთში მცხოვრები, ნასამართლევი, 40 წლის მამუკა ლაგვილავა და ნასამართლევი, 40 წლის ნიკოლოზ ზენაიშვილი, რომლებისგანაც, შესაბამისად, ამოიღეს 1.2 და 5 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გადარჩენის საქმეში პროფესიონალებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად იღებს წინასწარ განაცხადებს

**ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული უძრავი ძეგლების შესარჩევად, რომელთაც ესაჭიროებათ საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება**

**წინასწარი განაცხადის კითხვარი**

1. განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება და სამუშაო პროფილი (არქიტექტურული, საინჟინრო, საზოგადოებრივი, სხვა).
2. ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, პროფესია, საკონტაქტო ინფორმაცია.
3. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სამუშაოები ან განხორციელებული პროექტები.
4. განმცხადებლის სახელი, გვარი, პროფესიული გამოცდილება და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია.
5. შემოთავაზებული ობიექტის სახეობა (ცალკე მდგომი ძეგლი, კომპლექსი, მონუმენტური მხატვრობის ძეგლი, სხვა).
6. ობიექტის დასახელება
7. ობიექტის ადგილმდებარეობა
8. ობიექტის ამჟამინდელი მდგომარეობა (დაზიანებების ჩამონათვალი)
9. ძეგლზე ***არსებული*** საპროექტო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- **არქიტექტურის ძეგლებისათვის**
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
- არქიტექტურულ-არქეოლოგიური კვლევა
- საპროექტო დიკუმენტაცია
- არქიტექტურულ-გეგმარებითი ნაწილი;
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- სამშენებლო გადაწყვეტები: კონსტრუქციები, ანგარიშები, ნაგებობის სეისმოლოგიური მაჩვენებლები და სხვ.
- ხარჯთაღრიცხვა

- **ფერწერის ძეგლებისათვის**
- წინასწარი პროექტი
- ძეგლის ვიზუალური შესწავლა
- დასაბუთება
- მხატვრობის მოკლე დახასიათება, მისი მდგომარეობის აღწერა, სრული ფართობი, სარესტავრაციო ფართობი
- სამოქმედო გეგმა
- სიტუაციის ამსახველი ფოტოდოკუმენტაცია
- დამუშავებული პროექტი
- წინასწარი კვლევა.
- სრული ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაცია
- შერჩეული საკონსერვაციო მასალები
- ადრე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია.

10. არქიტექტურულ ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სავარაუდო ჩამონათვალი: (დროითი თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა: მიწის მოჭრა, ქვების გამორჩენა და თავდაპირველი ადგილის განსაზღვრა, აზომვა, საინჟინრო-კონსტრუქციული დოკუმენტაცია, პროექტის შედგენა, მუშაობისას დეტალების დაზუსტება, სხვა).
11. ფერწერის ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სავარაუდო ჩამონათვალი: (ვიზუალური შესწავლა, კვლევა სათანადო სპეციალისტების მიერ, კონსერვაციის პროექტი, განხორციელების ეტაპები)

12. პროექტის შესრულების ვადები

13. ფიზიკური სამუშაოს ვადები

14. პროექტის (სარესტავრაციო სამუშაოთა ხელმძღვანელთა) შემსრულებელთა ჩამონათვალი

15. სამუშაოთა სავარაუდო ბიუჯეტი

16. თანამონაწილეობა (ადგილობრივი თემის, მონასტრის, ეპარქიის) თანხობრივი ან ფიზიკური შენატანი
- მანიშნი აბრების მონტაჟი გზაზე
- მუშა ძალა
- პუბლიკაციის (ბროშურის) გამოცემა
- სხვა

17. იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც განმცხადებლის მხრიდან უზრუნველყოფს ძეგლის გრძელვადიან მოვლა-პატრონობას:
- სახურავის მცენარეებისგან გაწმენდა
- ეზოს დასუფთავება
- მიწისა და მცენარეებისაგან გაწმენდა
- სხვა

18. ძეგლის დამთვალიერებელთა (მომლოცველთა, ტურისტთა, მაცხოვრებელთა) თვიური სავარაუდო რაოდენობა
- 50
- 100
- მეტი (სავარაუდო ციფრი)

19. განმცხადებლის ხელმოწერა ----------------------------------------------

20. თარიღი ----------------------------------------------------------------

შენიშვნა:
- განაცხადს თან უნდა ახლდეს ძეგლის ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა
- შემოსული განაცხადებიდან დადგინდება იმ ძეგლთა ჩამონათვალი, რომლებზეც ტენდერის მეშვეობით საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოები დაფინანსდება

**კითხვარების მიღება წარმოებს 2005 წ. 1 ივნისის ჩათვლით, სამშაბათს და ხუთშაბათს 11 00 - 15 00 საათამდე.**

**მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, IV სართ., ოთახი 404. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98-74-20, 99-85-21**

# „ქართული პლაცდარმი: ომი ავტონომიებთან გარდაუვალია"

პირველი გვერდიდან

რომ "საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არაღიარებული რესპუბლიკების სამხედრო ხელმძღვანელებმა... არა მარტო იციან ქართული მხარის მზადების შესახებ... არამედ მზად არიან თბილისთან საბრძოლველად."

არც აფხაზებისთვის და არც ოსებისათვის დიდ საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ საქართველოს ხელისუფლების და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მთავარი პოლიტიკური ამოცანა ქვეყნის ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირებაა, რისთვისაც, როგორც აშშ-ს პრეზიდენტი ჯ. ბუში აღნიშნავდა, აუცილებელია "კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება." ამიტომ რუსეთი არაფერს დაიშურებს, რათა კვლავ ჩაგვითრიოს სამხედრო კონფლიქტში. რასაკვირველია, ამ მხრივ ძირითადი პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს ეკისრება, მაგრამ ჩვენმა აფხაზმა და ოსმა თანამოქალაქეებმაც თვალნათლივ უნდა აგრძნობინონ რუსეთს, რომ მათი იმპერიული ამბიციების "საზარბაზნე ხორცად" ყოფნას არ აპირებენ.

რაც შეეხება ქართული არმიის მშენებლობას, ქართულ მხარეს არასოდეს დაუმალავს, რომ ძირითადი მიზანი ნატო-ში გაწევრიანება და მისი სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაა. მანამდე კი, იძულებული ვართ, ბევრი რამ მოვიკლოთ, რათა შევქმნათ ისეთი არმია, რომელიც რუსეთის ღია აგრესიას საქართველოს წინაალმდეგ სახიფათოს გახდის. მხედველობაში მაქვს: სამხედრო ბლიცკრიკის შეუძლებლობა, კონფლიქტის ვადის ხანგრძლივობა, ჩეჩნური სცენარის განმეორება არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ რუსეთის სხვა მუსულმანურ რეგიონებში, დსთ-ს სივრცეზე კონტროლისა და გავლენის სრული დაკარგვა, საერთაშორისო იზოლაცია ყველა გამომდინარე შედეგით და ა.შ.

ვ. ა. მატვეევი ჩვეულ სტილში განაგრძობს: "როგორც ცნობილია, რუსეთი აქტიურად ცდილობს, შუამავლის როლი შეასრულოს ამიერკავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების საქმეში... თბილისი გაურბის აქტიურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის დასარეგულირებლად... ერთი ცხადია – არავითარ პირობებში არ შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან ერთი-ერთზე დატოვება".

რუსეთის მიერ მშვიდობიანად დარეგულირებული კონფლიქტი ქვეყნის შიგნით ან გარეთ ჯერ არავის უნახავს. ჩვენთვის და, დარწმუნებული ვარ, ჩვენი აფხაზი და ოსი მეგობრებისთვისაც მიუღებელია კონფლიქტის დარეგულირების რუსული მოდელი, რომელსაც ის "წარმატებით" იყენებს ჩეჩნეთში. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა, რუსეთს მაინც მოუწევს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანა, აქტიურ დესტრუქციულ ქმედებებზე უარის თქმა, ხოლო ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს, იმედია, უეჭველად ეყოფა სიბრძნე შერიგებისათვის.

...ისტორიას უყვარს პარალელები. რუსმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ათასობით აფხაზი ოსმალეთის იმპერიაში გაასახლა, ქართველი მიხეილ ნიკოლოზის ძე კი მათ ევროპულ ოჯახში გაწევრიანებას სთავაზობს.

# გარდაუვალი ისტორიული პროცესი

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვთან მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრეა და მიაჩნია, რომ ქვეყნიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა დიალოგისა და კომპრომისების შედეგად უნდა განხორციელდეს.

**"ეს გადაწყვეტილი თემაა და არ გვინდა, ხმაურიანი განცხადებებით ვინმემ განხეთქილების ვაშლად აქციოს,"** – აღნიშნა მან. პრეზიდენტის მოსაზრებით, უკვე მოძებნილია ცივილიზებული მოდელი და მოლაპარაკებებში პროგრესი ჩანს, თუმცა სანამ ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არ იქნება მზად, საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა **"გარდაუვალი ისტორიული პროცესია."**

ამასთან, უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა ამ საკითხის განსახილველად და გადასაჭრელად თბილისში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის თავმჯდომარეები მოიწვია. **"რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში იყო სრულიად არაადეკვატური რეაქცია პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებაზე,"** - მიუთითებს პრეზიდენტი და ხაზს უსვამს, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს არავითარი პროვოკაციული განცხადება არ გაუკეთებია.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გადამდგარი რუსი გენერალ-მაიორი იური ნეტკაჩოვი სამხრეთ ოსეთში "გამოჩნდა".

საქართველოს ხელისუფლება ნეტკაჩოვს, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში რუსულ ჯარებს მეთაურობდა მოლდოვაში, შემდგომ, თბილისსა და აჭარის ყოფილ რეჟიმს შორის არსებული დაპირისპირებისას, აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის შეიარაღებული დაჯგუფების გაწვრთნაში მონაწილეობდა, გასული წლის მაისში კი აჭარის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ორი ხიდის აფეთქებაში იმხილებოდა.

**"ვცდილობდი გამერკვია, არსებობს თუ არა სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდი, როცა გავიგე, რომ ნეტკაჩოვი სამხრეთ ოსეთში იყო. ვერ გამიგია, რატომ იმეორებენ ჩვენი მეტოქეები ერთი და იგივე შეცდომებს,"** – გაკვირვებას გამოთქვამს სააკაშვილი.

ამასთან, პრეზიდენტმა, **„საქართველოს დემოკრატიული მისიიდან გამომდინარე,"** თავი ვალდებულად ჩათვალა, პრესკონფერენციაზე ბელარუსში შექმნილ ვითარებაზეც ესაუბრა. მისი თქმით, საქართველო საკუთარი მაგალითით თავად ქმნის პოლიტიკურ სივრცეს თავის გარშემო.**"ამგვარად, ჩვენ ვალდებული ვართ, ვილაპარაკოთ იმ სიტუაციაზე, რომელიც არის ბელარუსში,"** - განაცხადა სააკაშვილმა და განმარტა, რომ **„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს გარშემო შეიკრას თავისუფალი საზოგადოებების მთელი წყება, რაც თავისთავად მოაახლოებს ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას"**.

საკუთარ პრესკონფერენციაზე საქართველოს თემას შეეხო ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისიც. მისი თქმით, ბაზების საკითხში საკუთარ პოზიციას ევროსაბჭო კატეგორიულად ვერ დააფიქსირებს, რადგან ეს ეუთო-ს პრეროგატივაა. რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ კონფლიქტებს, ტერი დევისს მიაჩნია, რომ ევროსაბჭო აღიარებს საქრთველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, ამ მხრივ, პოზიციას არ ცვლის.

**" აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ჩეჩნეთი - რუსეთის, ყარაბაღი - აზერბაიჯანის. ეს არის აღიარებული სტანდარტები, რომლებსაც ევროსაბჭო არ ცვლის,"** - აღნიშნა დევისმა.

გუშინვე, ვარშავაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ სამხედრო ექსპერტებისა და დელეგაციების დონეზე მოლაპარაკებები, რომელსაც ქართული მხრიდან მისი მოადგილე მერაბ ანთაძე და რუსეთის მხრიდან საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი უხელმძღვანელებენ, 23 მაისს, თბილისში გაიმართება.




# სად წავლენ რუსული ბაზები?

პირველი გვერდიდან

გარდა ბაზების გაყვანის საბოლოო თარიღის შეუთანხმებლობისა, ღიად რჩება კიდევ ერთი მთავარი კითხვა: სად აპირებს რუსეთი ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გადასროლას? პირველი შეთავაზებები რუსეთმა უკვე მიიღო. **"ჩვენ მზად ვართ, ჩვენს ტერიტორიაზე განვათავსოთ რუსული სამხედრო ბაზები, თუკი რუსეთი ასეთ სურვილს გამოთქვამს. რუსული სამხედრო ბაზების განლაგება შესაძლებელია არა მარტო გუდაუთაში, სადაც ადრე ამგვარი ბაზა არსებობდა, არამედ აფხაზეთის ნებისმიერ კუთხეში. ჩვენ ძალიან ბევრი ადგილი გვაქვს,"** – განაცხადა ბაგაფშმა 16 მაისს მოსკოვში. ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რომ მსგავს წინადადებას რუსეთი სამხრეთ ოსეთიდანაც მიიღებდა. **"ჩვენ მზად ვართ, ჩვენს ტერიტორიაზე არა მხოლოდ საქართველოდან გამოყვანილი რუსული სამხედრო ბაზები, არამედ სხვა რუსული სამხედრო კონტინგენტიც განვათავსოთ. ოსეთის სამხრეთში არასოდეს იქნება ანტირუსული განწყობა. ჩვენ მხოლოდ ერთი სამართლიანი მოთხოვნა გვაქვს – რუსეთმა უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავოს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები თავისი თანამემამულეების დასაცავად,"** – არ დააგვიანა დაპატიჟება კოკოითმა.

დე ფაქტო ლიდერების განცხადებებს თბილისში "აბსურდულს" უწოდებენ. სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა ბაზებთან დაკავშირებით ბაგაფშისა და კოკოითის გუშინდელ განცხადებებს "თბილისისთვის განკუთვნილ გზავნილად" აფასებს და მიიჩნევს, რომ ამ საკითხშიც **"სოხუმსა და ცხინვალს, ფაქტობრივად, მოსკოვი მართავს."**

**"გასაგებია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაზე რუსეთის გავლენა ძლიერია, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია სოხუმისა და ცხინვალის მიერ რუსეთის საამებლად იმ განცხადებების კეთება, რომელთა განხორციელებას არანაირი პერსპექტივა არ აქვს,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით, სოხუმის ხელისუფლების ლიდერებმა **"კარგად იციან, რომ აფხაზეთში რუსული ბაზების განლაგების მზადყოფნის შესახებ მათ განცხადებებს არავითარი საფუძველი არ აქვს"** და **"საქართველოს ხელისუფლების აშკარად გამაღიზიანებელ ნაბიჯებს იმ იმედით დგამენ, რომ ქართული მხარე შეცდომას დაუშვებს და არაადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს."**

"საქართველოდან გაგდებული რუსული ბაზების" აფხაზეთში განლაგება უსაფუძვლო იდეად არ ეჩვენება გეოპოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ლეონიდ ივაშოვს, რომელსაც მიაჩნია, რომ **"რუსეთი კავკასიიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს, თუმცა საქართველოდან ბაზების გამოყვანა გარდაუვალია."**

სხვა რუსი სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების ახალი დისლოკაციის ადგილი ჩრდილოეთ კავკასია უნდა იყოს. კერძოდ კი, საუბარია დაღესტანზე, სტავროპოლის მხარეზე, ყაბარდო-ბალკარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთზე. რუსი ანალიტიკოსების აზრით, ამ ნაბიჯით, რუსეთი ჩრდილო კავკასიის დამცავ ზოლს შექმნის.

გაზეთ "კომერსანტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მიერ "დაწუნებული" ბაზების ნაწილის, კერძოდ, ახალქალაქის ბაზის განთავსებას რუსეთი მეგობარ სომხეთში შეეცდება. როგორც "კომერსანტი" უცნობ წყაროზე დაყრდნობით წერს, სომხეთი არ იქნება ამის წინააღმდეგი, თუმცა სანაცვლოდ, სომხეთის სატრანსპორტო ბლოკადის საკითხის მოგვარებას მოითხოვს.

სტრატეგიულ და ნაციონალურ კვლევათა სომხური ცენტრის ექსპერტი რაფი ოვანესიანი მიიჩნევს, რომ საქართველოდან რუსული ბაზების სომხეთში გადასროლა შეუძლებელია, რადგან **"სომხეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედროებისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობა მკაცრად რეგლამენტირებულია და მისი გადაჭარბების შემთხვევაში რუსეთი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი სანქციების სამიზნე გახდეს."**

ოვანესიანის თქმით, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა გარდაუვალია. იგი მიიჩნევს, რომ იგივე ბედი ელის სომხეთში განთავსებულ რუსულ ბაზასაც. **"ორმხრივი შეთანხმების თანახმად, რუსი სამხედროები სომხეთში 25 წელი უნდა იყვნენ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ რუსული ბაზები სომხეთში ამდენხანს არ დარჩებიან. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება, მაშინ რუსეთის ბაზებს დაეკარგება სამიზნე – თურქეთი საფრთხე კი არა, პირიქით, რეგიონის უსაფრთხოების გარანტი გახდება,"** – აცხადებს სომეხი ექსპერტი.

სად აპირებს რუსეთი ახალქალაქიდან და ბათუმიდან გამოყვანილი საბრძოლო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადასროლას.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ყველაზე კარგი ვარიანტია ბაზების ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგალიტად დაღესტანში, სტავროპოლის მხარეში, ყაბარდო-ბალკანეთში ან ყარაჩაი-ჩერქეზეთში გადაყვანა.

როგორც რუსი ანალიტიკოსების ნაწილი ამბობს, ამ ნაბიჯით რუსეთს შეუძლია ჩრდილოკავკასიის დამცავი ზოლის შექმნა, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ არის.

# „რკიანი ტრანსპორტი" მოდიდან გადადის

## ტროლეიბუსების დეპოების მომავალი მფლობელები ერთ თვეში დადგინდება

*დედაქალაქში შემორჩენილი 130 ტროლეიბუსიდან ძველებური შემართებით მხოლოდ 50-ღა დადის. თუმცა, ვერც მგზავრთა ნაწილი და ვერც ქალაქის მთავრობა ტრანსპორტის ამ მოდიდან გამოსულ სახეობას ისტორიისთვის ჩასაბარებლად ვერ იმეტებს. სავარაუდოდ, მაისის ბოლოს ან ივნისის შუა რიცხვებში თბილისში არსებულ ორ დეპოზე ტენდერი გამოცხადდება. სატენდერო პირობები საბოლოოდ არ დაზუსტებულა, მაგრამ იმისი თქმა შეიძლება, რომ ტროლეიბუსების რაოდენობას, ჯერჯერობით, შემცირების საფრთხე არ ემუქრება.*

ნანა ქადაგიშვილი

მიმდინარე წლის 17 მარტს თბილისის მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის შემცირების გამო, პარკის ტერიტორიის რეალიზებას ითვალისწინებს. დეპოების თანამშრომლები ამ დადგენილებამ ძალზე შეაშფოთა, რადგან "რეალიზებაში" ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიის გაყიდვა და სამსახურის დაკარგვა ამოიკითხეს. ქალაქის მთავრობა არ მალავს, რომ თბილისში არსებული ორივე დეპოს (ისანსა და საბურთალოზე) დღევანდელი ტერიტორია გაიყიდება. თუმცა, ეს დეპოების გაუქმებასა და მძღოლების უსამსახუროდ დარჩენას არ ნიშნავს.

მგზავრობის ღირებულების სიმცირეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ტროლეიბუსი ადამიანების ფილტვებს ყველა დანარჩენ ტრანსპორტზე ნაკლებად აზიანებს. თანაც, არც მისი შენახვა ჯდება ძალიან ძვირი. როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, ტროლეიბუსებისთვის ერთი კილოვატი ელექტროენერგია მხოლოდ 6 თეთრი ღირს. ამიტომ, ქალაქის მთავრობამ, მცირე ყოყმანის შემდეგ, ტროლეიბუსების დატოვება გადაწყვიტა.

**"უპირველესად, ის უნდა მოვიფიქროთ, ტროლეიბუსი საერთოდ გვჭირდება თუ არა, ან ქალაქის რომელ ნაწილში გვჭირდება. პირადად მე არ ვარ მომხრე, რომ ტრანსპორტის ეს სახეობა ექსპლუატაციიდან მთლიანად ამოვიღოთ. თუ გადავწყვეტთ, რომ ტროლეიბუსები დავტოვოთ, დეპოს პრივატიზაციიდან შემოსული თანხები ისევ ტროლეიბუსების ახალი ხაზების გახსნას, ან გარეუბანში მათ გადატანას უნდა მოხმარდეს. საბოლოო გადაწყვეტილებას ტრანსპორტის საქალაქოს სამსახურის წინადადებების მიხედვით მივიღებთ,"** – აცხადებდა ერთი თვის წინ ქალაქის პრემიერი.

საბოლოოდ კი, ეს საკითხი ტროლეიბუსების სასარგებლოდ გადაწყდა. მაისის ბოლოს ან ივნისის შუა რიცხვებში ტროლეიბუსების ორივე დეპოზე ტენდერი გამოცხადდება. სატენდერო პირობები ჯერ საბოლოოდ არ დაზუსტებულა. თუმცა, როგორც ქალაქის ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურში გვითხრეს, დეპოების მომავალ მფლობელებს, არსებული ტერიტორიის სანაცვლოდ, შედარებით მცირე ფართს შესთავაზებენ. ისანში მდებარე დეპო, იქვე მახლობლად, შპს "შუქნიშნის" ტერიტორიაზე გადაინაცვლებს. საბურთალოზე მდებარე დეპო კი - ჯიქიას ქ.№5-ში, კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე. ამ დეპოს მომავალ მფლობელს დეპოს ახლიდან აშენება და ინსტიტუტისთვის სანაცვლო შენობის გამოძებნა მოუწევს. ამიტომ, ინვესტორმა საწყისი ინვესტიცია, სავარაუდოდ, 7-8 მილიონი ლარი უნდა ჩადოს.

ისანში მდებარე დეპოს ინვესტორს კი თავიდან ბევრად ნაკლები სამუშაოს შესრულება მოუწევს. ძირითადად, ტექნიკური სამუშაოები (ტროლეიბუსის ხაზების გაჭიმვა) ექნება შესასრულებელი. მისთვის საინვესტიციო თანხა ერთი წლის განმავლობაში 2 მილიონ ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. უფრო კონკრეტული პირობები კი, რისი შესრულებაც ინვესტორს მოეთხოვება, ჯერ ზუსტდება.

რაც შეეხება ტროლეიბუსების რაოდენობასა და მგზავრობის ღირებულებას, ეს ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, ამ მხრივ რაიმე ცვლილება, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის. შეიცვლება მხოლოდ ტროლეიბუსის მარშრუტები. ტრანსპორტის ეს სახეობა ქალაქის ცენტრიდან პერიფერიებში გადაინაცვლებს. მაგალითად, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე ტროლეიბუსი აღარ იმოძრავებს. სამაგიეროდ, გარეუბნებში იგი ტრამვაის ადგილსაც დაიკავებს.

ქალაქის მთავრობას მიაჩნია, რომ საინვესტიციო თანხების სერიოზული ოდენობის, მგზავრობის დაბალი ფასისა და მგზავრთა სიმცირის მიუხედავად, ინვესტორები აღნიშნული კონკურსით დაინტერესდებიან. ჯერ ერთი, ტერიტორიები, რომელსაც დეპოების მომავალ მფლობელებს შესთავაზებენ, საკმაოდ დიდია და მეორეც, ტროლეიბუსით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი ფენისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველწიურად 900 ათასლარიანი დოტაცია გამოიყოფა.

# საქართველო ევროპის საგანმანათლებლო სივრცის წევრი ხდება

გუშინ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ნორვეგიის ქალაქ ბერგენში გაემგზავრა. ბერგენში გაიმართება ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნების განათლების მინისტრების კონფერენცია. კონფერენციაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილავენ საქართველოს განაცხადს ბოლონიის პროცესთან მიერთების შესახებ და გადაწყდება, გახდება თუ არა საქართველო ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრი.

წევრობა გულისხმობს, პირველ რიგში, დიპლომების ურთიერთაღიარებას - ქართული დიპლომი, ანუ თქვენი დიპლომი აღიარებული იქნება დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ორმოცამდე ქვეყანაში.

ეს გულისხმობს სტუდენტთა, ანუ თქვენს თავისუფალ გადაადგილებას ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში;

ეს ნიშნავს სტუდენტთა ფართო მონაწილეობას უმაღლესი სასწავლებლების მართვაში, უნივერსიტეტების ავტონომიურობას და სხვა "პრივილეგიებს", რომლის შესახებ დაწვრილებით გიამბობთ "24 საათის" ორშაბათის ნომერში, წერილში "ბოლონიის პროცესი," როცა საქართველოს დელეგაცია ნორვეგიიდან დაბრუნდება.

*24 საათი*


# არქიტექტურის კონკურსი

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24 მე-3 სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

**ტელ: 22-74-02, 96-86-58**
**ფაქსი: 95-99-97**
**ელ-ფოსტა archunion-geo@yahoo.com**


# „ჰილტონი" ბურჯებზე

## ამბიციური პროექტი

ნინო ბერელიძე

*ძველი თბილისის არქიტექტურაში კლდოვან ადგილებზე განლაგებული სახლები ჰარმონიულად არის შერწყმული გარემოსთან. ქართველი არქიტექტორი გიორგი ჩახავა ტრადიციის გაგრძელებას და დღეს აუთვისებელი ტერიტორიების მშენებლობისთვის გამოყენებას აპირებს. პროექტით ჰოლანდიური სამშენებლო კომპანია და "ჰილტონის" სასტუმროების ქსელი დაინტერესდა.*

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, თბილისის საგზაო სამინისტროს შენობამ, რომელიც გაგარინის მოედანზე მდებარეობს, მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. 1981 წელს ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმმა გამოსცა მსოფლიოში საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობების კატალოგი, სადაც ეს შენობაც იყო შესული. იდეის ავტორი კი გახლავთ აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი გიორგი ჩახავა.

მისი ოცნებაა, თბილისში აშენდეს ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისი ულტრათანამედროვე არქიტექტურული ნაგებობები - საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები და საკონფერენციო დარბაზები. გიორგი ჩახავამ რამდენიმე თვის წინ მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში წარადგინა იდეა, თბილისში, რთულ რელიეფზე, ბურჯებზე აღმართული მრავალფუნქციური კომპლექსის და პარკის პროექტის სახით. პროექტით დაინტერესდა და ინვესტიციების დაბანდების მზადყოფნა გამოხატა ჰოლანდიურმა ფირმამ "ვან დერ ვენი და კომპანია."



არქიტექტორ გიორგი ჩახავას პროექტს ინვესტორები გამოუჩნდნენ.

თბილისის რელიეფი განუმეორებელია, ის დიდ საშუალებას იძლევა შემოქმედებისთვის. რაც უფრო რთულია რელიეფი, მით უფრო მეტია არქიტექტურის შემოქმედებითი სივრცე. ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიაა ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერიის დიღმის მიმართულების ის მონაკვეთი, რომლებიც გზების დეპარტამენტს და მარშალ გელოვანის პროსპექტზე მდებარე მანქანების ბაზრობას შორის არის მოქცეული. მისი ფართობი დაახლოებით ხუთი ჰექტარია. აქ ჩაიდგმება სასტუმროს კომპლექსი და გაშენდება პარკი.

გიორგი ჩახავას თქმით, იგი ამ პროექტზე 1965 წლიდან მუშაობდა. **"საბედნიეროდ, დღეს ჩემი იდეა მოეწონა ხელისუფლებას და ინვესტორიც გამოჩნდა, ჰოლანდიური კომპანიის სახით. უფრო მეტიც, სასტუმროს ოპერატორიც გამოჩნდა - ბრიტანული კომპანია "ჰილტონი,"** - ამბობს არქიტექტორი. მისი თქმით, პროექტი ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ჰოლანდიელმა ინვესტორებმა გააცნეს.

**"ძალიან მაწუხებს, რაც დღეს ქალაქში ხდება. მიმაჩნია, რომ ამდენი და ამხელა რკინაბეტონის "დინოზავრები" არავის სჭირდება. უარესიც, ეს მრავალსართულიანი სახლები სეისმურად არამდგრად ნიადაგზე შენდება. რატომღაც, ხელოვნურად და გააზრებულად ვაფუჭებთ თბილისს,"** – აცხადებს გიორგი ჩახავა.

პროექტის და ბიზნეს-გეგმის შემუშავებას, სულ მცირე, ექვსი თვე დასჭირდება, რის შემდეგაც მშენებლობის დაწყებაც შესაძლებელი გახდება.

თბილისს აქვს ტერიტორიული რესურსები, რომლის ათვისება ქალაქს განუმეორებელ ეფექტს შემატებს. ეს 200 ჰექტარამდე შიშველი კლდოვანი ფერდობებია, რომელზეც შეიძლება გაშენდეს მხატვრულად გააზრებული, საცხოვრებლად მოხერხებული, გარემოსთან ჰარმონიულად შერწყმული სეისმომდგრადი სახლები, მიწისქვეშა ურბანიზაციის ფართო შესაძლებლობებით, რაც ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი არქიტექტურა იქნება.

# თბილისში ისრაელის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

## "ხაგ ააცმაუთ სამეახ!"

ხათუნა გაბიევი

**"57 წლის წინ, თელ-ავივის მუზეუმში გამართულ ცერემონიალზე, დავით ბენ-გურიონმა წაიკითხა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას გვაუწყებდა. უკვე 57 წელია, მსოფლიო ებრაელობა უდიდესი სიამაყითა და ოპტიმიზმით აღნიშნავს დიდი ხნის ოცნების გაცხადებას – ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას,"** - ამ სიტყვებით გახსნა გუშინ საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა შაბთაი ცურმა აღთქმული მიწის სახელმწიფოებრიობის 57-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება "ქორთიარდ-მარიოტში."

მისასალმებელ სიტყვაში ელჩმა უდიდესი მადლიერება გამოხატა საქართველოსადმი, რომელიც აქ მცხოვრები ებრაული თემისათვის მეორე სამშობლოდ ქცეულა და საუკუნეთა მანძილზე მსოფლიოს ორი ერის უნიკალური მეგობრობის მაგალითს უჩვენებს. **"როგორც საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორი და სტრატეგიული მოკავშირე, ისრაელი კვლავაც განაგრძობს საქართველოს დახმარებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზაზე. თავის მხრივ, ისრაელის სახელმწიფოს მთავარ მიზნად ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება რჩება. ვისურვებ, რომ უახლოეს ხანში როგორც ისრაელს, ისე მსოფლიო ებრაელობას, საქართველოსა და, საერთოდ, მთელ კაცობრიობას მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრების საშუალება მიეცეს. მჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ ორივე სახელმწიფოსათვის უკეთესი მომავლის აშენებას,"** - აღნიშნა სიტყვის დასასრულს ისრაელის ელჩმა.

ორი ქვეყნის ეროვნული ჰიმნის დასრულებას ისრაელიდან სპეციალური მოწვევით ჩამოსული ვოკალური ანსამბლის "კოლანის" გამოსვლა მოჰყვა, რომლის მიერ შესრულებული ებრაული და ქართული სიმღერები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

ისრაელის ეროვნული დღესასწაული ორ ერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც მიულოცა: **"ეს არის ღირსშესანიშნავი თარიღი არა მარტო ისრაელისათვის, არამედ საქართველოსა და მთელი მსოფლიოსათვის. წარსული დიდებულია, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღესა და მომავალზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მრავალი პრობლემის წინაშე ვდგავართ, ჩვენ ავაშენებთ თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოებს. ღმერთმა დალოცოს ისრაელი და საქართველო."**

დასასრულს, ისრაელის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს საქართველოში შაბთაი ცურს თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილის სახელობის საქართველო-ისრაელის ინსტიტუტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

# "თელიანი ველი" რუსეთის ბაზარზე პოზიციებს იმყარებს

ნინო ნარჩემაშვილი

*სს "თელიანი ველი" და ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული ჰოლდინგი "აგროსეკო" (АгросЭко) რუსეთის ბაზარზე ბიზნეს პარტნიორები გახდნენ. ხელშეკრულებას პარტნიორობის შესახებ გუშინ თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მოეწერა ხელი. რაც იმას ნიშნავს, რომ АгросЭко რუსეთის მთელ ტერიტორიაზე "თელიანი ველის" პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი ხდება.*

"თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გეგენავას განცხადებით **"ისეთი კომპანიების თანამშრომლობა როგორიცაა "თელიანი ველი" და АгросЭко ხელს შეუწყობს საუკეთესო ქართული ღვინის ღირსეულ წარმოჩინებას რუსეთში და საშუალებას მისცემს ტრადიციული ქართული ღვინის დამფასებლებს, მიიღონ უმაღლესი ხარისხისა და სტანდარტების ქართული ნაწარმი".** АгросЭко-ს მფლობელის ვადიმ რადინის შეფასებით კი **""თელიანი ველი"-ს და АгросЭко-ს თანამშრომლობა მაქსიმალურად შეზღუდავს უხარისხო და ფალსიფიცირებული ქართული ღვინის პროდუქციის რეალიზაციას რუსეთში და დაუბრუნებს საქართველოს ტრადიციულად მოწინავე ღვინის მწარმოებელი ქვეყნის იმიჯს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი ხარისხის ქართული ღვინის პოპულარიზაცია რუსეთის ფედერაციაში მოხდება. სწორედ "თელიანი ველი"-ს ღვინოების ხარისხმა განაპირობა ასეთი თანამშრომლობის წამოწყება".**



„თელიანი ველი" და „АгросЭко" ბიზნეს პარტნიორები გახდნენ.

შეგახსენებთ, რომ სს "თელიანი ველი" 1997 წელს დაარსდა და დღეისათვის კომპანია ქართული ტრადიციული მეღვინეობის და თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიების შერწყმის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. "თელიანი ველის" მიერ წარმოებული მაღალხარისხოვანი თეთრი, ვარდისფერი და წითელი მშრალი, ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინოები კარგად არის ცნობილი როგორც საქართველოში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ. კომპანიის პრიორიტეტს საუკეთესო ხარისხი და შესაბამისად საბოლოო პროდუქციის გარეგნული სახე წარმოადგენს, ამიტომაც "თელიანი ველის" ბოთლის, საცობის, ეტიკეტების მომწოდებლები მსოფლიოში საუკეთესო მწარმოებლები არიან. "თელიანი ველის" მიერ წარმოებული პროდუქციის 90% საექსპორტოა და საქართველოს ფარგლებს გარეთ იყიდება. კომპანიის მმართველობა ქართულ ბაზარზე საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის ზრდას გეგმავს. გაყიდვები აგრეთვე გეგმაზომიერად და სტაბილურად იზრდება დსთ-ს, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის და აშშ-ს ბაზრებზე.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კომპანიაში "თელიანი ველი" პირდაპირი ინვესიტიცია განახორციელა და მისი აქციონერიც გახდა. დაიწყო ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა, ახალი ტექნოლოგიური ხაზების დამონტაჟება. კომპანიამ შეიძინა ღვინის დასაძველებლად საჭირო მუხის კასრები და გააშენა ვენახები მეღვინეობისათვის საუკეთესო მიკროზონებში. ამ დროიდან "თელიანი ველი"-ს ღვინის წარმოების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2005 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გამართულ კონკურსში "თელიანი ველი" საუკეთესო საშუალო ბიზნეს-კომპანიის ნომინაციაში იმარჯვებს. მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე "პროდექსპო" კომპანიამ ღვინის ოთხი სახეობა წარადგინა. გამოფენის კონკურსებში - "საუკეთესო პროდუქტი 2005" და "ალკოჰოლური სასმელების მე-7 სადეგუსტაციო კონკურსი"- "თელიანი ველის" კონკურსზე წარდგენილი ოთხივე ღვინო ("თელიანი", "მუკუზანი", "წინანდალი", "ცოლიკაური") ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

რაც შეეხება რუსულ კომპანიას, АгросЭко დაარსებულია 1991 წელს და რუსეთის ალკოჰოლურ ბაზარზე დღეისათვის უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას წარმოადგენს. მისი წლიური ბრუნვა $100 მლნ. აშშ დოლარს აღემატება და მოიცავს მსოფლიოში ისეთ ცნობილ ალკოჰოლურ ნაწარმს, როგორიცაა ბაკარდი, რემი მარტინი, ჩივას რეგალი, მარტელი, კურვაზიე და სხვა. აგრეთვე ფრანგული, იტალიური და ესპანური ელიტარული ღვინოები, რასაც ამიერიდან უკვე უმაღლესი ხარისხის ქართული ღვინო "თელიანი ველიც" დაემატება.

# რუსი პოლიტტექნოლოგები „ხავერდოვანი რევოლუციების" პროგნოზირებას ცდილობენ

*რუსეთის ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის დამფუძნებელმა, პოლიტოლოგმა სტანისლავ ბელკოვსკიმ გუშინ სააგენტო "რიანოვოსტი"-ის ოფისში პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების საკუთარი გრაფიკი წარმოადგინა. მკვლევარის აზრით, რეჟიმების შეცვლა ყველაზე ნაკლებად თურქმენეთს და ბელარუსს ემუქრებათ.*



*სტანისლავ ბელკოვსკი.*

**"პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციები შიდა მიზეზებითაა განპირობებული და გარე ფაქტორები მეორადია",** - განაცხადა ბელკოვსკიმ სააგენტო "რიანოვოსტი"-ს ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, რითაც ეჭვქვეშ დააყენა პოპულარული თვალსაზრისი რევოლუციების ექსპორტის შესახებ.

პოლიტოლოგმა ის ათი კანონზომიერება დაასახელა, რომელიც საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში უკვე განხორციელებული "ფერადი რევოლუციების" სცენარით ხელისუფლებათა შეცვლას იწვევს - სახელისუფლო ვერტიკალის ჩაკეტილობა, რომელიც ახალი ძალების მოდინებას ხელს უშლის; მმართველი ელიტებისადმი ხალხის უნდობლობა, სიტუაცია, როცა საზოგადოება მომავლის პერსპექტივას ვერ ხედავს; ეთნიკური კონფლიქტები; ოპოზიციის და ალტერნატიული ლიდერების არსებობა; კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ძალოვნებს არ სურთ, იარაღი გამოიყენონ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

**"სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი - ამ ქვეყნებში რევოლუცია ყველაზე სავარაუდოა",** - თვლის ბელკოვსკი.

მისი აზრით, ქალაქ ანდიჟანში სახალხო მღელვარების სასტიკად ჩახშობა მხოლოდ წინამორბედია იმ რევოლუციისა, რომლის პიკიც, სავარაუდოდ, უზბეკეთს 2 წლის შემდეგ ელის. **"კონკურენტული იდეოლოგიების არარსებობის პირობებში კარიმოვის მიერ შექმნილ ვაკუუმს ისლამი შეავსებს",** - განაცხადა ბელკოვსკიმ.

რაც შეეხება ყაზახეთს - იგი არ გამორიცხავს, რომ "პოლიტიკაში გაწაფულმა" პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა რევოლუციური პროექტის "ზევიდან" შეთავაზებით "ქვევიდან" რევოლუციის თავიდან აცილება სცადოს.

რუსი მკვლევარის აზრით, რუსეთი მეორე ხარისხის რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება. ამ რისკის ჯგუფის ძირითად ფაქტორებად მან ხელისუფლების ვერტიკალის ჩაკეტილობა, გუბერნატორების არაპირდაპირი არჩევნები და პოლიტიკურ კლასთან ბიუროკრატიის შერწყმა დაასახელა.

**"რუსეთში რევოლუციის და ქვეყნის დაშლის თავიდან აცილება ერთი და იგივეა. რევოლუცია რუსეთში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ყველაფერი დაინგრევა",** - აღნიშნა პოლიტოლოგმა.

პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გზითაა შესაძლებელი. ამ არჩევნებში კი ექსპერტი გამარჯვებას მემარცხენე-ნაციონალისტურ ბლოკს უწინასწარმეტყველებს.

ამავე რისკ-ჯგუფში ბელკოვსკის რუსეთთან ერთად აზერბაიჯანიც შეჰყავს. "ამ ორ ქვეყანას რევოლუციური სცენარი ჯერჯერობით არ ემუქრება", - თვლის პოლიტოლოგი.

საოცარია, მაგრამ დასავლეთის მიერ "დიქტატორებად" შერაცხულ - ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს და თურქმენეთის პრეზიდენტს საფარმურად ნიაზოვს, ბელკოვსკი ყველაზე "მყარ" მმართველებად მიიჩნევს, რომელთა ქარიზმა, საკუთარი ხალხის დიდი ნაწილის თვალში, მნიშვნელოვანწილადაა მათი პოლიტიკური იმუნიტეტი. თუმცა, ბელკოვსკის თქმით, ამგვარ ლიდერებს, რევოლუციების ნაცვლად, შეთქმულების უფრო უნდა ეშინოდეთ. **"ასეთ ქვეყნებში ხელისუფლების ცვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ის უახლოესი თანამებრძოლების მიერ იქნება ორგანიზებული",** - აღნიშნა პოლიტოლოგმა.

*რიანოვოსტი*

# იტალიელებზე ნადირობა გრძელდება, ამჯერად - ავღანეთში




*გუშინ ასობით ავღანელი ქვრივი გამოვიდა ქუჩაში.*

პირველი გვერდიდან

"ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს დანაშაული ცოტა ხნის წინ პოლიციის მიერ დაპატიმრებული ბანდიტების თანამზრახველებმა განახორციელეს", - განაცხადა ქაბულის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს დირექტორმა აბდულ ჯამილმა.

იტალიური მედია კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ქაბულში იტალიელი მოქალაქის გამტაცებლებმა გუშინ ავღანეთის მთავრობას მათი ბანდის მეთაურის თელაგაისა (იგივე თელა მოჰამადი) და ბანდის სხვა წევრების გათავისუფლება მოსთხოვეს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის "ქეარ ინტერნეშნლის" თანამშრომელი ქალი, იტალიელი კლემენტინა კანტონი ორშაბათს საღამოს ქაბულის ცენტრში, იტალიის საელჩოს მიდამოებიდან გაიტაცეს. იგი ავღანეთში ჰუმანიტარული პროგრამის ფარგლებში მუშაობდა და 31 მაისს უკან, იტალიაში უნდა დაბრუნებულიყო. როგორც სააგენტო "ანსა" იტყობინება, ავტომანქანას, რომელშიც კანტონი ავღანელ მძღოლთან და კიდევ ერთ ევროპელთან ერთად იმყოფებოდა, გამტაცებლებმა "ტოიოტას" მარკის ავტომანქანით გზა გადაუღობეს. შეიარაღებულმა პირებმა ავტომანქანიდან ქალი ძალით გადმოიყვანეს და "ტოიოტაში" ჩასვეს. მძღოლი და მეორე მგზავრი თავდამსხმელებს ხელიდან დაუსხლტნენ.

იტალიელი ქალის გატაცებამ საპროტესტო აქციები გამოიწვია ქაბულში. გუშინ ასობით ავღანელი ქვრივი გამოვიდა ქუჩაში და მთავრობისგან კანტონის გასათავისუფლებლად ზომების მიღება მოსთხოვა. "ის ძალიან კეთილი ქალი იყო. ვთხოვთ ავღანეთის მთავრობას, ყველა ღონე იხმაროს მისი დაუყოვნებელი გათავისუფლებისთვის", - აცხადებდნენ აქციის მონაწილენი. ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ცნობით, კლემენტინა კანტონი, უკვე ორი წელია, ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც ქაბულის ათი ათასი მარტოხელა დედა იღებდა დახმარებას.

მომხდარის თაობაზე ინფორმირებულია იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მუდმივ კონტაქტშია.

წელს იტალიის მოქალაქეთა გატაცების ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა მსოფლიოს "ცხელ წერტილებში". შეგახსენებთ, სამი მათგანი - სიმონა პარი, სიმონა ტორეტა და ჯულიანა სგრენა ერაყში ყოფნისას გაიტაცეს.

# ირანის ბირთვული პროგრამა

### ირანს "ევროპულ სამეულთან" კიდევ ერთხელ უწევს მოლაპარაკებების გამართვა

მას შემდეგ, რაც ირანის პარლამენტმა (მეჯლისმა) სამშვიდობო ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა, ჯერი მხოლოდ ევროკავშირის პოზიციაზე მიდგა - კერძოდ, როგორი იქნებოდა "ევროპული სამეულის" რეაქცია ოფიციალური თეირანის ნაბიჯზე.

**"დოკუმენტით კიდევ ერთხელ მტკიცდება სრული ბირთვული ციკლის შექმნისათვის ატომური ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა. მომავალში 20 000 მეგავატის სიმძლავრის ატომური ელექსტროსადგურის მშენებლობისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,"** - განაცხადეს მეჯლისის პრესსამსახურში მიღებული დოკუმენტის მნიშვნელობაზე საუბრისას. თუმცა, ირანის კანონმდებლობის თანახმად, რატიფიცირებული კანონპროექტი ძალაში ვერ შევა მანამდე, სანამ მას არ დაამტკიცებს პარლამენტის მმართველი ორგანო – დამკვირვებელთა საბჭო, ხოლო შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიზანმიმართულების განსაზღვრის საბჭო.

ზემოაღნიშნულ ორგანოთა ძირითადი ფუნქცია რატიფიცირებულ კანონპროექტთა ქვეყნის კონსტიტუციასა და სახელმწიფოს ინტერესებთან შესაბამისობაში განხილვაა.

**"ჩვენ მოვითხოვთ სამშვიდობო მიზნებით ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების სფეროში ჩვენი უფლებების პატივისცემას. როგორც ცნობილია, "ევროპულმა სამეულმა" (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) შემოგვთავაზეს მოლაპარაკებათა კიდევ ერთი რაუნდის გამართვა, რაზეც ჩვენც დიდ იმედებს ვამყარებთ. ურიგო არ იქნება, თუკი ამ დიალოგის ფარგლებში შევძლებთ ისეთი ფორმულების შემუშავებას, რაც აღნიშნულ სფეროში ჩვენი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს,"** - აღნიშნა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ. ჯერჯერობით უცნობია, შეიცვლება თუ არა მოლაპარაკებების სავარაუდო თარიღი – 23 მაისი. მოლაპარაკებები მიმდინარეობს შეხვედრის დროსთან, ადგილსა და დონესთან დაკავშირებით. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების მეთაურის თქმით, ჯერჯერობით შეუძლებელია დიალოგის ფარგლებში სავარაუდო შეთანხმებებზე წინასწარ საუბარი, თუმცა საჭიროა გონიერების გამოჩენა, როგორც ირანის, ასევე ევროპის მხრიდანაც.

საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების შესრულებისას ირანის კეთილსინდისიერებაზე საუბრობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივანი ჰასან როუჰანიც. **"ირანმა პირნათლად შეასრულა გასული წლის ბოლოს პარიზში მიღწეული შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ახლა უკვე ევროკავშირმა უნდა გადადგას გარკვეული ნაბიჯები. სრული ბირთვული ციკლის შექმნაზე შეზღუდვების დაწესება საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. ჩვენ გვსურს, დავარწმუნოთ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ბირთვული პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით არსებული ეჭვებისა და შიშის უსაფუძვლობაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებათა კიდევ ერთ რაუნდზე ევროკავშირთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენს მიზნებზე, რაც აბსოლუტურად სამშვიდობოა,"** - აცხადებდა ორიოდე დღის წინ როუჰანი.

ერთი შეხედვით, არსებული ჰარმონიული სურათი, შესაძლოა, მცდარიც აღმოჩნდეს და სინამდვილეში პოზიციათა დაახლოება არც ისე სანდო იყოს, როგორც ამის დახატვას ირანული მხარე ასე გულმოდგინედ ცდილობს. ამას მოწმობს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჰამიდ რეზა ასეფის განცხადება, რომლის თანახმადაც "მოლაპარაკებათა შემდეგი რაუნდი ევროპელებისთვის უკანასკნელი შანსი იქნება". ირანული მხარის აზრით, ევროპელები არ ასრულებენ საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს და მხოლოდ დრო გაჰყავთ. ევროპელთა ქცევის ახსნა ირანელთა აზრით, მხოლოდ ერთი მოტივით შეიძლება – მოლაპარაკებების გაჭიანურებისას თანდათან აიძულონ ოფიციალური თეირანი, საბოლოოდ თქვას უარი ურანის გამდიდრების პროგრამაზე.

პარიზის შეთანხმების თანახმად, ირანის ისლამურ რესპუბლიკას დროებით უნდა შეეჩერებინა ურანის გამდიდრების პროგრამასთან დაკავშირებით დაწყებული სამუშაოები მანამდე, ვიდრე ნდობა არ გაჩნდებოდა მხარეებს შორის; ევროკავშირი კი ვალდებული იყო, თავის მხრივ, მიეწოდებინა ირანისათვის უახლესი ატომური ტექნოლოგიები და ხელი შეეწყო თეირან-ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ირანის გაწევრიანებისათვის.

რამდენიმე დღიანი ლოდინის შემდეგ "ევროპულმა სამეულმა" მიიღო გადაწყვეტილება, მომავალ კვირას შეხვდნენ ირანელ მაღალჩინოსნებს. თუმცა, როგორც "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები კვლავ შეეცდებიან ოფიციალური თეირანის დარწმუნებას, უარი თქვას ბირთვულ ამბიციებზე. გარდა ამისა, ევროპელ მაღალჩინოსანთა (რომელთაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ევროპელი მინისტრები ასევე შეეცდებიან, დაარწმუნონ ჰასან როუჰანი და "გაყინული" ბირთვული პროგრამის განახლება ირანში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე მაინც გადაავადებინონ. როგორც ირანელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, ისინი ისედაც საკმაოდ დიდ ზეწოლას განიცდიან, სწორედ, ივნისში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების გამო. ამდენად თუ დიალოგს მათთვის მისაღები შედეგები არ მოჰყვება, ირანული მხარე, უბრალოდ, იძულებული გახდება, განაახლოს ბირთვული პროგრამა.

როგორც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია საჯაროდ აცხადებს, მოლაპარაკებების სათანადო შედეგებით დასრულების შემთხვევაში, მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო ირანის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისა. თუმცა, როგორც არაოფიციალური წყარო იტყობინება, ადმინისტრაცია ასევე მზადაა დიალოგის ჩავარდნის შემთხვევაში სამომავლო ქმედებისათვის.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** სანკტ-პეტერბურგის კრონშტადტის გარეუბანში მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიაზე, სიღრმული ყუმბარების სარემონტო საამქროში გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხანძარი მძვინვარებდა. ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ დღის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი. იუწყებიან, რომ ცეცხლის ალში გახვეულ სამხედრო საწყობში აფეთქებებიც ხდებოდა, რის გამოც, სანკტ-პეტერბურგიდან კრონშტადტისკენ მიმავალი ერთადერთი გზა მთლიანად გადაკეტილი იყო - კუნძულზე მხოლოდ სამხედროებს, მილიცელებს და მეხანძრეებს უშვებდნენ.

როგორც საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს პეტერბურგის მთავარ სამმართველოში ჟურნალისტებს აცნობეს, ხანძრის შედეგად 6 ადამიანი - ოთხი ქალი და ორი მამაკაცი დაშავდა. მათგან ორი მძიმე მდგომარეობაშია. ინციდენტის მიზეზი, სავარაუდოდ, სამოქალაქო სპეციალისტის არაპროფესიონალიზმი გახდა. სამხედრო საწყობში მინი-აფეთქება მას შემდეგ მოხდა, რაც მან სიღრმული რეაქტიული ჭურვის დაშლა დაიწყო. საბოლოო დასკვნებს სპეციალური კომისია გააკეთებს. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ინდოეთი.** დაუზუსტებელი ინფორმაციით, 37 ადამიანი დაიღუპა გუშინ ინდოეთის შტატ უტარანჩალში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად. პოლიციის ცნობით, ავტობუსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ქორწილში მიმავალი ხალხით გადაჭედილი ავტობუსი ხევში გადავარდა. როგორც იუწყებიან, 28 ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ცხრა - საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. **მონდი**

■ ■ ■

**აზია.** 16 მაისს ოფიციალურმა ფხენიანმა და სეულმა, ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, სამუშაო მოლაპარაკებები განაახლეს. როგორც ცნობილია, უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში ეს საკითხი "გაყინული" იყო.

პოზიციათა დაახლოების მიზნით დაწყებული მოლაპარაკებები სასაზღვრო ქალაქ ქესონში მიმდინარეობს. აღნიშნულ ქალაქში ინდუსტრიული კომპლექსის აღჭურვაზე ორივე მხარე მუშაობს.

რაც შეეხება, უშუალოდ, მოლაპარაკებათა მსვლელობას, ჩრდილოეთ კორეის დელეგაცია გაურბოდა ბირთვულ პროგრამაზე პირდაპირ საუბარს. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, "ყურადღებით მოესმინათ" სამხრეთ კორეის წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც ჩრდილოელ მეზობლებს მოუწოდეს, დაბრუნებოდნენ ექვსმხრივ მოლაპარაკებებს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებდა კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილ ვითარებას. **24 საათი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის სამხედრო სამეთაურო შტაბის წარმომადგენლის განცხადებით, 16 მაისს ერაყელ ბოევიკებს კიდევ 2 ჟურნალისტი ემსხვერპლა. როგორც გაირკვა, ჟურნალისტები კუვეიტის თანამგზავრული ტელეარხის "არ-რაის" თანამშრომლები იყვნენ. ისინი ბოევიკთა ალყაში მოექცნენ შიიტთა წმინდა ქალაქიდან - ქერბალადან დაბრუნებისას. ჩასაფრებულმა ბოევიკებმა მანქანიდან გადმოიყვანეს ჟურნალისტები და თავები მოჰკვეთეს; მოკლულია მძღოლიც.

მასმედიის თანამშრომელთა წინააღმდეგ მიმართული აგრესია მხოლოდ ამით არ ამოწურულა - იმავე დღეს ერაყის ეროვნული გვარდიის წარმომადგენელთა მიერ კიდევ 3 ჟურნალისტის გვამი იქნა აღმოჩენილი. როგორც "ალ ჯაზირა" იუწყება, დაღუპულები ადგილობრივი ჟურნალისტები იყვნენ.

გასული 2 დღე-ღამის მანძილზე კი ქვეყნის 4 რაიონში სულ 64 ერაყელის გვამია აღმოჩენილი. **იტარ-ტასი**


## USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

### პროექტის მართვის სპეციალისტი (კომერციული კანონმდებლობა, რეგულირება და მართვა) ვაკანსია N 114-05-07

*ეს ვაკანსია ცხადდება განმეორებით. მათ, ვინც უკვე შემოიტანა განაცხადი მოცემულ ვაკანციაზე, აღარ ესაჭიროებათ საბუთების განმეორებით შემოტანა.*

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ეკონომიკის განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობას ძირითადი მოვალეობებია:

■ 12-15 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის, 4 წლის ხანგრძლივობის კონტრაქტის მენეჯმენტი, რომელიც მოემსახურება ამჟამად განვითარების სტადიაში მყოფი კომერციული კანონმდებლობისა და რეგულირების რეფორმას.

■ რეკომენდაციების გაწევა ეკონომიკის განვითარების პროგრამების იურიდიულ და კანონმდებლობით საკითხებში.

■ ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება USAID-ის მაღალი რანგის პარტნიორებთან საქართველოს მთავრობაში, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FSN-11. საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

■ იურისტის დიპლომი აკრედიტებული უნივერსიტეტებიდან. (აშშ-ს სტანდარტებით სამართლის დოქტორი (J.D.) ან სამართლის მაგისტრი (LL.M.); საქართველოს განათლების სტანდარტებით - ხუთწლიანი საუნივერსიტეტო კურსის დამთავრების შედეგად მიღებული იურისტის დიპლომი).

■ ხუთიდან შვიდ წლამდე გამოცდილება მზარდი პასუხისმგებლობით, აქედან სამი წლის განმავლობაში კლიენტებისთვის სამართლებრივი რჩევების გაწევა იურიდიულ ფირმაში, ან კომერციული კომპანიისა ან ბანკის იურიდიულ განყოფილებაში.

■ ორიდან სამ წლამდე მენეჯმენტის გამოცდილება (მაგ., თვიური ან წლიური დაგეგმვა და მიზნების დასახვა, თანამშრომელთა ხელმძღვანელობა, ბიუჯეტის შემუშავება და კონტროლი, პროექტების მართვა).

■ ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა, დამატებით სასურველია რუსულის ცოდნა კარგ სამუშაო დონეზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV , დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 20 მაისის საღამოს 6 საათამდე. **დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.**

**ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.**

*USAID is an Equal Opportunity Employer*

მოკლედ

## საქართველოს საფონდო ბირჟა 5 წლის იუბილეს აღნიშნავს

საქართველოს საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი 5 წლის იუბილეს აღნიშნავენ. ამასთან დაკავშირებით გუშინ "თიბისი ბანკის" ცენტრალურ ოფისში გაიმართა მრგვალი მაგიდა "კაპიტალის ბაზარი და ეკონომიკური განვითარება", რომელსაც ქართველ ექსპერტებთან ერთად, ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის წევრი 12 საფონდო ბირჟის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გოგი ლოლაძემ განაცხადა, ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს ქვეყანაში უცხო ინვესტიციების მოზიდვას და ბიზნესის გამჭვირვალობას, კაპიტალის ბაზარი კი ხელს უწყობს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიურ ჩართვას ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედებაში.

როგორც ლოლაძემ აღნიშნა, საქართველოს საფონდო ბირჟისთვის 2004 წელი გარდატეხის წლად შეიძლება, ჩაითვალოს, ვინაიდან გასულ წლებთან შედარებით, 2004 წელს ძირითადი მაჩვენებლების უპრეცედენტო ზრდა დაფიქსირდა. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის უსაფრთხოებაზე სამი ქვეყანა ერთობლივად იზრუნებს. საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის რესპუბლიკები აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის უსაფრთხოებაზე ერთობლივად იზრუნებენ.

"საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის რესპუბლიკებს შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ" დადგენილება საქართველოს პარლამენტმა სამშაბათს, 140 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო.

დადგენილების თანახმად, სამ ქვეყანას შორის უსაფრთხოების დარგში არსებული თანამშრომლობა მილსადენის უსაფრთხოებაზეც ვრცელდება. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის ძირითად კომპონენტებს კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენი (BTC), სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი აირის მილსადენი (SCP) და დასავლეთის მარშრუტის ადრეული ნავთობის საექსპორტო მილსადენი (WREP) წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საბანკო სექტორი საერთაშორისო საბანკო გაერთიანებაში შედის. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ბანკების ასოციაცია 2005 წლის ბოლომდე საერთაშორისო საბანკო საბჭოში გაწევრიანდება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბანკო ასოციაციათა საბჭოსა და საქართველოს ბანკების ასოციაციას შორის მემორანდუმს საქართველოს მხრიდან ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ მოაწერა ხელი, ხოლო საბჭოს მხრიდან - საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრ მურიჩევმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კავშირგაბმულობის სექტორში ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და დერეგულაციისკენ პირველი ნაბიჯი გადაიდგა. გუშინ პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", რომელიც კავშირგაბმულობის სექტორის ლიბერალიზაციას და აღნიშნულ სფეროში რეგულირების შემცირებას ითვალისწინებს. ახალი კანონპროექტი ჩაენაცვლება ამჟამად საქართველოში მოქმედ "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" კანონს. კანონპროექტით გათვალისწინებულია ბევრი სიახლე. მათ შორის, ამჟამად კავშირგაბმულობაში არსებული 34 ლიცენზიიდან გაუქმდება 32; დარჩება მხოლოდ 2 სახის ლიცენზირება, დანარჩენი საქმიანობები კი რეგისტრაციას დაექვემდებარება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის მარშრუტით იანვარ-აპრილში აზერბაიჯანიდან მილიონ ორასი ათასი ტონა ნავთობი გადაიქაჩა. აქედან, 739 ათასი ტონა ნავთობის ექსპორტი აზერბაიჯანის ნავთობკომპანიამ განახორციელა, 461 ათასი ტონა კი - აზერბაიჯანულმა საერთაშორისო კომპანია "ამოკმა".

იანვარ-აპრილში "ამოკმა" მთლიანობაში 2 მილიონ 744 ათასი ტონა ნავთობი გაიტანა, რომლიდანაც 2 მილიონ 283 ათასი ტონა ბაქო-სუფსის მარშრუტით გადაიქაჩა. **მედიანიუსი**

# სამდღიანი სემინარი ფულის გათეთრებაზე

დღეს დილით სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საერთაშორისო სემინარი გაიხსნება, რომელიც ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება. სემინარის, რომელიც მომდევნო 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება, ორგანიზატორები არიან საქართველოს გენერალური პროკურატურა, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი და მსოფლიო ბანკი.

კონფერენციაში მონაწილეობენ მსოფლიო ბანკის, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს, აშშ-ს ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის, უკრაინის, თურქეთის, ლატვიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. აღნიშნულ კონფერენციაზე საქართველოს მხარეს წარმოადგენენ საქართველოს გენერალური პროკურორ ზურაბ ადეიშვილი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან არსებული, ფულის გათეთრების სამართლებრივი დევნის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ვაჟა ჯანყარაშვილი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი არჩილ ცერცვაძე და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გეგუჩაძე.

კონფერენციაზე განიხილება ფულის გათეთრებისა და დაზღვევის სისტემა, მისი ტიპოლოგია და ხარვეზები; ოფშორული კომპანიები; ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება: ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ გეგუჩაძის განცხადებით: **"საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ჯანსაღი რეჟიმის შესაქმნელად, რაც დადებითად იქნა შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და ასეთი მაღალი დონის კონფერენციის სწორედ თბილისში ჩატარება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს აღიარებას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური სტრუქტურების სრულფასოვან წევრად."**

*24 საათი*

# პარლამენტი მიწის პრივატიზაციის შესახებ მსჯელობას განაგრძობს

*პარლამენტი მიწის პრივატიზაციის შესახებ მსჯელობას აგრძელებს. გუშინ პლენარულმა სხდომამ კანონპროექტი "სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზაციის შესახებ" მეორე მოსმენით განიხილა, თუმცა კითხვები ამ პროცესთან დაკავშირებით ისევ დარჩა.*

თამარ ივანიძე

დეპუტატთა ნაწილი მოითხოვდა გარკვეულ დროს, რათა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ძველი ხელისუფლების დროს იჯარით უკანონოდ გაცემული მიწების უკან დაბრუნება შეძლონ. პარლამენტართა ამ პოზიციას არ ეთანხმება რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, რომლის აზრით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საკმარისი დრო ჰქონდათ ძველი ხელისუფლების დროს იჯარით უკანონოდ გაცემული მიწების უკან დასაბრუნებლად. **"ამ პროცესის გაჭიანურება დამღუპველი იქნება ქვეყნის ეკონომიკისათვის. ჩვენ ამით სოფლის მეურნეობას დავანგრევთ. ამ ეტაპზე არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, ვინ არის მეიჯარე - ამ ხელისუფლების მეგობარი თუ მტერი, კარგი ადამიანი თუ ცუდი, კანონიერად აქვს მას აღებული მიწა თუ უკანონოდ. თუ მიწების ხელახალი პრივატიზაციის საკითხი დღის წესრიგში დადგება, ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ეკონომიკას დაანგრევს,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

"სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ" კანონპროექტი ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და იჯარით გაცემული მიწების პრივატიზებას ითვალისწინებს. იჯარით გაცემული მიწების გამოსყიდვაზე უპირატესი უფლება მეიჯარეებს ენიჭებათ.

რაც შეეხება საზღვრის მიმდებარე მიწებს. გუშინ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ სასაზღვრო ზონაში მიწის პრივატიზაციის საკითხი გარკვეული დროით ღიად დარჩება.

**"აღნიშნული საკითხი დამატებითი კონსულტაციების საგნად უნდა იქცეს, რადგან საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან, გარდა თურქეთისა, დელიმიტირებული საზღვრები არ გააჩნია,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

"სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის შესახებ" კანონპროექტის თანახმად, 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში მიწის პრივატიზაცია არ უნდა განხორციელდეს. თუმცა, პარლამენტში არსებობს ალტერნატიული კანონპროექტი, რომელიც სასაზღვრო ზოლში არსებული მიწების პრივატიზაციას ითვალისწინებს.

ამის პარალელურად, პარლამენტარი რომან კუსიანი ალტერნატიული კანონპროექტის სახით პარლამენტს სთავაზობს, რომ მიწის პრივატიზაცია სასაზღვრო 5-კილომეტრიან ზონაზე არ განხორციელდეს.

# პარლამენტმა პრივატიზების შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო

"სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი პარლამენტმა 122 ხმით, მეორე მოსმენით, პლენარულ სხდომაზე სამშაბათს მიიღო.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის გიორგი ხუროშვილის განმარტებით, კანონპროექტი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მრავალტირაჟიან გაზეთებში გამოქვეყნებასა და საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში ამ პროცესის გაშუქებას ითვალისწინებს.

კანონში შესატანი ცვლილების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ქონება პირველად აუქციონზე არ გაიყიდება, შემდგომ ეტაპზე ობიექტის გასაყიდ ოპტიმალურ ფასს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დაადგენს.

"ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს მოქმედი კანონით, გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ქონების პირველად აუქციონზე არგაყიდვის შემთხვევაში, ობიექტის ფასი 50 პროცენტით მცირდებოდა, ხოლო შემდეგ ეტაპზე ქონება ნულოვან აუქციონზე იყიდებოდა.

ხუროშვილის განმარტებით, ახალი საკანონმდებლო ნორმა სამინისტროს პრივატიზების პროცესის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტის საშუალებით გავრცელებას ავალდებულებს. **პრაიმ-ნიუსი**

# გარანტირებული ხარისხის ქართული მედიკამენტები - მითი თუ რეალობა?!

ნინო ნარჩემაშვილი

*ფარმაცევტული კომპანია "PSP" სერიოზულ და წარმატებულ ჯგუფს წარმოადგენს. იგი რამოდენიმე იურიდიულ პირს მოიცავს - სადისტრიბუციო კომპანიების "პსპ-ფარმასა" და "პსპ-რიხტერის" გარდა, ამ ჯგუფში ქართული ფარმაცევტული საწარმო "GMP", "პსპ-აფთიაქის" ფართო ქსელი და ჟურნალი "ჩვენი ჯანმრთელობაა" გაერთიანებული. კომპანიის სახელწოდება "PSP" ლათინური ანდაზის "Paulatim Summa Petuntur" აბრევიატურას წარმოადგენს, რაც ქართული თარგმანით ნიშნავს "ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ". ეს ანდაზა კომპანიის დევიზია და ამ ჯგუფში შემავალი თითოეული სუბიექტი მართლაც მიზანმიმართულად მიიწევს "მწვერვალისკენ".*

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 10 წლის წინ, დანერგვის ცენტრი "PSP" ანუ სადისტრიბუციო კომპანია დაარსდა, რომელიც საქართველოში ევროპული მედიკამენტების პირველი ოფიციალური დისტრიბუტორი გახდა. ეს მაშინდელი, ომისშემდგომი საქართველოს პირობებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში არსებული მედიკამენტების ცენტრალიზებული მოწოდება აღარ ხდებოდა და უცხოური ქვეყნების მიერ წარმოებული მედიკამენტები, რომლებსაც ჩვენი სამედიცინო საზოგადოება და მოსახლეობა მანამდე იყენებდა, დეფიციტური გახდა. დროთა განმავლობაში ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნები შეიცვალა და მკვეთრად გამოიხატა ტენდენცია - საქართველოს მოსახლეობას მედიკამენეტების უქონლობა კი არ აწუხებდა, არამედ თანხების მობილიზაცია ძვირადღირებულ უცხოური წარმოების მედიკამენტების შესაძენად. ანუ აფთიაქებში წამალი გაჩნდა, მათი შესაძენი თანხა კი პრობლემად დარჩა. ახალმა რეალობამ "პე-ეს-პე"-ს დამფუძნებლებს ახალი იდეა, ქართული ფარმაცევტული საწარმოს შექმნა უკარნახა. წარმოების, რომელიც მხოლოდ გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს გამოუშვებდა და ფასწარმოქმნა უზრუნველყოფდა მათ ხელმისაწვდომობას ყველა ფენის მოსახლეობისთვის.

ამოცანის გადაჭრა ორი საკითხის წარმატებით გადაწყვეტას საჭიროებდა: სერიოზული კაპიტალდაბანდება და კვალიფიციური კადრები. სოლიდური და წარმატებული კომპანიისთვის პირველი მიუწვდომელს არ წარმოადგენდა, თუმცა არჩევანი იდგა სააფთიაქო ქსელის გაფართოებას ანუ დაუყოვნებელ მომგებიან ღონისძიებასა და ნაციონალური ფარმაცევტული საწარმოს შექმნას ანუ ძალიან შორეული პერსპექტივის, მაგრამ პატრიოტულ სამომავლო საქმეს შორის.

"პე-ეს-პე"-ს დამფუძნებლების, ახალგაზრდა ექიმების, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დისტრიბუციიდან თანხების მოზიდვა რამდენიმე წლით მთლიანად საწარმოს განვითარებისთვის იქნა მობილიზებული. სააფთიაქო ქსელის შენება კი სამომავლო გეგმებში გადაანაცვლეს და მართლაც, "პე-ეს-პე"-მ ყველაზე გვიან დაიწყო ქსელის გაფართოება. თუმცა უმცირეს ვადაში "პსპ"-ს სააფთიაქო ქსელმა დედაქალის თითქმის ყველა უბანი და საქართველოს მრავალი ქალაქი მოიცვა.

მეორე, გამოცდილი და საერთაშორისო სტანდარტთან მუშაობის კვალიფიკაციის მქონე ფარმაცევტებთან დაკავშირებული საკითხი, ადვილად მოგვარდა. მოწვეული იქნენ კვალიფიციური და გამოცდილი ფარმაცევტები გიორგი ანთაძე ("ჯი-ემ-პი"-ს საწარმოს გენერალური დირექტორი) და გოგიტა დათუკიშვილი ("ჯი-ემ-პი"-ს აღმასრულებელი დირექტორი), რომელსაც ჩეხეთში, კომპანია "ლეჩივა"-ში მუშაობის პერიოდში ფარმაცევტულ სტანდართან მუშაობის მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. მათი გამოცდილება მნიშვნელოვნად გამდიდრდა ევროპის სხვადსხვა ქვეყანაში (გერმანიაში, აშშ-ში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში) გავლილი ტრენინგებით. ისინი ძირფესვიანად დაეუფლნენ სტანდარტის პრინციპებს, აგრეთვე შეისწავლეს ყველა მოთხოვნა, რაც ბოლო პერიოდში მიღწეული წარმატებების საფუძველი გახდა. კერძოდ, საუბარია "ISO 9001-2000" ხარისხის სერტიფიკატის მოპოვებასა და დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში სტანდარტთან მომუშავე ყველაზე ავტორიტეტული აუდიტორების დასკვნებზე ქართული ფარმაცევტული წარმოების ხარისხთან შესაბამისობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ანთაძე თავად გახლავთ ევროკავშირის აუდიტორი GMP-ის ქვეყნებში. მან, როგორც აუდიტორმა "კურთხევა" გერმანულ საწარმო "კნოლ"-ში მიიღო.

### პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებით მუშაობს.

ამ ნიშნით ქართული ფარმაცევტული საწარმო "GMP" ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული საწარმოს შექმნა და შემდგომში მისი წარმატება განაპირობა, გახლდათ დამფუძნებლისა და აღმასრულებელების კონსოლიდირებული, საერთო მისწრაფება და სურვილი ყოფილი სსრკ-ს სივრცეში ერთ-ერთ პირველთაგანებს საქართველოში შეექმნათ საწარმო ფარმაცევტული სტანდარტის "GMP" (Good Manufacturing Practis) მიხედვით, რომელიც საქართველოს მოსახლეობას გარანტირებული ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასების მედიკამენტებით უზრუნველყოფდა. უნდა აღინიშნოს, რომ წელიწადზე მეტი დასჭირდა მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარებას, საწარმოს შენებას და მზადყოფნას იმისათვის, რომ ქართულ ფარმაცევტულ საწარმო "ჯი-ემ-პი"-ს პირველი მედიკამენტი გამოეშვა.

"ჯი-ემ-პი"-ში აღნიშნავენ, რომ **"სტანდარტის მიხედვით მუშაობა ერთის მხრივ ადვილია, ვინაიდან ეს პროცესები აპრობირებული, სერტიფიცირებული, ვალიდირებულია, თუმცა ამავდროულად ძალიან რთულიც გახლავთ, რადგან საქართველოში არ არსებობს მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც პერიოდულ აუდიტს (კონტროლს) ჩაუტარებდა საწარმოს. არადა აუდიტის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სტანდარტთან მუშაობისთვის, ვინაიდან "ჯი-ემ-პი"-სადმი შესაბამისობა არ არის ქაღალდზე გაწერილი სერტიფიკატის მოპოვება, ეს არის მუდმივად განვითარებადი, განახლებადი პროცესი, რომელიც რეგულარულ კონტროლს საჭიროებს. სწორედ ამიტომ, საწარმო, მისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე, პერიოდულად (არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ) იწვევს უცხოელ აუდიტორებს, რაც ქართული საწარმო "ჯი-ემ-პი"-ს ამ სტანდარტთან მომუშავე უცხოელი საზოგადოების (მათ შორის რუსეთის) აღიარებას განაპირობებს".**

საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია საქართველოს საზოგადოებამ 2004 წლის სექტემბერში შეიტყო, როდესაც ქართულმა საწარმო "ჯი-ემ-პი"-ს მიერ "პსპ-ჯგუფის" მხარდაჭერით, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველმა ჩაატარა კონფერენცია "GMP-კავკასიისთვის", რომელსაც სტანდარტთან მომუშავე მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ესწრებოდნენ და რომელზეც, როგორც ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული საზოგადოებისთვის, ასევე სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგებისთვის გაიმართა სწავლება-სემინარები და პრეზენტაციები, დიდი დრო დაეთმო სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. კონფერენციაზე მომხსენებლები იყვნენ "GMP"-ს სტანდარტის წამყვანი სპეციალისტები აშშ-დან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიოში ცნობილი კონსულტანტები დიდი ბრიტანეთიდან ქეით მაკკორმიკი, "საერთაშორისო ხარისხის კონსალტინგის" (Inetrnational Quality Consulting) გერმანელი ხელმძღვანელი იურგენ ფრეი, რომელმაც ქართული საწარმოს მუშაობას მაღალი შეფასება მისცა და განაცხადა, რომ **"საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. საწარმო "ჯი-ემ-პი" საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ყოველივე ეს განხორციელდეს".**





*"პრეზიდენტის სტუმრობა საწარმოს მესვეურებისა და თანამშრომლებისთვის დამატებითი სტიმული გახლდათ.*

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც კონფერენციის ბოლოს სტუმრები და მასმედია საწარმოს ესტუმრნენ დასათვალიერებლად, გაშუქებული სიუჟეტების მეშვეობით ქართულმა საზოგადოებამ პირველად ნახა კადრები ქართული ფარმაცევტული საწარმოდან.

საწარმოში აღნიშნავენ რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო "ჯი-ემ-პი"-ში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარის გიგი წერეთელის სტუმრობა. მათი შეფასებით, **"პრეზიდენტის სტუმრობა საწარმოს მესვეურებისა და თანამშრომლებისთვის გახლდათ დამატებითი სტიმული, ხოლო საქართველოს მოსახლეობისთვის - ყურადღებისა და თანადგომის გარანტი".**

და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც "ჯი-ემ-პი"-ს ხელმძღვანელობა აღნიშნავს - **"ჩვენში ალტაცებით და ბევრს საუბრობენ უცხოურ წარმატებულ ფარმაცევტულ საწარმოებსა და მათი პროდუქციის ხარისხზე, თუმცა ყველას ავიწყდება, რომ თავდაპირველად მათაც "ნულიდან" დაიწყეს, და რომ არა საზოგადოების მხარდაჭერა, დღეს ასეთ სერიოზულ ფარმაცევტულ გიგანტად ვერც ერთი საწარმო ვერ ჩამოყალიბდებოდა".**

"ჯი-ემ-პი"-ს აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა დათუკიშვილი აღნიშნავს, რომ **"საწარმოს მესვეურთ მთავარ მონაპოვრად საწარმოში მომუშავე პროფესიული გუნდი მიაჩნიათ, რომელსაც ნებისმიერი სირთულის ტექნოლოგიური ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეუძლიათ. ამისთვის საწარმოში მუდმივი სწავლებისა და სტაჟირების პროგრამები მუშაობს. თანამშრომლები მუდმივად გადიან სტაჟირებას სხვადასხვა ქვეყნებში და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ესწრებიან ტრენინგებსა და საერთაშორისო გამოფენა-სემინარებს".**

საწარმოს ხელმძღვანელობა სამართლიანად ამაყობს, რომ საწარმოს ჰყავს ისეთი პროფესიონალი ფარმაცევტ-ტექნოლოგი, როგორიც შალვა ფირცხალავაა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სპეციალისტი ეკა კოპლატაძე, ხარისხის კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი მანანა ბაკურაძე, ტექნიკური საკითხების კურატორი აჩიკო ციხელაშვილი და პროფესიონალ ფარმაცევტთა მთელი გუნდი.

"ჯი-ემ-პი"-ს გენერალური დირექტორის გიორგი ანთაძის თქმით, **"მთელი პროფესიული გუნდი აძლევს საწარმოს დირექციას სიამაყის საფუძველს და იმედს, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის 10%-ის დაკავება არცთუ შორეული ამოცანა გახლავთ".**

### "GMP" და "GMP"

ქართულ საწარმოს "GMP"-ს და საერთაშორისო სტანდარტ "GMP"-ს სახელების დამთხვევა შემთვევითი როდია, თუმცა ორივე შემთვევაში აბრევიატურები სხვადსხვანაირად იშიფრება: "ქართული ფარმაცევტული საწარმო" (Georgian Manufacturers of Pharmaceuticals) და - სტრანდარტი "სათანადო წარმოების პრაქტიკა" (Good Manufacturing Practice).

საწარმოს შექმნის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებელი გარანტირებული ხარისხის ქართული მედიკამენტებით. "ჯი-ემ-პი"-ს მიერ წარმოებულ მედიკამენტებს საქართველოს მოსახლეობა უკვე კარგად იცნობს: ტაიქოლდი, ალერტეკი, აზიმაკი, იმუნო-რიცი, ფესამოლი, ადიპინი, თრომბასპინი, კეტოროლი და ა.შ. საერთო ჯამში ქარხანა 80 დასახელების მედიკამენტს აწარმოებს, თუმცა მიმდინარე წელს ასორტიმენტი 20 მედიკამენტით გაიზრდება. რუსეთში უკვე დარეგისტრირებულია "ჯი-ემ-პი"-ს ომეპრაზოლი. ამჟამად მიმდინარეობს 25 პრეპარატის რეგისტრაციის პროცესი აზერბაიჯანში და შუა აზიაში.

**"ჯი-ემ-პი" "ISO-9001-2000" ხარისხის სერტიფიკატის მფლობელია, რაც ადასტურებს საწარმოში არსებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტთან.**

განმარტებისათვის, "ISO"-ს სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირება სავალდებულოა ნებისმიერ სფეროში მომუშავე საწარმოსთვის, იქნება ეს ფარმაცია, მრეწველობა თუ მომსახურების ობიექტი, მაგრამ მოთხოვნების ხარისხის შესაბამისობაზე საკმაოდ მკაცრია და სერიოზულ და ხანგრძლივ აუდიტს (შემოწმების სტანდარტულ პროცედურებს) მოითხოვს.

"ჯი-ემ-პი"-ს გენერალური დირექტორის გიორგი ანთაძე აღნიშნავს, რომ ქართულ სწარმო "ჯი-ემ-პი"-ს აუდიტი ჩაუტარა საერთაშორისო გერმანულმა კომპანია "TÜV management service Gmbh"-მა, რომელმაც 2004 წელს საწარმოს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი "ISO-9001-2000" გადასცა.




**P.S.** "პსპ ჯგუფი" სამართლიანად ამაყობს, რომ ეს არის პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმო, რომელიც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტით მუშაობს და ამ ნიშნით საწარმო დღესაც, დაარსებიდან 5 წლის შემდეგ, ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში.

ქართული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საწარმოს არსებობა, ვინაიდან "ჯი-ემ-პი" პირველია, ვინც მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ქართული ფარმაცევტული წარმოების შექმნის და ეფექტური ფუნქციონირების საფუძველი შექმნა და რომელსაც შემდეგ აუცილებლად მიბაძავენ სხვებიც. ყოველივე აღნიშნულის შედეგად კი ფარმაცევტული დარგი განვითარდება და ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება.

## მოკლედ

### "ციხის საერთაშორისო რეფორმა" პატიმრების უფლებების დასაცავად

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანთა უფლებების დარღვევის თავიდან აცილების საკითხებს განიხილავენ დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი-პალასში" დაგეგმილ კონფერენციაზე, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმა" გამართავს.

კონფერენციის თემა იქნება გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიკაცია და მონიტორინგის ეროვნული მექანიზმების შექმნა.

გაერო-ს ოქმი თავისუფლების აღკვეთის ყველა სახის ადგილებში წამებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად საზოგადოებრივი მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის შექმნას ითვალისწინებს.

კონფერენციას დაესწრებიან - საერთაშორისო ექსპერტები, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პარლამენტარები.

"ციხის საერთაშორისო რეფორმა" პატიმართა უფლებების გაუმჯობესების საკითხებზე სამხრეთ კავკასიაში 2000 წლიდან მუშაობს. **ინტერ-პრესი**

### ვიზიტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში

იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ლევან სამხარაული ორგანიზაცია "ფსიქიატრიის განვითარების გლობალური ინიციატივის" მიწვევით, ხუთდღიანი ვიზიტით ჰოლანდიაში გაემგზავრა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ვიზიტი დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელსაც ჰოლანდიის და საქართველოს მხარეებმა ერთი თვის წინ მოაწერეს ხელი. მემორანდუმი ფსიქიატრიული ექსპერტიზის განვითარებას და სრულყოფას ითვალისწინებს.

ჰოლანდიაში ვიზიტისას სამხარაული საექსპერტო ფსიქიატრიულ დაწესებულებებს ეწვევა, სადაც გაეცნობა ადგილზე მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ - კვლევის მეთოდებს და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას.

სამხარაულის ინფორმაციით, "ფსიქიატრიის განვითარების გლობალური ინიციატივის" მხარდაჭერით, მოხდება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფისის დიზაინის შემუშავება. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შს სამინისტროს აკადემიაში დღეიდან დაუსწრებელი განყოფილების კურსანტებისთვის სახელმწიფო გამოცდები იწყება. როგორც პოლიციის აკადემიაში აცხადებენ, 196 კურსანტიდან სახელმწიფო გამოცდებზე მხოლოდ 53 არის დაშვებული. მიმდინარე წელს სასწავლებლიდან 75 სტუდენტი გაირიცხა, ხოლო 68 - იმავე კურსზე დარჩა. შს სამინისტროს აკადემიაში დღის განყოფილებაზე სახელმწიფო გამოცდები 2 ივნისიდან დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში მცხოვრები, 26 წლის დავით მალანია, რომელმაც 13 მაისს სამარშრუტო ტაქსში მგზავრობისას მადონა დუგლაძეს მოჰპარა მობილური ტელეფონი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ძებნილი, 19 წლის ამირან ხუჭუა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, სამჯერ ნასამართლევი, 22 წლის მალხაზ ჩოლოიანი, მეტსახელად "ჩალო", რომელიც ეჭვმიტანილია 14 მაისს ხათუნა ჭიკაიძის ბინის გაქურდვაში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხაიშში მცხოვრებნი, 51 წლის რაულ ყიფშიძე, 18 წლის სერგო ჭკადუა და 36 წლის მამუკა ნამიაშვილი, რომლებმაც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწიდან ამოიღეს და მოიპარეს 100 მეტრი სიგრძის კავშირგაბმულობის კაბელი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ქუთაისში დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ნასამართლევი, 31 წლის დიმიტრი ქათამაძე, რომლისგანაც ამოიღეს 1.15 გრამი ოპიუმი. **მედიანიუსი**

# ბესლანის ტერაქტის სასამართლო პროცესი დაიწყო

*ვლადიკავკაზის უმაღლეს სასამართლოში გუშინ ბესლანის ტერაქტში ბრალდებულ ნურპაშ კულაევის სასამართლო პროცესი დაიწყო. ნურპაშ კულაევი 32 ტერორისტიდან ერთადერთია, რომელიც ცოცხალი გადარჩა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას - ბესლანის სკოლის შტურმით აღებისას.ვლადიკავკაზის უმაღლეს სასამართლოში გუშინ ბესლანის ტერაქტში ბრალდებულ ნურპაშ კულაევის სასამართლო პროცესი დაიწყო. ნურპაშ კულაევი 32 ტერორისტიდან ერთადერთია, რომელიც ცოცხალი გადარჩა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას - ბესლანის სკოლის შტურმით აღებისას.*

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე სამი პროკურორისგან შედგება და ჯგუფს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკოლაი შეპელი ხელმძღვანელობს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა შეპელმა სასამართლო პროცესის გახსნის შემდეგ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ კულაევი ბასაევის იმ დაჯგუფების წევრი იყო, რომელიც მასხადოვმა და სხვა ჩეჩენმა საველე მეთაურებმა ბესლანის სკოლაში ტერაქტის მოსაწყობად სპეციალურად შექმნეს.

**"შამილ ბასაევი, ასლან მასხადოვი, ხაშიევი, საუდის არაბეთის წარმომადგენელი ტაუფიკ ალ ჯადანი, აბუ ძეიბი ხელმძღვანელობდნენ არაერთ ტერორისტულ დაჯგუფებას. მათ 2004 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეებში შეიმუშავეს მსხვილი ტერორისტული გეგმა, რომლის მიხედვითაც, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე უნდა განეხორციელებინათ ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი – მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანა, მათი და მილიციის თანამშრომელთა მკვლელობები",** – განაცხადა თავის საბრალდებო სიტყვაში პროკურორმა შეპელმა. **"დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად დასახელებულმა პირებმა შექმნეს 30-კაციანი ტერორისტული ბანდა, რომელშიც შედიოდნენ - ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და, ასევე, უცხოელი დაქირავებული ბოევიკები. ამ ბანდის წევრი იყო ნურპაშა კულაევიც",** – ასეთია გენერალური პროკურორის მიერ კულაევისთვის წაყენებული ბრალდება. შეპელის განცხადებით, ბანდა შეიარაღებული იყო უახლესი ტექნიკით - სხვადასხვა მოდიფიკაციის ცეცხლსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალებით. გარდა ამისა, ტერორისტები კამუფლიაჟებითა და ნარკოტიკული ნივთიერებებითაც იყვნენ უზრუნველყოფილნი. ტერორისტულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა ინგუში რუსლან ხუჩბაროვა, იგივე "რასული", რომლის კოდირებული ზედმეტსახელი იყო "პოლკოვნიკი". რუსლან ხუჩბაროვი ახდენდა კოორდინაციას ძირითად მეთაურებსა და დაჯგუფებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ადვოკატებმა უარი განაცხადეს ტერორისტობაში ბრალდებულის დაცვაზე, ადვოკატთა კოლეგიამ მას სახაზინო ადვოკატი მაინც დაუნიშნა. "ადვოკატის გარეშე სასამართლო ვერ დაიწყებოდა, ამიტომაც ადვოკატთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება და კულაევს დაუნიშნა ადვოკატი, რათა მისი კონსტიტუციური უფლებები არ შელახულიყო", – განაცხადეს ადვოკატთა კოლეგიაში.

თავად კულაევი მისთვის წაყენებულ ბრალდებებს არ უარყოფს, თუმცა აცხადებს, რომ პირადად მას არავინ მოუკლავს. პროკურატურამ კულაევს ბრალი წაუყენა 8 უმძიმესი მუხლით, მათ შორის - ბანდიტიზმის, განზრახ მკვლელობის, ტერორიზმის, მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანის მუხლებით. საქმე, რომელიც სასამართლოს განსახილველად გადაეცა - 105 ტომია, მასში 1315 დაზარალებული და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 9 მოწმეა. დაცვის მხარეს მოწმეები არ ჰყავს.

პროცესს ესწრებიან ტერაქტის შედეგად დაზარალებულები. სპეციალურად შექმნილი საზოგადოებრივი კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ყველა სასამართლო სხდომას დაესწრება დაზარალებულთა ჯგუფი, რომლებიც ბესლანის მცხოვრებლებს მიმდინარე პროცესის თაობაზე ინფორმაციებს მიაწოდებს. გუში იქ 30 დაზარალებული მივიდა. ბესლანის ტერაქტის სასამართლო პროცესს 50-ზე მეტი ჟურნალისტი ესწრება. გარდა რუსეთის მასმედიისა, ის უცხოეთის საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ობიექტიც გახდა.

ვლადიკავკაზში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები - უმაღლესი სასამართლოს შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორიები სპეცრაზმებითაა გამაგრებული; გადაკეტილია სასამართლოსთან მისასვლელი გზები.

ბესლანის საშუალო სკოლა ტერორისტებმა 2004 წლის 1 სექტემბერს ჩაიგდეს ხელთ; მძევლად აიყვანეს მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. 3 სექტემბერს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას - სკოლის შენობის შტურმით აღებისას, დაიღუპა 330 ადამიანი, მათ შორის იყო 186 ბავშვი; დაიჭრა 728 მძევალი და ბესლანის მცხოვრები, მათ შორის - სპეცსამსახურების თანამშრომლები. ტერორისტებმა სკოლის შენობაში მძევლად აიყვანეს 1128 ადამიანი, გადარჩა - 918.

სპეცოპერაციისას 32 ტერორისტიდან 31 მოკლეს. იდენტიფიკაციის შემდეგ სამართალდამცველებმა 19-ის ვინაობის დადგენა შეძლეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ მოკლულ ტერორისტთა ცხედრები გასაიდუმლოებულ ადგილას დამარხეს.

# 20 ათასი ლარი - გამოძიებისთვის გაწეული დახმარებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20 ათასი ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო დააწესა იმ პირთათვის, ვინც მას თბილისში, თავისუფლების მოედანზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას მომხდარი ინციდენტის გამოძიებაში დაეხმარება. როგორც შსს-ში აცხადებენ, იმ ადამიანის ანონიმურობა, ვინც გამოძიების პროცესში სამართალდამცველებს თავისუფლების მოედანზე გადაგდებული ხელყუმბარის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის და მომხდარს ნათელს მოჰფენს, დაცული იქნება.

შსს-ს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერია - 98 27 49. შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროს კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა და აშშ-ს უსაფრხოების სამსახურის წარმომადგენლებმა უკვე დაკითხეს თვითმხილველები, რომლებიც 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის დაგდებას შეესწრნენ. ქართველი სამართალდამცველები, ამერიკელ კოლეგებთან შეთანხმების საფუძველზე, ინფორმაციას უკვე ცნობილი დეტალების შესახებ ჯერჯერობით არ ახმაურებენ. გამოძიების პროცესში ჩართულია ინტერპოლის თბილისის ბიუროც. ჩვენი ინფორმაციით, გამომძიებლები უახლოეს დღეებში დაკითხვაზე დაიბარებენ 10 მაისის ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებსაც, რომლებიც იმ ტრიბუნაზე ისხდნენ, საიდანაც ხელყუმბარა ისროლეს. სტუმრებს შორის არიან პარლამენტარები და საზოგადო მოღვაწეები. **24 საათი**




# ხოდორკოვსკის საქმეზე განაჩენის გამოქვეყნება დღეს გაგრძელდება




*ხოდორკოვსკის განაჩენის გამოქვეყნება კვლავ გრძელდება.*

მოსკოვის მეშჩანის სასამართლოში ნავთობკომპანია "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელის მიხეილ ხოდორკოვსკის, საერთაშორისო ფინანსური გაერთიანება "მენატეპის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პლატონ ლებედევის და ფირმა "ვოლნას" ექს-ხელმძღვანელის ანდრეი კრაინოვის გაერთიანებულ საქმეში განაჩენის გამოქვეყნება კვლავ გრძელდება.

ნავთობის კომპანიის "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელის მიხეილ ხოდორკოვსკის და საერთაშორისო ფინანსური გაერთიანების "მენატეპის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პლატონ ლებედევის ბრალი დამტკიცებულია. ამის შესახებ მოსამართლე ირინა კოლესნიკოვამ მოსკოვის მეშჩანის სასამართლოში გამოაცხადა. მისი თქმით, ბრალი საქმის მასალებით და მოწმეთა ჩვენებებითაა დამტკიცებული. სასამართლომ დაადგინა, რომ ხოდორკოვსკიმ "იუკოსის" კუთვნილი 2,5 მილიარდ რუბლზე მეტი ვლადიმირ გუსინსკის უკანონოდ გადასცა. გარდა ამისა, სასამართლომ ხოდორკოვსკი და ლებედევი გადასახადების გადაუხდელობაში დამნაშავეებად ცნო.

მეშჩანის სასამართლოს შენობასთან უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. "ომონის" თანამშრომლებმა შენობა ალყაში მოაქციეს, შესასვლელთან გადამღობი ბარიერებია დადგმული. გარდა ამისა, კალანჩევსკის ქუჩაზე, სადაც სასამართლო მდებარეობს, ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. მილიციელების მიერ ბლოკირებულია ქუჩის მეორე მხარეც, რათა არასანქცირებული მიტინგი არ დაუშვან.

რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ინფორმაციით, მეშჩანის სასამართლოს შენობასთან მიხეილ ხოდორკოვსკის მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ. პიკეტში, დაახლოებით, 100 ადამიანი მონაწილეობს. "ახალი გაზეთის" მთავარი რედაქტორის მრჩეველი მარინა ლიტვინოვიჩი აცხადებს, რომ ხოდორკოვსკის საწინააღმდეგო პლაკატები სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანებმა უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობიდან გამოიტანეს და რომ ეს ფაქტი მან ფოტოფირზე დააფიქსირა. ეს ფოტოსურათები მალე ინტერნეტში გამოქვეყნდება.

განაჩენის კითხვას მოსამართლე დღეს გააგრძელებს. ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ. "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელის ადვოკატის ცნობით, განაჩენის გამოქვეყნების დროს ხოდორკოვსკი "რაღაც" წიგნს კითხულობდა, ლებედევი კი კროსვორდს ავსებდა.

# მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიმალვაშია

სამტრედიელმა სამართალდამცველებმა ერთი კვირის წინ სოფელ ეწერში მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნეს. ეწერში მცხოვრები დავით ლოსაბერიძე მისი თანასოფლელის დავით ფოცხვერიას მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. გარდაცვლილის ცხედარი პოლიციელებმა რაიონის ტერიტორიაზე, დაუსახლებელ ადგილზე გუშინ იპოვეს.

როგორც სამტრედიის კრიმინალური პოლიციის უფროსი მიხეილ მოდებაძე აცხადებს, წარსულში სამჯერ ნასამართლევი ფოცხვერია ლოსაბერიძემ ერთი კვირის წინ სანადირო ორლულიანი თოფით მოკლა და სოფლის განაპირას დატოვა. სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის იარაღი - სანადირო თოფი ამოიღეს. ლოსაბერიძე ამჟამად მალვაშია. **ინტერ-პრესი**

# რუსთავში მომხდარი თავდასხმის მესამე მონაწილეც დააკავეს

გუშინ გამთენიისას, დაახლოებით, დილის 5 საათზე სოფელ გაჩიანის ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს გიორგი ქადიძე. მას ქვემო ქართლის პოლიციელები მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ. ეს ის მესამე დამნაშავეა, რომელმაც ორ თანამზრახველთან ერთად წინა დღეს რუსთავში VII მიკრორაიონის IX კორპუსში მცხოვრებ მოდებაძეების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა სცადა.

გიორგი ქადიძე, მურთაზ მელიქიშვილი და ბონდო აფციაური გუშინწინ მოდებაძეების სახლში შეიჭრნენ და ოჯახის წევრებს ფული და ნარკოტიკული ნივთიერება მოსთხოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ ოჯახის დიასახლისი ონკოლოგიური ავადმყოფია და იგი სისტემატურად საჭიროებს ძლიერ ტკივილგამაყუჩებელს „მორფიუმს".

ხმაურზე მეზობლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველების გამოჩენის შემდეგ თავდამსხმელებმა დიასახლისი მძევლად აიყვანეს და გაქცევა სცადეს. პატრულის შესაშინებლად ბოროტმოქმედებმა თავდაპირველად ხელყუმბარა ისროლეს. თუმცა, ხელყუმბარის აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა. ამის შემდეგ დამნაშავეებმა, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. რამდენიმეწუთიანი ორმხრივი სროლის შედეგდ დაიჭრა პოლიციის ორი თანამშრომელი. პოლიციელი მერაბ ალავერდაშვილი, რომელიც ფეხის არეშია დაჭრილი, რუსთავის საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო მეორე პატრული დავით კოჭლამაზაშვილი, რომელსაც ჭრილობა გულმკერდის არეში აქვს მიყენებული, თბილისში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა. ექიმების განცხადებით, კოჭლამაზაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საავადმყოფოში გადაიყვანეს შემთხვევის ადგილზევე დაკავებული ორი დაჭრილი დამნაშავეც - მურთაზ მელიქიშვილი და ბონდო აფციაური. ექიმთა განცხადებით, მურთაზ მელიქიშვილის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მესამე თავდამსხმელმა კი, რომელიც, ასევე, დაჭრილი იყო, "ოპელის" მარკის ავტომანქანით გაქცევა მოახერხა.

როგორც ქვემო ქართლის პოლიციის უფროსმა კობა შარვაძემ განაცხადა, დაკავებისას ქადიძემ პოლიციას მცირე წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მას იარაღი არ აღმოაჩნდა. პოლიციისთვის, ასევე, ცნობილია "ოპელის" მარკის იმ ავტომანქანის მფლობელის ვინაობაც, რომლითაც ქადიძემ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა.

ხელის არეში დაჭრილი გიორგი ქადიძე სამართალდამცველებმა დაკავებისთვანავე საავადმყოფოში მიიყვანეს და აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შემდეგ ქვემო ქართლის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებას ქვემო ქართლის პოლიციის საგამოძიებო განყოფილება.

**24 საათი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი............................................

საკონტაქტო ტელეფონი............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს [illegible] შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77, იურიდიული ოფისი "გაპი".

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

## თქვენი აზრით, აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში რა როლს ასრულებს ის ფაქტი, რომ ხელისუფლება საქართველოშიც და აფხაზეთშიც შეიცვალა?

**გია ლურსმანაშვილი**, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 40 წლის: "არა მგონია, რომ მთავრობების ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაზე - ეს თავის მოტყუებაა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია უფრო მაღალ - საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ დღეს ამ მხრივ მეტი შესაძლებლობებია. მთავარია, ჩვენმა ხელისუფლებამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა არ დაუშვას. და კიდევ ერთი - შევარდნაძე ორ სკამზე ჯდომამ დაღუპა. ახლა ისეთი დროა, რომ ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება და მოქმედება შეუძლებელი ხდება. ვფიქრობ, ამ პრობლემის მოგვარება, სავარაუდოდ, 2008-2009 წლისთვის მოხდება, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წინ."

**მამუკა დევდარიანი**, იურისტი, 48 წლის: "ვფიქრობ, პერსპექტივა გამოჩნდა, თუნდაც ის, რომ ჩვენი პრეზიდენტის მიერ წამოწეულმა წინადადებამ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შესახებ ბაგაფში დააინტერესა. ამას გარდა, როგორც ჩანს, ამერიკა საქართველოში ვიზიტის შემდეგ რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს. აფხაზებს აინტერესებთ ევროსტრუქტურებთან საქართველოს ურთიერთობაც. ასე რომ, მე პირადად, იმედი გამიჩნდა."

**ინგა გოგოლაძე**, ორთოპედ-სტომატოლოგი, აფხაზეთიდან დევნილი, 30 წლის:

"მართალი გითხრათ, მე ახლა უფრო მეშინია. აქამდე აფხაზეთში დაბრუნების იმედი თითქმის გადაწურული მქონდა, მაგრამ ახლა შიში გამიჩნდა, კიდევ პროვოკაცია არ მოხდეს და უფრო ცუდი ამბავი არ დატრიალდეს. თუმცა, ვფიქრობ, ღმერთი არ გაგვწირავს."

**გულნარა მამედოვა**, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აზერბაიჯანული ენის კათედრის მასწავლებელი: "ბაგაფშზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სააკაშვილის იმედი მაქვს. მისი პოლიტიკა უფრო თანმიმდევრულია, რასაც ამბობს, აკეთებს. დაბეჯითებით თქმა არ შემიძლია, მაგრამ, ჩემი აზრით, მოსალოდნელია პოზიტიური ცვლილებები საქართველოს გამთლიანებისათვის."

**მარინა ქვარაია,** ექიმი, 46 წლის: "ნამდვილად გაჩნდა იმედი. ბაგაფში უფრო დემოკრატიული და ჰუმანური ადამიანი მგონია, რასაკვირველია, უფრო პროგრესულად მოაზროვნეცაა, ვიდრე არძინბა. არძინბა სეპარატისტი იყო და სეპარატისტად დარჩება. სოხუმის ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით საქართველოს ახალი ხელისუფლება, იმედია, სასიკეთო შედეგს მიაღწევს, თუმცა ადვილი არც ბაგაფშთან საუბარი იქნება."

**ესმა მელიქიშვილი**, სტუდენტი, 19 წლის: "თუ მხოლოდ ადამიანები შეიცვლებიან, სისტემა კი უცვლელი დარჩება, ვერაფერს მივაღწევთ. ახლებურად აზროვნება უნდა დაიწყოს ხალხმა აფხაზეთშიც და, მთლიანად, საქართველოშიც. ეს კი პოლიტიკური სისტემის შეცვლას მოიტანს. სხვა შემთხვევაში, კონფლიქტი არ მოგვარდება."

**გიგა ჯანგველაძე,** მარკეტინგის მენეჯერი, აფხაზეთიდან დევნილი, 25 წლის: "უკეთესობისკენ შეიცვლება არა იმდენად ბაგაფშის მოსვლის გამო, არამედ ჩვენს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მარტო ხელისუფლება ვერაფერს შეცვლის, თუ მას ხალხი არ დაეხმარა, თუნდაც იდეის გაზიარებაში. ასე მგონია, ხალხი ახლა უფრო სხვანაირად ფიქრობს. ვფიქრობ, რომ აფხაზეთში ომით შესვლა უაზრობაა. იმედი მაქვს, ასევე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა. ახალი ხელისუფლების მოსვლამდე ქაღალდზე დაწერილი დოკუმენტიც კი არ არსებობდა, რომლითაც აფხაზებს რამეს შევთავაზებდით."

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



სოხუმი, 1978 წელი, უშფოთველი დღეები. ვახტანგ ლორთქიფანიძე (მარცხნიდან მეორე) სოხუმელ მეგობრებთან ერთად.

აფხაზური ისტორია

## პატიოსნება ფულზე მეტად ფასობს

მამაჩემი, ლაგუსტან აჟიბა, ერთხელ ოჩამჩირეში წავიდა ცხენით. უკან რომ ბრუნდებოდა, გზის პირას დაგდებული ჩანთა შენიშნა.

დიდხანს არც უფიქრია, ჩანთა უნაგირს მიაბა და სახლში წამოიღო.

- პენია, - მეძახის მამა (მამას რატომღაც ძალიან უჭირდა "ფენიას" წარმოთქმა და სულ "პენიას" მეძახდა).

- მიდი ერთი, გახსენი და ნახე, რა არის ჩანთაში, გზაში მაგის სანახავად არ მეცალა!

ჩანთა გავხსენი და იქ რაღაც საბუთები ეწყო და კიდევ... ფულის მთელი დასტა.

- მამა, აქ უამრავი ფულია-მეთქი, - შევძახე გახარებულმა.

- რაო? ახლავე დახურე ჩანთა! - მეუბნება მამა.

- ამის აღება არ შეიძლება, დიდი ცოდვაა, ვიღაცამ ხომ დაკარგა, აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ!

- კარგი რა, მამა. ამდენი ფული არასდროს გვქონია. თანაც, შენ ხომ შემპირდი, ახალ ფეხსაცმელს გიყიდიო...

- გიყიდი, ოღონდ, ჩემი გამომუშავებული ფულითო, - მითხრა მამამ, ჩანთა გამომართვა, თოკით შეკრა და შეინახა.

არ გასულა დიდი ხანი და ვიღაც კაცმა გაქაფული ცხენი შემოაგელვა ჩვენს ეზოში.

- ლაგუსტან, უდანოდ ნუ გამომჭერი ყელს, სიმართლე მითხარი, ჩანთა ხომ შენ იპოვე გზაზე, იმ ადგილს აუცილებლად გაივლიდი, შენი ცხენის გარდა კი, სხვა კვალი არ შემიმჩნევია, - ეუბნება მამაჩემს ის კაცი, - მე, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, შავი დღე დამადგება, ეს ფული თანასოფლელების ხელფასია და ქვეყანა რომ დაიქცეს, ხვალვე უნდა დავარიგო!

- შენი ჩანთა იქ არის, კუთხეში, – ეუბნება მამა, თოკი გადავუჭირე, რომ ჩემს გოგონას ფულზე ხელი არ წასცდენოდა...

თავმჯდომარემ ჩანთა გახსნა, დარწმუნდა, რომ ფული ადგილზე იყო. თვალებიც კი აუწყლიანდა სიხარულით და ისე გაქუსლა თავისი კოლმეურნეობისაკენ, რომ მადლობის თქმაც დაავიწყდა.

- მამა, ცოტაოდენი ფულის დატოვება ხომ მაინც შეგეძლო ჩემი ფეხსაცმელებისთვის, – ვუთხარი მამაჩემს.

- არა, შვილო, პატიოსნება ფულზე მეტად ფასობს. ხალხმა უნდა მიიღოს ის, რაც გამოიმუშავა, – მიპასუხა მამამ.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი.*
*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და**
**25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# რუსეთიდან გაურკვეველი პერსპექტივის მოლოდინს ქართველებთან ურთიერთობა სჯობს

ზაზა ფაჩუაშვილი

*სოხუმიდან ხმა გამოვიდა, შიდა ვითარება ძალიან დაიძაბაო. როგორც ამბობენ, "პროგრუზინობის" მომაკვდინებელ იარლიყს სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს "აკრავენ". თუმცა, ქართველი ექსპერტების თქმით, ამის საბაბს სოხუმში არავინ იძლევა (ორი თავი ვის აქვს?). იმის მიუხედავად, რომ სერგო ბაგაფშს არც პუტინი გაუბრაზებია და ორი ამერიკელი მაღალჩინოსნის სოხუმში ვიზიტის დროს არც ინსტრუქცია დაურღვევია – აფხაზეთი დამოუკიდებელია და სხვა რაიმე სტატუსის შესახებ ლაპარაკი ზედმეტიაო – "პროგრუზინობის" იარლიყი მასაც ერგო. უფრო სწორად, პირველად მას მიაკრეს და მერე - მის მომხრეებს. რატომ არ უშველეს ბაგაფშს რადიკალურმა განცხადებებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე? – ამბობენ, არძინბას კლანმა თავი წამოყო და იარლიყებსაც ის "სტამბავსო". თურმე, სამოქალაქო სექტორში გადაბარგებულ არძინბას ხალხს იმდენი მოუხერხებია, რომ აფხაზური საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე (როგორც ჩანს, არცთუ მცირე ნაწილზე) გავლენაც მოუხდენია. შედეგად, სოხუმი 90-იანი წლების თბილისს დამსგავსებია – არძინბისტებად და ბაგაფშისტებად გაყოფილა. ოჯახის წევრებს შორისაც კი გაურბენია შავ კატას. რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სინამდვილეს, ცხადია, მხოლოდ სოხუმში იციან, თუმცა ინფორმაციის ნაკლებობას არც თბილისში განიცდიან. ეგ არის მხოლოდ, რომ ოფიციალური პირების ინფორმაციით, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. ვესაუბრებით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თემურ მჟავიას.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*თემურ მჟავია*

**- ბატონო თემურ, ამბობენ აფხაზეთში ვითარება ძალიან დაიძაბაო. თქვენ როგორი ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება სოხუმში?**

- ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ჩემამდე მოდის, შედგენილია სანდო წყაროებზე დაყრდნობით. ამაში დარწმუნებული ვარ, ვინაიდან ინფორმაციას სპეციალური სამსახურები მაწვდიან, რომელთა კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება. ასეთი ინფორმაცია კი, თითქოს სეპარატისტული მთავრობის წევრებს შორის მკვეთრი დაპირისპირება არსებობდეს, არ მიგვილია.

მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ბაგაფშის გუნდის წევრმა და უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, მიუთითებს იმაზე, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელისუფლებო ძალების შიგნით გარკვეული დაპირისპირება მართლაც არსებობს. მაგრამ მიმაჩნია, რომ აფხაზეთში ნებისმიერი ვითარება კონტროლს დაექვემდებარება, ვინაიდან იქ სიტუაციას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აპარატი მთლიანად ფლობს. ამიტომ ვფიქრობ, იქ ვითარება ისე არ დაიძაბება, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს. ცხადია, აფხაზურ საზოგადოებაში ახალი რეალიები ახლებურ ხედვას ამკვიდრებს. ამის მაგალითია, თუნდაც, ის აზრი, რომელიც აფხაზურ საზოგადოებაში გაჩნდა – ქართველებთან ურთიერთობა სჯობს გაურკვეველი პერსპექტივის მოლოდინს რუსეთიდან. ამდენად, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ, მით უმეტეს, რომ სეპარატისტული მთავრობა გალში საკადრო ცვლილებებს ახორციელებს და ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვასაც აპირებს.

**- ბუშის ვიზიტის შემდეგ, როცა ორივე პრეზიდენტმა სრულიად გარკვევით ბრძანა, რომ საქართველომ აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოაგვაროს, რაღატომ ეშინია სოხუმს თბილისის?**

- შიშის საფუძველს ქმნის ის მანკიერი პრაქტიკა, რასაც სეპარატისტული ხელისუფლება წლების განმავლობაში ამკვიდრებს აფხაზეთში. კონფლიქტის მოგვარების შემდეგ კანონის წინაშე პასუხისგება ყველა დამნაშავეს მოუწევს. ამის გარდა, მავანთ ქართველი დევნილების ქონება უკანონოდ აქვთ მითვისებული და კონფლიქტის მოწესრიგების, ცხადია, ეშინიათ.

**- როგორ უნდა დავაჯეროთ აფხაზები ჩვენს მშვიდობიან განზრახვაში, რაც ასე მნიშვნელოვანია?**

- რა თქმა უნდა, ნდობის ფაქტორის აღდგენა კონფლიქტის მოგვარების წინაპირობაა, მაგრამ უმთავრესი მაინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაა. საგანგებოდ აღვნიშნე, რომ აფხაზეთში ვითარებას რუსეთი აკონტროლებს და როგორც კი მისი ნებართვა იქნება, აფხაზები სერიოზულ მოლაპარაკებებზე წამოვლენ.

თუ რუსეთი ვითარებას ხელოვნურად გაამწვავებს, ჩვენ მას საერთაშორისო სამართალი უნდა დავუპირისპიროთ, რომელიც ჩვენს მხარეზეა. ბოლო მოვლენები აშკარად ცხადყოფენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ევროპული ინტეგრაციით დაინტერესებულია. უნდა შეიქმნას ევროპული უსაფრთხოების სისტემები და მექანიზმები, მათ შორის, კავკასიაშიც. ეს ფაქტორები კი იძულებულს გახდის ყველა არაკეთილმოსურნე მხარეს, საერთაშორისო სამართალს ანგარიში გაუწიოს.

**- ჟენევის შეხვედრის დროს აფხაზური მხარე დაინტერესებულა, როგორია სახელმწიფოს დამოკიდებულება კონცეფციისადმი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. რა ხდება ამ მხრივ მთავრობაში?**

- აფხაზეთის სტატუსის შესახებ სახელმწიფო მუშაობს და მისი პოზიცია მალე გაჟღერდება კიდეც. აქ უპრიანი იქნება, გავიხსენოთ აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვა, სადაც მან აფხაზეთის ავტონომია ახსენა. სავარაუდოა, რომ ქართული მხარეც ასევე ჩამოყალიბდება და შეჩერდება აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსზე უნიტარული საქართველოს შემადგენლობაში. სხვათა შორის, აფხაზებშიც მკვიდრდება აზრი, რომ მათთვის კეთილსაიმედო გარემო მხოლოდ ქართველების გვერდით შეიძლება შეიქმნას.

# ავტობუსის ფაქტორი გალის შეხვედრაზე

ლელა მარგიანი

*გალში გაიმართა კონფლიქტის ზონაში უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული მაღალი დონის შეხვედრა, რომელზეც ქართულ მხარეს წარმოადგენდა სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, ხოლო აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელი იყო დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. შეხვედრა ჩატარდა საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით.*

გალში ჩატარებული შეხვედრის მთავარი თემები იყო კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებული ღონისძიებები და მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარების საკითხები, მაგრამ შეხვედრის ერთადერთი კონკრეტული გადაწყვეტილება გახდა შეთანხმება, რომ მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი ივნისის შუა რიცხვებში გაიმართება.

თუმცა, როგორც გალის შეხვედრიდან დაბრუნებულმა სახელმწიფო მინისტრმა სპეციალურ ბრიფინგზე აღნიშნა, ეს ფაქტი მოულოდნელი არ ყოფილა. მოულოდნელი და გაუგებარი სხვა რამ აღმოჩნდა, კერძოდ, აფხაზური მხარის უარყოფითი პოზიცია ისეთი მარტივი საკითხის მიმართ, როგორიც არის ენგურის ხიდზე ავტობუსის მიმოსვლა. ამასთან დაკავშირებით ხაინდრავამ განაცხადა, რომ **"სრულიად გაუგებარია, თუ აფხაზური მხარის მიერ რატომ ითქვა უარი ისეთი მარტივი საკითხის გადაწყვეტაზე, როგორიცაა ენგურის ხიდზე ავტობუსის მიმოსვლა, რომელიც გაუბედურებულ ხალხს ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მდგომარეობას. ეს ხომ აბსოლუტურად უწყინარი პროექტია, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ენგურის ხიდზე, ერთი საგუშაგოდან მეორემდე ხალხის გადაყვანას? ეს საკითხი ჯერ კიდევ გიგი უგულავას დროს წამოიჭრა. მაშინ, აფხაზური მხრიდან უარის თქმის საბაბი იყო მომავალი არჩევნები, მერე - ინაუგურაცია. ერთიც მოხდა და მეორეც, საკითხი კი კვლავაც გადაუწყვეტელია."**



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ენგურის ხიდზე მხოლოდ გაეროს ავტობუსი მოძრაობს.*

მინისტრმა აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ დააყენა საკითხი, რომელიც მათ ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიაწოდეს. გალის რაიონის მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს გაუჩნდათ იდეა, რომ რაიონში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდეს. ჯერჯერობით, არც ეს საკითხია გადაწყვეტილი. არადა, ხაინდრავას განცხადებით, ასეთი თემების გადაწყვეტა ქართული მხარისთვის მიმანიშნებელი იქნებოდა იმისა, თუ რა პერსპექტივა გააჩნია ჩვენს ურთიერთობებს და რაზე შეიძლება დღეს საუბარი.

ამავე დროს, აფხაზური მხარე მზადყოფნას გამოთქვამს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების თაობაზე. **"ჩვენ მზად ვართ ასეთი თანამშრომლობისათვის, როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე ორმხრივი ურთიერთობებისთვის. ამჟამად ქართულ მხარეს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების არამხოლოდ სურვილი აქვს, ამისთვის სათანადო სახსრებიც არსებობს. ერთადერთი, საჭიროა მხოლოდ აფხაზური მხარის თანხმობა და ორმხრივი მოძრაობა ერთმანეთისკენ, რაც კონკრეტულ საქმიანობაში აისახება. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი საუბარი იმაზე, რომ აფხაზური მხარე არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ საქმით არის მოწადინებული, რომ კონფლიქტი ჩვენს შორის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარდეს,"** – განაცხადა ხაინდრავამ.

გალის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს რამდენიმე კონკრეტული საკითხი შესთავაზა, კერძოდ: განურჩევლად ეროვნებისა, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა საწვავითა და შხამ-ქიმიკატებით. ასევე სკოლების დაფინანსება, მიუხედავად ეროვნებისა, ქართული სკოლების მომარაგება ქართული სასწავლო ლიტერატურით. ამავე დროს, აღინიშნა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროც მზადაა, დახმარება გაუწიოს აფხაზეთის როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ სკოლებს.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გალის რაიონში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს. გადაწყდა, რომ შეიქმნება სპეციალური მუშა ჯგუფები, რომელიც ამ საკითხების მოგვარებაში უშუალოდ ჩაერთვებიან. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, დღის წესრიგში დგას კრიმინალისა და გალის რაიონში გამეფებული განუკითხაობის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო, რომ როგორც გოგა ხაინდრავამ აღნიშნა: **"ბაგაფშის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მუხლი გალის რაიონში წესრიგის დამყარება იყო. აფხაზური მხარე შეეცადა დავერწმუნებინეთ, რომ ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადადგმული. ბუნებრივია, სანამ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საკითხები არ იქნება გადაწყვეტილი, ჩვენთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ, მსგავსი საკითხები ერთობლივად განიხილონ."**

ხაინდრავას განცხადებით, გალის შეხვედრაზე გაკეთდა საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის ანგარიში, რომელშიც მითითებული იყო, რომ განხილვის სტადიაშია 10 საქმე. ქართულმა მხარემ დღის წესრიგში დააყენა კიდევ რამდენიმე აღმაშფოთებელი ფაქტის გამოძიების საკითხი.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, შეხვედრის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს რამდენიმეპუნქტიანი შეთანხმების მე-9 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების უსაფრთხოებასა და მხარდაჭერას კონფლიქტის ზონაში შეთანხმებული პროექტების განხორციელების საქმეში.

ხაინდრავას განცხადებით, **"მსგავსი პროექტები აქამდე მხოლოდ იდეაში არსებობდა და უშუალოდ მათი განხორციელება ყოველთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მხრიდან ამ თემის გააქტიურება არის ქართული მხარის კეთილი ნების გამოვლენა."**

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ გალის ბოლო შეხვედრის შედეგად, შეიძლება, ადრე მიღებული შეთანხმებების კიდევ ერთხელ დადასტურება და მათი შესრულებისთვის მზადყოფნა ჩაითვალოს.

## მისტერ ბი სამშობლოში ბრუნდება



B2

## მოულოდნელი და თანაც სასურველი შედეგი



B3

## ახალკაცმაც გადაწყვიტა



B4


# გზაზე

*“გზა ბევრნაირი არსებობს. მინახავს ლარივით გაჭიმულიც. მინახავს ქვა-ღორღიანიც. არის გზაც და არის შარაც, გზატკეცილიც არის და ბილიკიც. მიჰყვები მას, უხვევ ერთიდან მეორეზე, ქუჩიდან შუკაში გადადიხარ, ავტობანიდან საცალფეხოზე და დედამიწასაც ათვალიერებ. არ უნდა გაჩერდე, გზა იმისთვისაა, რომ მიჰყვე”*
*- დინ ფრენჩი, ილინოისის შტატი, 78 წლის. ბაიკერია 22 წლის ასაკიდან.*

თამარ ბაბუაძე

“აბრეშუმის გზა-2005”. ამერიკულად გაგებული ეს ძველისძველი მარშრუტი მოტოციკლეტებით დაიწყო და მოტოციკლეტებით გრძელდება.

წარმატებით.

შეგახსენებთ:

ამერიკელი მოტოციკლისტებმა სტამბულიდან დაიწყეს. გადმოლახეს მთელი თურქეთი, კერძოდ, გამოიარეს კაბადოკიაზე, გამოუყვნენ შავი ზღვი სანაპიროს, მოინახულეს უძველესი მართლამდიდებლური ძეგლიც - სუმელას სამონასტრო კომპლექსი, მოადგნენ სარფს, გადმოვიდნენ ბათუმში და ქუთაისი, გორის და მისთანების გავლით პარასკევს, 13 მაისს შემოვიდნენ თბილისში. ვოიაჟის საქართველოს ნაწილში მათი მასპინძელი “კავკაზუს ტრეველი” იყო. უკვე ორშაბათს მოტოციკლისტები აზერბაიჯანში იყვნენ - იქაური მასპინძლებით. იქედან კი გასავლელი დარჩათ: ყირგიზეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და მერე ჩინური ქალაქები და სოფლები - შიანამდე. შიანი ბოლო პუნქტი იქნება. იქ დასრულდება ორგანიზაცია “პლანეტის მხედრების” (Globe Riders) ტურნე, რომლის მიზანიც მარტივად რომ ვთქვათ - გზით სიამოვნების მიღებაა; ხოლო ცოტა რომ გავართულოთ - ტურიზმით, უცხო ქვეყნების ბუნებითა და კულტურით სიამოვნების მიღება.

ჯგუფში ოცდაათამდე კაცი შედის. უფრო სწორად კაციც და ქალიც. ცოლებიც და ქმრებიც. მეგობრებიც. BMW-ს მოტოციკლეტებით ქროლვა მათთვის ტურიზმის ყველაზე მისაღები ფორმაა. მოტოციკლეტების ამალას ავტობუსი მოჰყვება - ზოგიერთი მხედრის მეუღლე ავტობუსით მგზავრობს, მცირე გადამღები ჯგუფის თანხლებით. ოპერატორ სტერლინგ ნორენს ფირზე გადააქვს მგზავრობაც და იმ ქვეყნების ღირსშესანიშნაობებიც, რომლებიც აბრეშუმის მარშრუტში შედის.

ჩვენ “პლანეტის მხედრებს” პარასკევს თბილისთან დავხვდით. პირველი შთაბეჭდილებები სპონტანურად, შაბათსავე გაგიზიარეთ. 80 კმ.სთ. სიჩქარით მიმავალი მანქანის ლუკიდან გზატკეცილზე მქროლავი მოტოციკლისტებისთვის ფოტოების გადაღება ისეთი მძაფრი შთაბეჭდილება გამოდგა, რომ ნათლად წარმოვიდგინე, რა იქნებოდა თვითონ ბაიკზე ჯდომა და რბოლა, ქვეყნიდან ქვეყანაში.

“კავკაზუს ტრეველმა” ამერიკელები “ქორთ იარდ მერიოტში” დაასახლა. ცოტა პარადოქსული კი იყო ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გზის მტვერაკრული, მუზარადიანი და ქურთუკებიანი მოტოციკლისტების ხილვა, მაგრამ გავუძელით და კლასიკური ინტერიერისა და პანკური გარეგნობის ეს უცნაური ნარევი ასე ავხსენით: ეს ამერიკელები ჩვეულებრივი, შეძლებული ტურისტები არიან და არაფერი აქვთ საერთო იმ კრიმინალურ მოტობანდებთან, დღესაც რომ დაქრიან ამერიკულ გზებზე. ასე რომ, “ქორთ იარდი” ლოგიკური იყო.

როცა დილმის ტრასას, ალაგალაგ (და არა მარტო ალაგ-ალაგ) დაგლეჯილს, ჩვეულებრივი “მოსკვიჩების”, ნივების და ზაპესითბილისის “მარშრუტკების” გვერდით, ფარებანთებული, რომბისებურად ჩალაგებული ამერიკული მოტოციკლეტების ამალა შეესევა და ამ პროცესიას შენც შეესწრები, აუცილებლად ამერიკულად წამოგცდება: Wow ("ვაუ!") და მერე უკლებლივ ყველასთან მოგინდება გასაუბრება; 25-ივე მოტოციკლისტი ერთ პერსონაჟში გაგიერთიანდება და ქაოტური კითხვები ყველასთან საერთო გექნება.

თუმცა, როცა დაწყნარდები, მათ შორის ცალ-ცალკე გმირებსაც გამოჰყოფ. ჩვენ ორნი გამოვყავით: 37 წლის კალიფორნიელი ჯონ ლაშაპელი - იმიტომ, რომ ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე მხიარული წევრია და 78 წლის ილინოისელი დინ ფრენჩი - იმიტომ, რომ ჯგუფის ყველაზე უხუცესი წევრია.

**ჯონი: “საოცარი კონტრასტის გრძნობა მაქვს საქართველოში. კონტრასტია ყველაფერთან - ჩემს ქვეყანასთანაც და თურქეთთანაც. გზები ალაგ-ალაგ მართლა საშინელი გაქვთ. მერე მიდიხარ, მიდიხარ, თითქოს, არაფერია, ხეების და მინდვრების გარდა და უცებ ვინმეს გიგანტური ქანდაკება შეგეჩეხება. კაი, ეგ არაფერი, გადაიტან. მერე წახვალ, ისევ ჩვეულებრივი პეიზაჟი, მაგრამ გაიხედავ და ნახევრად დანგრეული, მიტოვებული კორპუსები. “Wow, wow” - მივქრი ჩემი მოტოციკლეტით და გამუდმებით ამას ვიძახი გულში. მოკლედ, კონტრასტია - კულტურულიც, ფიზიკურიც, სულიერიც”.**

**დინი: “მე ორმა რამემ გამაოცა საქართველოში. აბსოლუტურად ყველას ყურადღებას ვიპყრობთ. პატარა ბავშვები რომ ხელს გვიქნევენ, ისე არ გამიკვირდა, როგორც დიდების რეაქცია. ყველა ქალაქში, სადაც გავიარეთ ასე იყო: დიდიან-პატარიანად ყველა გულითადად გვესალმებოდა. ასეთი მეგობრული და გულითადი ხალხი არსად მინახავს. საოცარია პოლიციელების დამოკიდებულებაც. რამდენჯერმე მოხდა ისე, რომ ქალაქიდან გასვლა გაგვიჭირდა. პოლიციის მანქანებმა კი შეაჩერეს მოძრაობა, რუპორებით ყვიროდნენ: “სტოპ, სტოპ!” მერე სწრაფად გაქროლდნენ წინ და გასასვლელი გვაჩვენეს. ასე არც ერთ ქვეყანაში არავინ არ მოგექცევა. პირიქით, პოლიციასთან შეხვედრას სულ უნდა ერიდო”.**

მოკლედ, შთაბეჭდილებები მრავალგვარია, ცხელ გულზე ნათქვამი, მაგრამ მაინც ობიექტური. როგორც ჩანს, გზებზე ცხოვრების გატარება ზუსტი დასკვნების სხარტად გაკეთების საშუალებას გაძლევს.

დინ ფრენჩი მოტოციკლეტს 50 წელია, მართავს. 22 წლის იყო, პირველი ბაიკი რომ იყიდა. შთაგონებად, თუ ბიძგად მამის უარი ექცა. მაგრამ სრულწლოვანი, 21 წლის გახდა, თუ არა, ოცნების ახდენაც სცადა. **“მამა წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჩემი ბაიკი მაინც ვიყიდე და დავანახე, რომ დამოუკიდებლადაც შემიძლია გადაწყვეტილებების მიღება. საერთოდ, ალბათ, მოტოციკლისტობას ამიტომაც იწყებს კაცი - ვიღაცეებს რაღაცეები რომ დაუმტკიცო, ანდა სულაც - საკუთარ თავს. რაც მთავარია, არასდროს ჩერდები და კმაყოფილდები. ზიხარ მოტოციკლეტზე და ეს პროცესი მუდმივად მეორდება”.**



ბაიკერები გზაზე



შესვენება



გორში



გორიდან თბილისისკენ

ჯონ ლაშაპელისთვისაც ბაიკერობა გარკვეულწილად მეამბოხეობას ნიშნავს. **“თავიდანვე ასე განისაზღვრა, გაჩნდა საკულტო მოტოციკლეტები და ახალგაზრდები, რომლებიც გაბედულების მაგალითს აძლევდნენ დანარჩენებს. შენ ახალგაზრდა ხარ, გინდა, სხვებს თავი მოაწონო, ის აკეთო, რისი კეთებისაც სხვებს ეშინიათ, ან უბრალოდ - არ შეუძლიათ. შენ კი აკეთებ და მათგან გამოირჩევი. ბავშვობიდან მომწონდა ეს ყველაფერი. მაგრამ მოტოციკლეტის ყოლის ნებას არც მამაჩემი მრთავდა. მე კი ვუყურებდი ჩემი მეგობრების ბაიკებს, ჭუჭყიან, ათასგვარ გზებზე გაცვეთილ ბორბლებს, მესმოდა მოგზაურობის, დაშავების, ავარიების ამბები და სურვილიც მიძლიერდებოდა. მერე ჩავაბარე კოლეჯში, გავყიდე ჩემი ნივთები და მოტოციკელტი ვიყიდე. მას შემდეგ თითქმის სულ დავდივარ”.**

დინ ფრენჩმა იმ დროშიც იცხოვრა, როცა ბაიკერობა სულ სხვა რამეს ნიშნავდა. როცა 50-იან წლებში მარლონ ბრანდოს იღებდნენ ფილმში “ველური” თავისი "ჰარლი დევიდსონით" და ბაიკერობა თანდათან ხდებოდა მაჩოობის, გაბედულების, თავისუფლების სინონიმი. შემდეგ გადაიღეს “უდარდელი მხედრები” და ჰენრი ფონდამ და დენის ჰოპერმა კიდევ უფრო გაამყარეს მეამბოხე ბაიკერის იმიჯი. “ჰარლი დევიდსონი” მათი სავიზიტო ბარათი გახდა; “ჰარლიზე” ამხედრებული ბაიკერი კი - დამკვიდრებული სოციალური ფასეულობების წინააღმდეგ ამხედრებული მაჩო.

თუმცა, ჯონი და დინი ჰყვებიან, რომ ახლა სიტუაცია ასე ცალსახად გამოკვეთილი აღარაა. “ჰარლი” კვლავაც საკულტო მოტოციკლეტია, მაგრამ, როგორც საკულტო ნივთებს ემართებათ ხოლმე, თანამედროვე ამერიკაში ის ფულიანი კოლექციონერების ხელში უფრო ხშირად ხვდება, ვიდრე გზებზე თავისუფლად მოხეტიალე მეამბოხეების.

დინი გვიამბობს:

**“სიტუაცია, შეიძლება ითქვას, რომ ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა შეიძლება მიდიოდე გზაზე, შეგხვდეს “ჰარლი დევიდსონებზე” ამხედრებული ჯგუფი, შენ არალეგალური დაჯგუფება გეგონოს, ისინი კი ექიმები, დანტისტები იყვნენ და რაღაც მოტო-რალიზე მიდიოდნენ. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ახლა ასეა: “ჰარლის” ხშირად ადვოკატები და ექიმები მართავენ. იმიტომ, რომ ძვირი მოტოციკლეტია და ფული კი მათ აქვთ.**

ჯონი კი დასძენს:

**“თუმცა, მე მიყვარს “ჰარლი” და მისი წარსული იმიჯიც ბოლომდე მკვდარი არ არის. ერთხელ, ლოს ანჯელესის კონსერვატორებით დასახლებულ უბან ბარბენქში “ჰარლით” მივდიოდი. ზურგზე კი შეშინებული და შეშფოთებული გამვლელების მზერას ვგრძნობდი. სასაცილო იყო”.**

დინი: **“ისე კი, ბაიკერობა ძალიან პოპულარულია. ცხადია, ყველა შტატში სხვადასხვა დოზებით. ყველაზე დიდი და ცნობილი შტატები ამ მხრივ ილინოისი და კალიფორნიაა”.**

ჯონი: **“იმიტომ, რომ ყველაზე მაგრები ვართ!”**

როგორც უკვე მოგახსენეთ, “პლანეტის მხედრებს” არაფერი აქვთ საერთო ძველ და წარსულში ცნობილ არალეგალურ მოტობანდებთან, ისეთები, როგორებიც იყვნენ Hells Angels ("ჯოჯოხეთის ანგელოზები") და Banditos ("ბანდიტები"). “გგონიათ აღარ არიან? ისევ არიან. ისევ დაქრიან. ცხადია, ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის საფრთხესაც ქმნიან. ეს ბანდები ნარკოტიკით ვაჭრობენ, ეს არის მათი შემოსავლის წყარო და ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ზედმეტი ყურადღებაც კი აღიზიანებთ”, - განმარტავს დინი.

ჯონი კი მახსენებს: “ხომ გახსოვს კადრები იმ გიჟური ამბიდან “როლინგ სტოუნზის” კონცერტზე ალტამონტში?”

მახსოვს: Hells Angels-ი დაცვად დაიქირავეს. მიკ ჯაგერი და დანარჩენები სცენაზე ვერტმფრენით დაეშვნენ. წინა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა, Hells Angels-ის წევრებმა კი ვიღაც დაჭრეს.

თუმცა, მსგავსი მასშტაბური შემთხვევა, დიდი ხანია, აღარ მომხდარა. ახლა ის დრო დადგა, როცა ამერიკულ გზატკეცილებზე მეამბოხე “ჰარლი დევიდსონით” დენის ჰოპერის გზის გამგრძელებლებიც დაქრიან და ჰალსტუხიანი, სათვალიანი და ფულიანი იურისტებიც.

სიტუაცია პარადოქსული კია, მაგრამ ამავე დროს ცალსახად მეტყველებს ერთზეც: ბაიკერობა სიამოვნებაა, რომლის განცდის უნარიც ყველას აქვს - კბილის ექიმსაც და პანკსაც.

დინი და ჯონი ცდილობენ, ახსნან, რატომ ვერ ანებებენ მოტოციკლეტს თავს.

დინი: **“მომწონს ერთი განსაკუთრებული თვისების გამო - გრძნობ აბსოლუტურ კონტროლს საკუთარ თავზე და შენს გარშემო არსებულ სიტუაციაზე და ამავე დროს გრძნობ განუზომელ თავისუფლებას”.**

ჯონი: **“მართალი ხარ. თან ყველაფერი ერთიანდება, მოტოციკლეტი თითქოს შენი სხეულის ნაწილი ხდება. ამის გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია. საოცარი შეგრძნებაა, როცა ყველაფერი კარგად აეწყობა: მზიანი დღეა, გზა - სწორი, მოტოციკლეტი კარგად გამართულია, შენც სწრაფად მიქრი წინ - გადაჭიმულ გზატკეცილებზე. ამ განცდას მხოლოდ ერთადერთ სიამოვნებას შევადარებ - სერფინგს. როცა პირველად შევდექი სერფინგის დაფაზე, სიამოვნებისგან ვღრიალებდი. ასეთივე განცდას განიჭებს მოტოციკლეტიც”.**

მე გავიგე, ყოველ შემთხვევისთვის, ვეცადე წარმომედგინა. ეს კი, როგორც წესი, კარგად გამომდის ხოლმე. ახლა ის მაინტერესებს, რა “კაიფია” მოტო-ტურიზმი. არადა, უკვე ვიცი, რომ დინ ფრენჩს თავისი ბაიკით კანადა, ინგლისი, ჩილე და მექსიკა აქვს მოვლილი, ჯონს - კანადა, მექსიკა, ინგლისი, კოსტა რიკა, პუერტო რიკო, ბელიზი...

ჯონი ყველაზე კარგად ხსნის ამ “კაიფის” დედა-აზრს: “როცა უცხო ქვეყანას მოტოციკლეტით ეცნობი, ყველაფერი პირდაპირ, შენს წინაშე იშლება, ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ამ დროს ყველაზე ცხადად გრძნობ უცხო ქვეყნის ბალახის სურნელს, გზის პირას განლაგებული საფუნთუშეებიდანაც კი ოხშივარი სულ სხვა სიმძაფრით მოდის”.

დინი: **“მე მუზეუმებში არ დავდივარ, არც ამერიკაში. ქვეყნის გაცნობა ჩემთვის გზით ხდება. ამ დროს ყველაფერს გაცილებით უფრო რეალურად და მძაფრად ხედავ კიდეც, გესმის კიდეც და ეხები კიდეც”.**

დაბოლოს, ცოტა ფილოსოფია და სიმბოლიკა. რას ნიშნავს გზა მათთვის, ვინც სულ გზაზეა?

ჯონი: “ჩემთვის თავისუფლებაა. საკუთარი თავის გაკონტროლების და საკუთარი შესაძლებლობების შემოწმების შანსია”.

დინი: “ცხადია, თავისუფლებაა. გზა იმიტომ არის, რომ დაადგე და არ შეჩერდე”.



## აფიშა

### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ლომისი - 10"
საიუბილეო კონცერტები
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
მარსელ მიტუა
"აკომპანიატორი"
რეჟისორი: მანანა სურმავა
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**ამირანი**
"ჯვაროსნები"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**საერთაშორისო ახალგაზრული კინოფესტივალი "სესილი"**
**კინოთეატრი "რუსთაველი"**
ანიმაციური და მოკლე მხატვრული ფილმების ჩვენება
დას: 13:30 სთ.
(დასწრება მოსაწვევებითა და აკრედიტაციებით)

**რუსთაველი**
"სამი იქსი - 2"
დას: 18:00; 20:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 13:30; 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"სამი იქსი - 2"
დას: 14:30 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 16:30 სთ.

"გოგონა მილიონ დოლარად"
დას: 19:00 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
ევროპის კულტურული კონვენციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
საიუბილეო გამოფენა-აქცია

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გამოფენა "Made in Germany - არქიტექტურა + ეკოლოგია"
(გოეთეს ინსტიტუტისა და ბერლინის Gallery Aedes ერთობლივი პროექტი)

გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
"რჩეული ნამუშევრები"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ფირმა "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებისა და 161-ე საშ. სკოლის ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
"წინა საუკუნის ქართველები"
(ნინო ფურცხვანიძე - ფოტო;
სოფო ტაბატაძე - ინსტალაცია)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# მისტერ ბი სამშობლოში ბრუნდება

## პრემიერა კონტინენტზე

სოფო კილასონია

*პატარა გიორგი ბალანჩივაძე მღვდლობას აპირებდა. ასე რომ მომხდარიყო, მსოფლიო ბალეტში ახალი ერა ვერ დაიწყებოდა, ან, უბრალოდ, თანამედროვე კლასიკური მოძრაობა ძალიან დააგვიანებდა სცენაზე გამოსვლას. თავის დროზე ჯორჯ ბალანჩინმა საკუთარი სკოლა შექმნა, თუმცა, მისმა ხელწერამ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში წამყვანი თეატრები დაიპყრო. თითქმის ყველა ბალეტმაისტერი საკუთარი შემოქმედების დასაწყისში ან ბოლოს დგამს მონახაზებს სათაურად "ბალანჩინის სტილში" და ეს არც არავის უკვირს. მისტერ ბის ბალეტის გავლით იწყება უსაზღვრო და ამოუწურავი თანამედროვე ბალეტი. სწორედ მის მრავალფეროვან დადგმებშია ყველა ის ქორეოგრაფიული ხერხი, ფორმა და რიტმი, რომლითაც თანამედროვეობის პლასტიკა ჯერ კიდევ საზრდოობს.*



*ქორეოგრაფი ბართ კუკი, ნინო ანანიაშვილი და დირიჟორი ალექსეი სოტნიკოვი.*

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა უკვე სამი საპრემიერა წარმოგვიდგინა. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ ბალეტის მოყვარულთათვის ყველაზე დიდი საჩუქარი მაინც თბილისის სცენაზე განხორციელებული ბალანჩინის დადგმები იქნება. ქორეოგრაფიული კომპოზიციების შექმნა გიორგი ბალანჩივაძემ ჯერ კიდევ 18 წლისამ დაიწყო. იმ დროიდან ცდილობდა და კიდეც გამოსდიოდა, არავის მაგვარი და არაფრის მსგავსი ცეკვა ეჩვენებინა. პეტერბურგიდან ჯერ საფრანგეთში, სულ მალე კი აშშ-ში, უკვე ჯორჯ ბალანჩინმა მალე გაითქვა სახელი, მისი დასი კი ყველა დროის ყველაზე პოპულარული და ყველაზე შარმიანი საბალეტო დასი გახლდათ. ჯერ შტატებს, მერე კი უკვე მთელ მსოფლიოს მან "ნიუ იორკ სითი ბალე"-ს კაშკაშა ფენომენი აჩუქა და ბალეტის მიმართულება 180 გრადუსით შეცვალა.

ბალანჩინის ბალეტი საქართველოში არასდროს შესრულებულა. თავად მოსკოვის დიდმა თეატრმა მისი ქორეოგრაფიის გადმოტანა მხოლოდ ნინო ანანიაშვილის მონდომებით გადაწყვიტა. ბალანჩინის ბალეტზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენი ვარსკვლავი რომ თბილისის სცენაზეც მოინდომებდა მისტერ ბის მარგალიტების გამოტანას, ეს იმთავითვე ნათელი იყო. როგორც ჩანს, მრავალი ქართველი მოცეკვავის ოცნება განხორციელდა. 20, 21 და 22 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩვენი საბალეტო დასი ბალანჩინის სამ დადგმას: "სერენადას", "აპოლონსა" და "სიმფონიურ ვესტერნს" წარმოგვიდგენს. ეს თარიღი ჩვენი აკადემიური თეატრის მატიანეში მომავალში ალბათ განსაკუთრებულად აღინიშნება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისტერ ბი, პირობითად, მაგრამ მაინც, სამშობლოში ბრუნდება. მეორე იმიტომ, რომ სამი ერთაქტიანი ბალეტიდან ერთ-ერთს ("სიმფონიურ ვესტერნს") აშშ არასდროს დაუტოვებია, იგი ჩვენს კონტინენტზე არასდროს არსად არ შესრულებულა და მისი პრემიერა სწორედ ბალანჩინის სამშობლოში გაიმართება.

ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა მედია გუშინ საღამოს თეატრში დაპატიჟა, სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო და ჟურნალისტებს დასის სტუმრები წარუდგინა. მათგან ყველაზე ნაცნობი და ახლობელი გახლდათ ალექსეი სოტნიკოვი, დიდი თეატრის დირიჟორი, რომელიც, უკვე მრავალი წელიწადია, გასტროლზე მხოლოდ ნინო ანანიშვილს მიჰყვება და საქართველოშიც არაერთხელ ბრძანდებოდა. ბალეტის ამ მართლაც არაჩვეულებრივი დირიჟორის გარდა, ჟურნალისტებს კიდევ ორი ქორეოგრაფ-რეპეტიტორი წარუდგა. ბარტ კუკი და მარია კალეგარი ჯორჯ ბალანჩინის ბოლო დასის წარმომადგენლები და საყვარელი მოცეკვავეები, თბილისს საგანგებოდ ბალანჩინის დადგმების განსახორციელებლად ესტუმრნენ და გარკვეული ხნის მანძილზე ჩვენს დასთან მუშობდნენ. როგორც ქალბატონმა ნინომ, ისე უცხოელმა რეპეტიტორებმა ყველაზე მეტად თავად იმ დადგმებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებსაც 20 მაისს მაყურებელი იხილავს.

"სერენადა" პირველი ბალეტია, რომელიც ჯორჯ ბალანჩინმა ამერიკაში პეტრე ჩაიკოვსკის მუსიკაზე შექმნა. ბალეტს სიუჟეტი არა აქვს - ის ბალანჩინის ამერიკული მოგონებაა პეტერბურგზე. მისი პრემიერა 1934 წელს კონექტიკუტის შტატში ქალაქ ეარფორდის "ავერი მემორიალ თეატრში" ამერიკული ბალეტის სკოლის აღსაზრდელების შესრულებით გაიმართა. ამავე წელს მისი სცენური პრემიერა ნიუ იორკში ჩატარდა.

1928 წელს ჯორჯ ბალანჩინმა იგორ სტრავინსკის მუსიკაზე დიაგილევის დასისთვის შექმნა "აპოლონი". "ბალეტი ხელოვნებისა და სილამაზის დიად ძალას უმღერის. ამ დადგმით 24 წლის ბალანჩინმა მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. აქედან დაიწყო თანამშრომლობა იგორ სტრავინსკისთან, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მის გულითად მეგობრად დარჩა.

"სიმფონიურ ვესტერნში" მოქმედება ამერიკის შორეული დასავლეთის კოვბოებითა და კორდებალეტის გოგონებით დასახლებულ ქუჩაზე ხდება. მიუხედავად ამისა, იგი მაინც კლასიკურ ბალეტს წარმოადგენს. მუსიკა - ჰერში კეის ცოცხალი და ნაცნობი ჟღერადობის პარტიტურა ძირითადად კლასიკური ამერიკული ფოლკლორული სიმღერებისგან შედგება.

**"უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგილოცოთ ქართველებს, რომ ანანიაშვილი აქ გყავთ. ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი თეატრისთვის და არა მხოლოდ მისთვის. მე, როგორც მოსკოვის დიდი თეატრის თანამშრომელს, გული მტკივა, რომ ჩვენთან არ არის ისეთი წესრიგი და მუშაობა, როგორიც ნინომ აღადგინა დასში. მან თეატრში მოიტანა და ახლა საკუთარ დასს გადასცემს იმ დონესა და საქმისადმი მიდგომას, რომლითაც თავად მუშაობს. მიხარია, რომ მისტერ ბი თქვენთან ბრუნდება მთელი თავისი მოცულობითა და მომხიბვლელობით. თქვენ გყავთ ანანიაშვილი, ახლა კიდევ გიორგი ბალანჩივაძე. მე მშურს თქვენი."** - მთელი გულწრფელობით გვითხრა გუშინ პრესკონფერენციის დასასრულს ალექსეი სოტნიკოვმა. იმის შეფასება, თუ როგორ მუშაობს მისთვის უკვე კარგად ნაცნობი ორკესტრი ამ ეტაპზე, ჩვენ მოგვანდო და მთელი სადადგმო ჯგუფის სახელით კიდევ ერთხელ დაგვპატიჟა მომავალ პრემიერაზე.

# სტუმრად ბალანჩინის სახელოსნოში

## ქორეოგრაფმა თამაზ ვაშაკიძემ მოსკოვში ახალი სპექტაკლი დადგა

ია ვეკუა

მას შემდეგ, რაც თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის თანამდებობა დატოვა, ქორეოგრაფი თამაზ ვაშაკიძე მოღვაწეობის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა. ამ გადაწყვეტილების შესახებ იგი, ჯერ კიდევ, ქორეოგრაფიულიდან წასვლის პირველივე დღეებში საუბრობდა, თუმცა მოსკოვური ვოიაჟის პირველი შედეგები მხოლოდ ახლა გამოამზეურა. ოქტომბერში მსოფლიო ბალეტის ერთ-ერთ მექაში ვაშაკიძის ახალი დადგმის, "ბალანჩინის სახელოსნოში - ვალსის ფანტაზია" პრემიერა გაიმართება.

თეატრ "რუსული ბალეტის" ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ გორდიევმა თამაზ ვაშაკიძეს თავად შესთავაზა დადგმის განხორციელება, თემა კი თავად აირჩია. ვინაიდან ქორეოგრაფი საქართველოში ჯორჯ ბალანჩინის ხელოვნების ერთ-ერთ აქტიური პოპულარიზატორი და მცოდნეა, არჩევანი, სწორედ, მის შემოქმედებაზე შეაჩერა. სპექტაკლის პრემიერა 10 ოქტომბერს, ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზშია დაგეგმილი.

"ბალანჩინის სახელოსნოში - ვალსის ფანტაზია" კლასიკური საბალეტო დადგმაა და შტრაუსის მუსიკის მიხედვითაა განხორციელებული. თამაზ ვაშაკიძე შეეცადა, რომ სპექტაკლში კომპოზიტორის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებები აჟღერებულიყო. მასში "რუსული ბალეტის" თითქმის მთელი დასი მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ თეატრის შემადგენლობა ბალანჩინის პრინციპითაა დაკომპლექტებული ანუ ყველა მოცეკვავე სოლისტად მიიჩნევა.

დადგმის დაახლოებითი შინაარსი ასეთია: მუზა ჯორჯ ბალანჩინის სახელოსნოში მოხვდება. თითქმის ერთი საათის განმავლობაში მისი გაცოცხლების პროცესი მიმდინარეობს. მუზა პერიოდულად უახლოვდება მოცეკვავეებისგან კონსტრუირებულ ფორტეპიანოს კლავიატურას და მათაც ნელ-ნელა აცეკვებს. როგორც თამაზ ვაშაკიძე ამბობს, ამ სპექტაკლით ჯორჯ ბალანჩინის სტილი შეინარჩუნა, ამიტომ დადგმა, სწორედ, მას ეძღვნება. პროექტი რუსეთის კულტურის სამინისტროს პატრონაჟითა და დაფინანსებით განხორციელდა.



*თამაზ ვაშაკიძე*

თამაზ ვაშაკიძის გარდა დადგმაზე კიდევ ერთი ქართველი, კოსტიუმების მხატვარი ანკა კალატოზიშვილი მუშაობდა. მან ვაშაკიძესთან დუეტი შარშანაც შექმნა, როდესაც ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავი საქართველოში ერთადერთი ღონისძიება გამართა. მაშინ ვაშაკიძე, ჯერ კიდევ, ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი იყო და ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი კონცერტი, სწორედ, ამ სასწავლებლის აღსაზრდელებთან ერთად მოამზადა.

ეს იყო ვაშაკიძის ბალანჩინის სახელთან მესამე შეხება. პირველად ეს პატივი 1985 წელს ერგო, როდესაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად თბილისში დაიდგა ბალანჩინის "სერენადა". დადგმა თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა მიხეილ ლავროვსკიმ, ალექსანდრე პლისეცკიმ და ამერიკელმა ოლგა სმოკმა განახორციელეს. თამაზ ვაშაკიძე კი მთავარ პარტიას ასრულებდა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირმა ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედება ამ სპექტაკლით გაიცნო. დადგმა მოსკოვის დიდ თეატრსა და ფინეთშიც იხილეს. ორივეგან აღინიშნა, რომ ქართველებმა ამერიკელებივით იცეკვეს.

2001 წელს თამაზ ვაშაკიძემ კულტურის სამინისტროსთან ერთად დააარსა საქართველოში პირველი საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი "ჭაბუკიანი-ბალანჩინი". საბალეტო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს ზურაბ კიკალეიშვილი და ვერა წიგნაძე. გრან-პრი კი დიდი თეატრის სოლისტმა მარიხირო ივატამ დაიმსახურა. ფესტივალი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა.

თამაზ ვაშაკიძის სახელს უკავშირდება საქართველოში თანამედროვე ცეკვის კულტურის შემოტანაც. 1999 წელს, სწორედ, მისი და ფრანგი ქორეოგრაფის, დანიელ ლარიოს წამოწყებით საქართველოში ექსპერიმენტულ ქორეოგრაფიის პირველი ნიშანი გამოჩნდა. შემდეგ ვაშაკიძემ პირველი ქართული თანამედროვე ქორეოგრაფიული დადგმა "ანბანი" განახორციელა, რომელიც საფრანგეთის ცნობილ ფესტივალ "მონპელიე დანსზე" წარადგინეს.

2000 წელს ქორეოგრაფმა ცნობილი პროექტი "დილის საარი" წარმოადგინა. მუსიკოს გოგი ძოძუაშვილის, პოეტ რატი ამაღლობელის, დარმატურგ ლაშა ბუღაძისა და მხატვარ სიმონ მაჩაბელის ერთობლივ ექსპერიმენტულ სპექტაკლში მარჯანიშვილის თეატრის მასახიობები გიორგი ნაკაშიძე, ნიკო თავაძე, კახა ბაკურაძე, ზაალ ჩიქობავა, ონისე ონიანი, ზურაბ ბერიკაშვილი და სხვა მსახიობები მონაწილეობდნენ. ეს იყო პლასტიკის, პოეზიის, მუსიკისა და დრამატურგიის ჩინებული შერწყმის მცდელობა, რომელიც მაყურებელმა დიდი ენთუზიაზმით მიიღო.

შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალ "ჭაბუკიანი-ბალანჩინისა" და თანამედროვე ქორეოგრაფიული პროექტის განხორციელებით ვაშაკიძემ ვახტანგ ჭაბუკიანის ოცნება განახორციელა. მოგვიანებით მან დადგა სპექტაკლი "მატა ჰარი", ამჯერად კი სცენაზე ედიტ პიაფის გაცოცხლებისთვის ემზადება. წელს ფრანგ შანსონიეს 90 წელი შეუსრულდებოდა, ამიტომ ვაშაკიძეს საფრანგეთის საელჩოს დახმარების იმედი აქვს.

# მეცნიერებასთან ახლოს

გუშინ თუკი ვინმე შემთხვევით ბავშვთა სურათების გალერეაში შეიხედავდა, პირველ სართულზე არასაგამოფენო, სპეციფიკური სურნელი გააოცებდა. სხვადასხვა მჟავის გამოყენება პატარებს ქიმიური ცდებისთვის დასჭირდათ; ცდები კი ნახატებთან და ხელნაკეთ ნიმუშებთან ერთად უბრალო შემადგენელი ნაწილი იყო იმისა, რითაც წლის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გადმოსცეს ფირმა "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებისა და თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

მეხუთე წელიწადია, თურქული ფირმა "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები სასწავლო-სამეცნიერო გამოფენებს მართავენ. წელს ღონისძიებას თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. სტენდები, ცდები, სახალისო გამოცანები, - დაახლოებით ამგვარი ფორმებით წარმოაჩინეს მოსწავლეებმა საკუთარი ცოდნა.

გუშინდელი გამოფენის უშუალო მასპინძელი დემირელის სახელობის დაწყებითი სკოლა იყო. სკოლა მეორე წელიწადია არსებობს, მანამდე კი მსგავს გამოფენებს დემირელის სახელობის კოლეჯი მასპინძლობდა ხოლმე. სულ ფირმა "ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებები აერთიანებს: დემირელის სახელობის კერძო დაწყებით სკოლა "სხივს", დემირელის სახელობის დაწყებით სკოლას, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს, ქუთაისის ნიკოლაძის სახელობის სკოლას, ბათუმის შახინის სახელობის ლიცეუმსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

"ფაქტობრივად, ეს არის მთელი წლის ნამუშევრის პრეზენტაცია ყველა საგანში, რასაც სწავლობენ ბავშვები: ქართული, რუსული, ინგლისური ენები, მათემატიკა, სიმღერა, შრომა, საქართველოსა და თურქეთის არქიტექტურული ძეგლები; გამოფენაზე დომინანტ თემებს ვერ გამოარჩევთ", - ამბობს დაწყებითი სკოლის დირექტორი ნანა სვანიძე. მისივე თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილი თემები მოსწავლეების არჩევანია; მათივე მოპოვებულია ინფორმაცია; პედაგოგები, უბრალოდ, ხელს უწყობდნენ ამ ყველაფერში. "სკოლაში გვაქვს 24-საათიანი ინტერნეტ-მომსახურება და ბავშვები გაკვეთილების პროცესში თავად მუშაობდნენ ამა თუ იმ თემის ირგვლივ ინფორმაციის მოძიებაზე", - აღნიშნავს გამოფენის ორგანიზატორი და დაწყებითი სკოლის დირექტორი და ამატებს, რომ მსგავსი ღონისძიებები მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას მძაფრად ცვლის. "საზოგადოების ყურადღება, ასეთი მიდგომა დიდ კვალს ტოვებს იმ საქმიანობისადმი, რითაც არიან ბავშვები დაკავებული. მათთვის მთავარი მოსმენაა", - ამბობენ პედაგოგები. "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებში ბავშვებისთვის განათლების მიცემის განსაკუთრებულ ხედვაზე მოგვიანებით თავად სასწავლებლების ხელმძღვანელებმაც ისაუბრეს. მათი ნათქვამის ნამდვილი ილუსტრაცია კი გალერეის პირველ სართულზე მოწყობილი გამოფენა იყო.



*მოწაფეები გამოფენაზე.*

# მოულოდნელი და თანაც სასურველი შედეგი

*ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. 16 მაისი. ღამის თორმეტის ნახევარი. ათასობით მაყურებელი ერთ დიდ მონიტორს მიშტერებია. დარბაზში აშკარა დაძაბულობა იგრძნობა. ეს დაახლოებით 20 წუთს გრძელდება. მერე მონიტორზე შედეგები ჩნდება, რასაც გულშემატკივართა გამაყრუებელი შეძახილები ახლავს. მოულოდნელობისგან ვიღაცას გული მისდის...*

როგორც იქნა, დასრულდა "ჯეოსტარი 2005" და წლევანდელი გამარჯვებულიც გამოვლინდა. ცხრა დაძაბული კვირა ძალიან ბევრისთვის მოულოდნელი, თუმცა, სასურველი შედეგით დასრულდა. 19 წლის გიორგი შარაბიძე ჯეოსტარი ხდება. ზოგიერთებს ამის დაჯერება ძალიან გაუჭირდათ, რადგან გასული ცხრა კვირის განმავლობაში (ერთის გამოკლებით) SMS ლიდერი გიორგი შარაბიძის კონკურენტი გიორგი ბუშელაშვილი იყო. ეს გამარჯვება მოულოდნელი იყო თავად გიორგისთვის, წარმოუდგენელი მშობლებისთვის და ნაცნობ-მეგობრებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი უკანასკნელმა საათებმა ან იქნებ წუთებმაც გადაწყვიტა. საბოლოო შედეგით კმაყოფილია ჟიური და, რაც მთავარია, ათასობით გულშემატკივარი, ერთი ამდენი (ან იქნებ მეტი) კი - გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებული. თუმცა, მათი ფავორიტი გიორგი ბუშელაშვილი იმ საღამოს ხელცარიელი მაინც არ წასულა. მერე რა, რომ, შარაბიძის მსგავსად, სტუდია "ორფეოსი" მისთვის კომპაქტ-დისკის ჩაწერაზე არ იზრუნებს, სამაგიეროდ მას ყვარლის რაიონის დეპუტატმა ნანა პატარკაციშვილმა ისეთი სიურპრიზი მოუმზადა, დარწმუნებული ვარ, ბევრს შეშურდება. მალე გიორგი ბუშელაშვილი ესპანეთში გაემგზავრება და იქ სიმღერის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. საზღვარგარეთ ვოიაჟი მოუწევს გამარჯვებულ გიორგისაც. კომპანია "კოკა-კოლას" გადაწყვეტილებით, რომელიც ამ პროექტის ერთ-ერთი სპონსორი იყო, მალე ორივე გიორგი ერთი კვირით პარიზში ჩავა. იქ ისინი "კოკა-კოლას" მატარებელში ჩასხდებიან, რომლის ბოლო გაჩერება გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე მდებარე ქალაქი ბელფორტია. ამ ქალაქში უზარმაზარი ტბაა, რომლის შუაგულში დიდი კუნძულია. იქ კი, როგორც "კოკა-კოლას" წარმომადგენელმა სოფო ჭყონიამ გვითხრა, ივნისის შუა რიცხვებში ჩატარდება სამდღიანი მუსიკალური ფესტივალი, რომელზეც ყველანაირი სტილისა და მიმდინარეობის მუსიკა აჟღერდება. ასე რომ, თავბრუდამხვევი 72 საათი ორივე გიორგის წინ ელოდება.

იმ საღამოს ფილარმონიაში კიდევ იყო ბევრი საჩუქარი და ამაღელვებელი წუთები. "ჯეოსელისგან" ათასობით უფასო სასაუბრო წუთი, PSP ჯგუფისგან ათასი ლარი, "თელიანი ველისგან" ღვინოები, "საქართველოს ბანკისგან" პლასტიკური ბარათები, BCI-სგან სადაზღვევო პოლისები.

მოკლედ, "ჯეოსტარის" ათივე მონაწილე ორშაბათ საღამოს, უფრო ზუსტად კი, გუშინ, გამთენიისას (ფინალური კონცერტის



მარცხნიდან: ჯეოსელის პიარი - ირმა ცქიტიშვილი, გენერალური დირექტორი ოსმან თურანი, გამარჯვებული გიორგი შარაბიძე და გიორგი ბუშელაშვილი.

შემდეგ მათ გრანდიოზულ ბანკეტზე გადაინაცვლეს), შინ დატვირთული დაბრუნდა.

უსაჩუქროდ არც მაყურებელი დარჩენილა. მართალია, მათთვის საჩუქარი არავის გაუტანებია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა, როგორც თავად ამბობდნენ, იმ საღამოს მათ კონცერტის ორგანიზატორებმა სამი სასიამოვნო საათი აჩუქეს.

ფინალური კონცერტი კი მართლაც ორიგინალური და წინა რვისგან არსებითად გასხვავებული გამოდგა. ამისთვის რეჟისორმა დათო დოიაშვილმა და მასთან ერთად მომუშავე ჯგუფმა რამდენიმე უძილო ღამე გაატარა. თითოეული მათგანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდა გალა-კონცერტს, რადგან სწორედ ამას ელოდა ორშაბათს ფილარმონიაში მისული თითოეული მაყურებელი, მუსიკალური ბომონდი და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი ნაწილი. ფინალური ჯეოსტარის სტუმრებს შორის იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, დეპუტატები მაია ნადირაძე, გიგი წერეთელი და სხვები. როგორც ამბობენ, მათაც საკუთარი ფავორიტები ჰყავდათ, ზოგიერთმა მათგანმა კი იმ საღამოს მობილური ტელეფონის აპარატზე საკუთარი ვარსკვლავის გადასარჩენად თითები დიდხანს "ავარჯიშა". სხვების რა გითხრათ, მაგრამ მაია ნადირაძეს კი ნამდვილად გაუმართლა. ბევრი SMS, რომელიც უმრავლესობის ლიდერმა 5010-ზე გაგზავნა, გამარჯვებულ გიორგი შარაბიძეს ნამდვილად წაადგა.

# "საბა" - 2005

## ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის ნომინანტები

### საუკეთესო პროზაული კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | არჩილ ქიქოძე | "სოფელ ქვეყანა`, | "საარი" |
| 2 | ნუგზარ შატაიძე | "ნოემბრის წვიმა" | |
| 3 | ირმა მალაციძე | "ფატია" | "სიესტა" |

### საუკეთესო რომანი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა ბურჭულაძე | "სახარება ვირისა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ირაკლი სამსონაძე | "ყურთბალიში" | "არეტე" |
| 3 | აკა მორჩილაძე | "სანტა ესპერანსა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 4 | ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 5 | ბესო ხვედელიძე | "გაფრინდი ნელა" | "დიოგენე" |

### საუკეთესო პოეტური კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან კაიშაური | "ცოცხების გადაფრენა" | "კავკასიური სახლი" |
| 2 | ლელა სამნიაშვილი | "გველის წელიწადი" | "კავკასიური სახლი" |
| 3 | შოთა იათაშვილი | "ფანქარი ცაში" | "კავკასიური სახლი" |
| 4 | გიორგი ლობჟანიძე | "ბაბუაწვერების თაიგული" | "კავკასიური სახლი" |
| 5 | დათო მაღრაძე | SALVE | საარი |
| 6 | ანდრო ბუაჩიძე | "ელნათურები" | "მერანი" |

### საუკეთესო დებიუტი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ნესტან კვინიკაძე | "ისპაჰანის ბულბულები" | "არეტე" |
| 2 | გელა ჩქვანავა | "კოლორიტები" | "დიოგენე" |
| 3 | მარიანა ნანობაშვილი | "არიადნას გორგალი" | "მერანი" |

### საუკეთესო თარგმანი

| | ავტორი | სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | არისტოფანე | "კომედიები" | ლ. ბერძენიშვილი | "ლოგოს პრესი" |
| 2 | მარკ ტვენი | "ტომ სოიერის თავგადასავალი" | ა. ლეკიაშვილი | "არეტე" |
| 3 | დ.ჰ. ლორენსი | "ესეები თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის შესახებ" | თ. კოტრიკაძე | "კავკასიური სახლი" |
| 4 | ჯორჯ ორუელი | "1984" | დავით აკრიანი | "სიესტა" |
| 5 | გოლი თარაყი | "სახლი ზეცაში" | მზია ბურჯანაძე | "დიოგენე" |
| 6 | რუბენ გალიეგო | "თეთრით შავზე" | ნინო ბექიშვილი | "დიოგენე" |
| 7 | რჩეული თარგმანები | "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა" | ჯ. აჯიაშვილი | |

### საუკეთესო პიესა

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი სამსონაძე | "ბებო მარიამი" | ალმანახი "დრამატურგია" |
| 2 | მანანა დოიაშვილი | "აქ, ამ სავანეში" | ალმანახი "დრამატურგია" |

### საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა შათირიშვილი | "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ნუგზარ მუზაშვილი | "ჩვენ და ისინი" | "მერანი" |
| 3 | გაგა ლომიძე | "წიგნები", | "კრიტერიუმი" |
| 4 | ეკა ცხადაძე | "წიგნები" | |




# განხორციელებული და მომავლის პროექტები

## გერმანული არქიტექტურა გარემოს სამსახურში



ვერა ნეფარიძე

*გერმანული პუნქტუალობა პირველი შთაბეჭდილება იყო, რაც გუშინ გოეთეს ინსტიტუტში დაგეგმილმა გამოფენამ გახსნამდე მოახდინა სტუმრებზე; შემდეგი იყო შთამბეჭდავად დამზადებული ექსპოზიცია და არანაკლები გულმოდგინებით მომზადებული ფურშეტი, რომელსაც ინსტიტუტში პირველი არქიტექტურული გამოფენის გახსნა უნდა დაესრულებინა. ასეთი მასპინძლობა გაცილებით დიდი აუდიტორიისთვის იყო გათვლილი, ვიდრე შეიკრიბა გამოფენის პირველ დღეს. თუმცა, არქიტექტურის თემა "გოეთეში" გრძელდება და კიდევ უფრო საინტერესოდ.*

"დამზადებულია გერმანიაში - არქიტექტურას+ეკოლოგია", - ასე ჰქვია გამოფენას, რომელსაც გოეთეს ინსტიტუტი და ბერლინში არსებული Aedes Gallery ერთობლივად წარმოადგენს თბილისში; არქიტექტურის თემატიკა კი ამავე ინსტიტუტის ინიციატივით გაგრძელდება ამ დღეებში პროექტით "ქალაქ თბილისის განვითარების პერსპექტივები"; ამჯერად ბერლინის არქიტექტურული ბიუროს Hunger-ის წარმომადგენელი დოქტორი ვოლფრამ ვალრაფი ორ სემინარს გაუძღვება (19 და 20 მაისს).

მართალია, ზემოხსენებული გამოფენა "გოეთეს ინსტიტუტის" (თბილისის წარმომადგენლობის) პირველი საგამოფენო პროექტია, მაგრამ არქიტექტურაში ქართულ-გერმანული თანამშრომლობით ინსტიტუტი 6-7 წლის წინათ დაინტერესდა. მაშინ ინსტიტუტის ინიციატივით თბილისში ჩამოვიდა ცნობილი არქიტექტორი იოშტ შრამი, რომელიც უხელმძღვანელებდა ავლაბრის უბნის მოვლა-რეკონსტრუქციის პროექტს. გერმანელი არქიტექტორის გარდაცვალებისა და სხვადასხვა ქართული, სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო, პროექტზე შეჩერდა მუშაობა, მაგრამ, როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე ითქვა, ბოლო დროს კვლავ განახლდა.

როგორი შეიძლება იყოს თბილისი, მისი არქიტექტურა? კონკრეტულად ამ საკითხზეა ჩამოსული ვოლფრამ ვალრაფი, რომელიც ამ დღეებში უნდა შეხვდეს სტუდენტებს, არქიტექტორებს. ვისთვისაც გერმანელი არქიტექტორის რჩევები და გამოცდილების მოსმენა საინტერესოა, მას შესაძლებლობა აქვს, ვალრაფის ორდღიან სემინარს დაესწროს. რაც შეეხება გუშინ გახსნილ გამოფენას, ის კონკრეტულად უკანასკნელი წლების გერმანიაში ეკოლოგიურ გეგმარებასა და მშენებლობას გვიჩვენებს. კერძოდ, წარმოდგენილია ცხრა არქიტექტურული პროექტი - რვა განხორციელებული და ერთიც მომავლის.

გამოფენის კატალოგის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: "ეკოლოგიური გეგმარება და მშენებლობა ნიშნავს შეძლებისდაგვარად გარემოს დაცვის გათვალისწინებით, საცხოვრებელი არეალის შეცვლას. ეკოლოგიური მიდგომა მოითხოვს ერთიან გააზრებას ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ტექნიკური ფაქტორების გათვალისწინებით. გერმანიაში გაფრთხილებით მშენებლობას დიდი ტრადიცია და მნიშვნელობა აქვს. ევროპის ცენტრში მდებარე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ოდითგანვე იძულებულებული იყო, ეკონომიურად მოეხმარა სამშენებლო მიწა, მასალა და ტექნიკა, რასაც თვალნათლივ ასახავს ეს გამოფენა".

გამოფენაზე წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტები კი გვიჩვენებს ქარხანას, რომელსაც გამონაბოლქვი არა აქვს; საბავშვო ბაღს, რომელიც ნატურალური (და არა ქარხანაში დამუშავებული) ხისგან არის აშენებული; ამ პროექტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაგებობების ბუნებრივი ენერგიით (მზის) გათბობასა და განათებას. ყველაზე შთამბეჭდავი (და ლამაზი) ალბათ, მომავლის პროექტია - შტუტგარტში დაგეგმილი მიწისქვეშა რკინიგზის სადგური, რომელშიც ბუნებრივი განათება იქნება. დაბოლოს, ვისაც პროექტები დააინტერესებს, 19, 20 და 21 მაისს (4 საათზე) "გოეთეს ინსტიტუტში" გაიმართება საგანგებო დათვალიერება, რომლის დროსაც მასპინძლები სტუმრებს ქართულად მოუთხრობენ თითოეული პროექტის შესახებ (ვინაიდან პროექტებს თან დართული აქვს გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტები).



ინფოთეკა

### მოიესი - ინგლისის საუკეთესო მწვრთნელი

ინგლისის მწვრთნელთა ასოციაციამ მიმდინარე სეზონის საუკეთესო სპეციალისტად დაასახელა "ევერტონის" მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი, რომელმაც თავისი გუნდი ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილამდე მიიყვანა. ეს ლივერპულელებს მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალებას მისცემს. მოიესის მთავარი კონკურენტი იყო ლონდონის "ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიო, რომლის გუნდი 50 წლის განმავლობაში პირველად გახდა ჩემპიონი, ასევე რაფაელ ბენიტესი ("ლივერპული"), რომელმაც თავისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა.

"ევერტონს" საკმაოდ სერიოზული პრობლემები ჰქონდა გასულ წელს. ამას ისიც დაერთო, რომ ზაფხულში კლუბს თავის წამყვან ფორვარდთან უეინ რუნისთან მოუხდა განშორება - იგი "მანჩესტერ იუნაიტედმა" შეიძინა. ამის მიუხედავად, მოიესმა სიმშვიდის შენარჩუნება შეძლო. სეზონის დასაწყისში მან მხოლოდ ნახევარმცველი ტიმ კაჰილი და ფორვარდი მარკუს ბენტი შეიძინა, თანაც, საკმაოდ მცირე თანხად. იანვარში ლივერპულელებმა მორიგი ფეხბურთელი დაკარგეს - ნახევარმცველი ტომას გრავესენი "რეალში" გადავიდა.

წამყვანი ფეხბურთელების კლუბიდან წასვლის მიუხედავად, მოიესმა მოახერხა შეექმნა ბრწყინვალე გუნდი, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს "ლივერპულსაც" კი გაუსწრო.

### ეტო`ო "ოქროს ბუცისთვის" იბრძვის, ამავე დროს იგი შეიძლება დაისაჯოს

ესპანეთის ჩემპიონატში "ბარსელონას" თავდამსხმელმა სამუელ ეტო`ომ "ლევანტესთან" ანგარიში გაათანაბრა. ახლა კი მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება "ოქროს ბუცის" მთავარ პრეტენდენტს ტიერი ანრის. ამ გოლის წყალობით, "ბარსა" მე-17-ედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. რადგან პრემიერლიგა უკვე დამთავრებულია, ტიერი ანრის აღარ შეუძლია გოლის გატანა, ეტო`ოს კი ამის საშუალება ჯერ კიდევ აქვს.

გარდა ამისა, სამუელ ეტო`ო შეიძლება დასაჯოს ესპანეთის ძალადობასთან ბრძოლის კომისიამ. სავარაუდო ჯარიმის მიზეზი "ბარსელონას" ჩემპიონის ტიტულის აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე ფეხბურთელის მიერ თავისი ყოფილი კლუბის მადრიდის "რეალის" მისამართით გაკეთებული არაკორექტული განცხადებებია.

ეტო`ომ კატალონიელების საშინაო სტადიონზე "ნოუ კამპზე" 98 ათასამდე გულშემატკივრის წინაშე განაცხადა, რომ მადრიდელები ვალდებული არიან, "ბარსას" წარმატება მოულოცონ. "სამეფო კლუბზე" საუბრისას ფეხბურთელმა შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა. ესპანეთის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, კომისია იმ შემთხვევაში დააჯარიმებს ფეხბურთელს, თუ იმ აზრამდე მივა, რომ ეტო`ოს სიტყვები ძალადობრივი ქმედების მიზეზი გახდა. გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ.

ამის გაგების შემდეგ, ეტო`ომ მადრიდის "რეალისთვის" ბოდიშის მოხდა გადაწყვიტა: "არ მინდოდა შეურაცხყოფა მიმეყენებინა მადრიდელებისთვის, გუნდისთვის, რომელშიც სახელი გავითქვი და რომლის დიდი მადლიერი ვარ. ეს შეცდომა იყო".

"რეალის" ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა, რომ იღებს ფორვარდის ბოდიშს.

### კრამნიკმა ლიდერობა დაიბრუნა

რუსმა ვლადიმირ კრამნიკმა დაიბრუნა სოფიის მე-20 კატეგორიის საჭადრაკო ტურნირის ლიდერობა. ტურნირის მეხუთე ტურში კრამნიკმა თეთრი ფიგურების უპირატესობა გამოიყენა უნგრელ დიდოსტატ იუდით პოლგართან შეხვედრაში. სოფიის ტურნირის ერთადერთი ქალბატონი კრამნიკს 62-ე სვლაზე დანებდა, როცა ენდშპილში მას გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა და მეტოქესთან ორ პაიკს აგებდა.

შედეგიანი გამოდგა რუსლან პონომარიოვისა და ბულგარელ ვესელინ ტოპალოვის პარტიაც. მე-40 სვლაზე ტოპალოვმა საშინაო ტურნირზე პირველი დამარცხება აღიარა.

ინდოელი ვიშვანათან ანანდისა და ინგლისელი მაიკლ ადამსის პარტია ყაიმით დასრულდა. 54-ე სვლაზე მეტოქეებმა შექმნეს პოზიცია, როცა დაფაზე მხოლოდ ორი ფიგურა იყო დარჩენილი. ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ მაიკლ ადამსი და ვლადიმირ კრამნიკი. ანანდს და პონომარიოვს 2,5-2,5 ქულა აქვთ, ტოპალოვსა და პოლგარს - 2-2.

ფეხბურთი

# ახალკაცმაც გადაწყვიტა

## საარჩევნო მარათონი ეკვატორს უახლოვდება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა პრეზენტაციები, რომელიც ქართული სპორტული მედიაცხოვრების ყოველდღიური შემადგენელი ნაწილი ხდება, უკვე მომაბეზრებელ ელფერს იძენს. იცვლებიან მხოლოდ მოქმედი პირები, ხოლო თემა, მიზანი და პროგრამები, მეტ-ნაკლები ცდომილებით, თითქმის იდენტურია. თუმცა, ამ ერთფეროვნებაშიც კი ნოდარ ახალკაცის კანდიდატურის პრეზენტაცია ორიგინალობით გამოირჩა, ორიგანალობით, რამაც ასე კარგად ნაცნობი ძველი, კეთილი დრო გამახსენა. "თბილისი მარიოტის" საკონფერენციო დარბაზი, ევროპაში განათლებამიღებული კანდიდატი, თანამედროვე ტექნიკური მიღწევების საშუალებით ჩატარებული პრეზენტაცია, ერთი მხრივ, და... მედლის მეორე მხარეც: პარტიული შეკრების მსგავსი თავყრილობა, მქუხარე ოვაცია პრეტენდენტის ვითომ მოსწრებულ პასუხებზე, მობეზრებული სახეები, საბჭოთა სოციალისტური საქართველოს მაღალი რანგის ჩინოვნიკები... ამ თემაზე ნამდვილად არ გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა ამ პუბლიკის საკმაოდ აგრესიული ქცევა. დღემდე მეგონა, რომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტს ნებისმიერი, რესპონდენტისთვის თუნდაც მიუღებელი შეკითხვის დასმა შეუძლია, რაზეც ძალიან ხშირად პასუხს ვერ ვიღებთ, თუმცა, შეკითხვის დასმის უფლება ჯერ არავის ჩამოურთმევია. "მარიოტში" მობრძანებული მხარდამჭერთა რაზმი, თუ შეკითხვა არ მოეწონებოდა, ჟურნალისტს თავად პასუხობდა, თვითონ განსაზღვრავდა, ვის რამდენი შეკითხვის დასმის უფლება ჰქონდა, გვასწავლიდა, რა ფორმით უნდა დაგვესვა შეკითხვები და ასე შემდეგ. პრესკონფერენციის ამ ფონმა ჩემს კოლეგებშიც ისეთივე რეაქცია გამოიწვია, როგორიც ჩემში, რაც, დამეთანხმებით, კანდიდატის წისქვილზე



ნოდარ ახალკაცმა სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.

ნამდვილად არ ასხამს წყალს. დარწმუნებული ვარ, ამ ფონის საჭიროებით ყველაზე ნაკლებად თავად ახალკაცი იყო დაინტერესებული. მას არც ერთი შეკითხვისთვის თავი არ აურიდებია.

მიუხედავად იმისა, რომ 11 ივნისის რიგგარეშე ყრილობა და არჩევნები გამარჯვებულ კანდიდატს უფლებამოსილების მხოლოდ ორწლიან ვადას აძლევს, ნოდარ ახალკაცს სამოქმედო პროგრამა ექვს წელიწადზე აქვს გათვლილი.

"მომავალი არჩევნები მომავალ პრეზიდენტს მხოლოდ ორწლიან მანდატს აძლევს, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი ქართული ფეხბურთის განვითარებაში სერიოზული ძვრების მოსახდენად. ჩემს გუნდს შემუშავებული აქვს მოქმედების ექვსწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელების შემთხვევაში, როგორც საკლუბო, ისე ნაკრებების დონეზე, სტაბილური წარმატებები გვექნება, ხოლო ფინანსური რესურსების მოზიდვისა და მათი გონივრული განკარგვების პირობებში საფეხბურთო ინფრასტრუქტურასაც განვავითარებთ", - ასეთი გახლავთ ახალკაცის სამოქმედო პროგრამის მთავარი პოსტულატები.

ექვსწლიანი პროგრამის შემუშავება ერთობ გონივრული და სტრატეგიულად გამართული სვლაა. თავად განსაჯეთ: თუ ახალკაცი არჩევნებში გაიმარჯვებს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ვერაფერიც რომ ვერ გააკეთოს, საფეხბურთო ოჯახი მას ვერ გაამტყუნებს. "ხომ იცოდით, რომ ორ წელიწადში ბევრს ვერაფერს მივაღწევდით და ექვსწლიანი პროგრამა მქონდა? თუ მენდეთ, მაცალეთ პროგრამის ბოლომდე განხორციელება". ეს არგუმენტი მომდევნო ყრილობას იძულებულს გახდის, კიდევ ერთი ვადით აირჩიონ იგივე კანდიდატი.

ნოდარ ახალკაცი არ უარყოფს, რომ გარკვეულ სახელისუფლებო წრეებთან ჰქონდა კონსულტაციები, თუმცა, არ ასახელებს, კონკრეტულად ვის შეხვდა და მიიღო თუ არა არჩევნებში გამარჯვების გარანტია. აღსანიშნავია, რომ ახალკაცი არ ადასტურებს კულუარულ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის თაობაზე.

"გვარებს და თანამდებობებს მნიშვნელობა არა აქვს. გეტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს პრეზიდენტს ნამდვილად არ შევხვედრივარ. იმ კონსულტაციებზე, რომლებიც სახელისუფლებო წრეებთან გავმართე, ნამდვილად არ ყოფილა საუბარი რაიმე გარანტიებზე. მე კანდიდატურის მხარდაჭერა კი არ მჭირდება. სახელმწიფომ იმ იდეებს, იმ პროგრამას უნდა დაუჭიროს მხარი, რომლებიც ქართულ ფეხბურთს კრიზისიდან გამოიყვანს და განვითარების გზით წაიყვანს. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომლის პროგრამასაც ქართული საფეხბურთო სამყარო ნდობას გამოუცხადებს. ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტური სწორედ ქართული საფეხბურთო სამყარო, ის ყრილობა და ის 72 დელეგატი იქნება, რომლებიც 11 ივნისს გააკეთებენ არჩევანს. შესაბამისად, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ, გამარჯვებული კანდიდატის იდეებს და პროგრამას უნდა დაუჭიროს მხარი", - ასეთი ხედვა აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ვაჟს.

ცოტათი მოულოდნელი იყო ახალკაცის პასუხი საკუთარი გუნდის ლუსტრაციასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე. ძნელი სათქმელია, რა მოსაზრებით, მაგრამ ამ საკითხში ნოდარ ახალკაცმა "ომერტა" არ დაარღვია და საკუთარი გუნდის წევრთა ვინაობა საიდუმლოდ შეინახა.

"ვფიქრობ, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ ხალხის ვინაობის გაშიფვრას, რომელთან ერთადაც ვაპირებ ფედერაციაში მოსვლას და მუშაობას. მარტო მე და ჩემი გუნდი ვერაფერს გავხდებით. თქვენთან, ყველასთან, ქართულ ფეხბურთში დასაქმებულ ყოველ ადამიანთან ერთობლივი მუშაობით თუ შევძლებთ იმ მიზნის მიღწევას, რასაც ქართული ფეხბურთის აღმასვლა და ფეხზე დაყენება ჰქვია", - თქვა პრეტენდენტმა.

აქვე გამცნობთ, რომ უმაღლესი ლიგის კლუბ "ზესტაფონის" წარდგენით, გუშინ ნოდარ ახალკაცმა საკუთარი კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალკაცი სწორედ ამ კლუბის ოფიციალური იურისტი იყო. როგორც "ზესტაფონის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მისი დამსახურებაცაა, რომ გუნდი თასის ფინალში გავიდა და ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება.

რაგბი

# კლუბები ამთავრებენ, ნაკრებები იწყებენ

პაატა თოთაძე

ბოლო ტურის წინ ოთხიდან სამი ნახევარფინალისტის ვინაობა ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, მთლიანად ტური უაღრესად დაძაბული გამოდგა, რადგან მოწინავე ოთხეულს ერთმანეთში ადგილები ჰქონდა გადასანაწილებელი.

გათამაშებას პირველი რაუნდიდან ავსტრალიური "ვორათაზი" ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ტურში პრემიალური ქულით ვერ მოიგო და პირველობაც ზელანდიურ "კრუზეიდერსს" დაუთმო. "კრუზეიდერსმა" პრემიალურით მოუგო თანამემამულე "ჰარიკენზს" და ავსტრალიურ კლუბს ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. აქედან გამომდინარე, ნახევარფინალის მოგების შემთხვევაში ზელანდიელები დიდ ფინალს შინ გამართავენ. სხვათა შორის, "კრუზეიდერსს" ნახევარფინალშიც "ჰარიკენზთან" მოუწევს თამაში. ასე იმიტომ მოხდა, რომ "ჯვაროსნებმა" პირველი ადგილი დაიკავეს. თუმცა, პლეი-ოფში "ჰარიკენზი" აღარ დაასვენებს თავის ლიდერებს ტანა უმაგასა და ჯერი კოლინზს და ბრძოლაც უკეთესი იქნება.

მეორე ნახევარფინალი ავსტრალიურ-აფრიკული იქნება. შარშან თბილისში ნამყოფ "ბულზს" ბოლო ტურის წინ ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი ჰქონდა, რითაც ისარგებლა კიდეც. "ხარებმა" აფრიკული "შტორმერზი" დაამარცხეს, რომლისთვისაც აქამდე ვერაფერი მოეხერხებინათ. ეს გამარჯვება "ბულზისთვის" ზედიზედ მეექვსე იყო. თანაც, გუნდმა მოიგო პრემიალური ქულით და 24-ბურთიანი სხვაობით, რამაც არათუ მეოთხე, მესამე ადგილის დაკავების შანსი მისცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნახევარფინალის მოგების შემთხვევაში, მეორე ნახევარფინალში კი "კრუზეიდერსის" დამარცხების შემთხვევაში, "ბულზი" ფინალს საკუთარ მოედანზე ითამაშებს.

"ბულზის" ერთ-ერთი კონკურენტი "ჰაილენდერზი" სტუმრად დამარცხდა "ჩიფსთან". ნახევარფინალში გასასვლელად "ჰაილენდერზს" თავადაც სჭირდებოდა მოგება, "ბულზსაც" უნდა წაეგო,



ზე-12-ში ასეთ ბრძოლას ხშირად ნახავთ.

მაგრამ ყველაფერი ამ მატჩშივე გაირკვა. პირველ ტაიმში "ჩიფსმა" ხუთჯერ დაალელოვა მეტოქე და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

მეორე ადგილზე გასულ ავსტრალიურ "ვორათაზს" პირველობის მოსაპოვებლად პრემიალური ქულით მოგება მართებდა "ოკლენდ ბლუზთან". სამი ლელოს გატანა მასპინძლებმა 50 წუთში მოახერხეს, მეოთხე კი ვერაფრით ვერ გაიტანეს.

სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადავინაცვლოთ, სადაც სეზონი დასასრულს უახლოვდება. ჩვენთვის საინტერესო ამბები საფრანგეთში ხდება. უმაღლესი დივიზიონიდან ქართველების ორ კლუბს მოუწევს დაქვეითება. ეს "ბეზიე" და "გრენობლია". "ბურგუენის" ძირითად შემადგენლობაში წლეულს პირველად ითამაშა ირაკლი გიორგაძემ. "ბურგუენი" აუტსაიდერ "გრენობლს" სტუმრობდა და დამარცხდა, თუმცა, მოპოვებული ქულები ლევან ღვაბერიძის "გრენობლს" უკვე არაფერში არგია. მარცხი განიცადა ჩემპინობის კიდევ ერთმა მაძიებელმა "ბიარიცმა". მას "კლერმონმა" აჯობა საკუთარ მოედანზე.

გავარდნილი ქართველების ნაცვლად, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალი წლიდან ელიტაში გია ლაბაძე ითამაშებს. მისი კლუბი "ტულონი" 103 ქულით პირველ დივიზიონს ლიდერობს და მდევარ "მონტობანს" 5 ქულით უსწრებს. "ტულონში" ჯერ მხოლოდ ერთი ქართველია, თუმცა, არ არის გამორიცხული, მომავალი წლიდან ლაბაძესთან ერთად კიდევ ერთმა ქართველმა დაიცვას კლუბის ღირსება.

მარცხით დაასრულა კარიერა ლეგენდარულმა მარტინ ჯონსონმა. მისმა "ლესტერმა" ჩემპიონატში კი დაიკავა პირველი ადგილი, მაგრამ ფინალი "ვოსპთან" დათმო. არადა, მას ზუსტად ორი კვირის წინ 45:10 მოუგო. ჯონსონთან ერთად "ლესტერს" მწვრთნელი ჯეფ ველში ტოვებდა. ასე რომ, ფინალი ერთგვარ გაცილებად იქცა. ბუნებრივია, ლესტერელებს სურდათ, საყვარელი ხალხი გამარჯვებით გაეცილებინათ, მაგრამ მატჩი მეტოქე მწვრთნელის სამადლობელ გაცილებად იქცა. ზელანდიელი უორენ გეტლანდის ხელმძღვანელობით ლონდონელებმა ზედიზედ მესამედ მოიგეს პრემიერშიფი, შარშან კი ევროპაშიც იმძლავრეს და "ჰაინეკენის თასს" დაეუფლნენ.

აქამდე გამართულ ხუთ მატჩში "ვოსპს" ერთხელაც ვერ მოეგო "ლესტერისთვის" და აი ეს გადამწყვეტ ბრძოლაში მოახერხა. გამარჯვებული გეტლანდი კარიერას გააგრძელებს მშობლიურ "ვაიკატოში", სადაც ავსტრალიაში გადაბარგებულ ჯონ მიჩელს შეცვლის.

ერთი სიტყვით, საკლუბო სეზონი სამხრეთსა და ჩრდილოეთში მთავრდება. ესტაფეტას ნაკრებები გადაიბარებენ. ცოტა ხანში "ლომების" ტურნე იწყება, მერე კი "სამი ერისა" და ტესტ-მატჩების ჯერიც დადგება.

ინფოთეკა

### "მიდლსბრომ" იაკუბუ შეიძინა

"როიტერსის" ცნობით, ნიგერიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი აიეგბენი იაკუბუ ივლისში "პორტსმუთიდან" პრემიერლიგის სხვა კლუბში - "მიდლსბროში" გადავა. ადგილობრივი პრესა იტყობინება, რომ "მიდლსბრო" მზადაა, ნიგერიელში დაახლოებით 14 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ამ კლუბის შემადგენლობაში ფეხბურთელი ევროპულ არენაზე იასპარეზებს. რადგან გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა, ამიტომ მომავალ სეზონზე მას უეფას თასის გათამაშებაში შეუძლია მონაწილეობის მიღება.

### ანრი ინგლისის თასის ფინალში ვერ ითამაშებს

"არსენალის" თავდამსხმელი ტიერი ანრი მონაწილეობას ვერ მიიღებს ინგლისის თასის ფინალში, რომელშიც "მეთოფეებს" წინააღმდეგობას გაუწევს "მანჩესტერ იუნაიტედი" (შეხვედრა 21 მაისს გაიმართება). ამის მიზეზი ქუსლის ტრავმის გამეორებაა.

პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა ტიერი ანრიმ "ბირმინგემის" წინააღმდეგ ვერ ითამაშა, "ევერტონთან" მატჩში კი მხოლოდ 45 წუთი გაატარა მოედანზე.

როგორც არსენ ვენგერის ფეხბურთელების, ისე "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ქვეყნის თასი ამ სეზონზე რაიმე ტურნირის მოგების უკანასკნელი შანსია.

შეგახსენებთ, "ჩელსიმ" პრემიერლიგაც მოიგო და ლიგის თასიც.

### "ტოტენჰემმა" კანადელი მცველი შეიძინა

ინგლისურმა კლუბმა "ტოტენჰემმა" კონტრაქტი გააფორმა კანადის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთან პოლ სტალტერისთან, რომელსაც გერმანულ "ვერდერთან" გაუდის თამაშის ვადა.

სტალტერიმ რვა წელი გაატარა ბრემენის კლუბში, რომლის შემადგენლობაში 2004 წელს გერმანიის თასის მფლობელი გახდა. მიმდინარე სეზონზე კი ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაში "ვერდერის" შემადგენლობაში რვა მატჩში მიიღო მონაწილეობა. სტალტერიმ კანადის ეროვნულ ნაკრებში 50 შეხვედრა ჩაატარა და ექვსჯერ აიღო მოწინააღმდეგის კარი.

მომავალი სეზონის წინ კანადელი "ტოტენჰემის" მიერ შეძენილი მესამე ფეხბურთელია.

### ვიერი "ინტერის" ხელმძღვანელობამ გაანაწყენა

იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, მილანის "ინტერის" თავდამსხმელი კრისტიან ვიერი საკმაოდ უკმაყოფილოა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, რომელიც მისთვის ხელფასის შემცირებას უკავშირდება.

"ჩემი კონტრაქტი მომავალ წელსაც გრძელდება, ამიტომ ასეთი საუბრის გაგონებაც კი არ მინდა. ჯერჯერობით არ ვიცი, რა მოხდება მომავალში, როცა ჩემი აქ ყოფნის ვადა ამოიწურება", - განაცხადა ფეხბურთელმა.

### კეჟმანი "ჩელსიდან" მიდის

უდავოა, რომ ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელი მატეა კეჟმანი თავის ამჟამინდელ კლუბს დატოვებს. თავად ფეხბურთელის განცხადებით, ძალიან იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ მიმდინარე სეზონში დიდ დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს.

"ლონდონში იმიტომ კი არ ჩამოვსულვარ, რომ ქუჩა-ქუჩა ვისეირნო და ფული ვხარჯო. ძალიან ნაწყენი ვარ, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ 30 წუთი გავატარე. მოხდა ისე, რომ მე მწვრთნელის ტაქტიკის მსხვერპლი გავხდი. საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი არ მომეცა. და მაინც, მიხარია, რომ გუნდმა დასახულ მიზანს მიაღწია - ჩემპიონი გახდა", - განაცხადა კეჟმანმა.

მიმდინარე სეზონში ფორვარდმა 59 მატჩიდან 14-ში ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. ეს მას შემდეგ, რაც 2004 წლის ივლისში იგი ჰოლანდიის "პსვ"-დან ინგლისში გადავიდა. 27 მატჩში გამოვიდა შეცვლაზე, შვიდი ბურთი გაიტანა. უკანასკნელად ფეხბურთელმა ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ლივერპულთან" მატჩში, რომელიც "ჩელსიმ" წააგო (0:1).

"არისტოკრატებთან" კონტრაქტი კიდევ სამ წელიწადს იქნება ძალაში. ლონდონელებმა კეჟმანში 7,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. ახლა კი, ზოგიერთი ინფორმაციით, ისინი მზად არიან ფეხბურთელი 5,2 მილიონად გაყიდონ.

ინფოთეკა

### პერესმა "სევილიის" ფეხბურთელებს დაადგა თვალი

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს "სევილიის" სამი ფეხბურთელი აინტერესებს. ორმა მათგანმა (სერხიო რამოსმა და ჟულიუ ბაპტისტამ) "რეალის" კარში გოლი გაიტანა, მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრა და "სამეფო კლუბს" ჩემპიონობის შანსი წაართვა.

რაც შეეხება მესამე ფეხბურთელს, იგი ხესუს ნავასი გახლავთ. ფეხბურთელმა "სევილიასთან" კონტრაქტი გააგრძელა, თუმცა, როგორც ჩანს, პერესს ეს გარემოება დიდად არ უნდა აღელვებდეს. არ თვლის, რომ ეს მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლის.

გარდა ამისა, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა მომავალ კვირას მოლაპარაკებას გამართავს პორტუგალიელ ნახევარმცველთან ლუიშ ფიგუსთან. საუბარი კონტრაქტის ვადამდელ გაწყვეტას შეეხება.

32 წლის ფეხბურთელი იაპონიასა და კატარში სათამაშოდ მიიწვიეს, თუმცა, თავად მას ევროპაში თამაში უნდა. აღსანიშნავია, რომ ფიგუს შეძენის მთავარი პრეტენდენტი "მანჩესტერ იუნაიტედი" გახლავთ.

ამავე დროს, "რეალს" ერთი ნაბიჯიღა უკლია "სანტოსის" ფეხბურთელის რობინიოს შეძენისგან. ტრანსფერის თანხამ 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა შეადგინოს.

სამაგიეროდ, "სამეფო კლუბმა" თავის მეკარეს იკერ კასილიასს 2011 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტის ვადა.

ახალი შეთანხმების მიხედვით, კასილიასის წლიური შემოსავალი ხუთი მილიონი ევრო გახდება. კონტრაქტის გაფორმების შესახებ ოფიციალურ განცხადებას მიმდინარე სეზონზე გააკეთებენ.

### "იუვენტუსი" ხავის შეძენას გეგმავს

ტურინის "იუვენტუსს" ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და "ბარსელონას" ნახევარმცველის ხავის შეძენა უნდა. ამის მოხერხებას კლუბი იმ ფულით აპირებს, რომელიც ორი ფეხბურთელის სტივენ აპიასა და ალესიო ტაკენარდის გაყიდვის შედეგად მიიღო.

აღსანიშნავია, ხავის მოსაპოვებლად იტალიური კლუბი "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" ებრძვის.

### ვიეირას "არსენალის" დატოვება არ უნდა

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ განაცხადა, რომ მას "არსენალში" თამაშის გაგრძელება უნდა. "მეთოფეთა" კაპიტანი ამბობს, რომ ახალი კლუბის ძებნას არ აპირებს.

"ამჟამად "არსენალთან" გაფორმებული ჩემი კონტრაქტი კვლავაც ძალაშია. არსად წასვლა არ მინდა", - აღნიშნა ფეხბურთელმა.

### რიკი ჰატონი ამბობს, ცზიუს გავლახავო

5 ივნისს მანჩესტერში გაიმართება IBF-ის ვერსიით საჩემპიონო ბრძოლა ქვესაშუალო წონით კატეგორიაში. ჩემპიონი კონსტანტინ ცზიუ რიკი ჰატონს შეეჯიბრება. ამას წინათ პრეტენდენტმა განაცხადა, რომ ბრძოლის ბოლო მონაკვეთში ცზიუს ნოკაუტით დაამარცხებს ან ქულებით მოიგებს შეხვედრას. ჰატონმა კი განაცხადა, რომ ბრძოლის პირველ მონაკვეთში მომთმენი და ფრთხილი იქნება.

"ცზიუს ვაიძულებ, დასაწყისიდანვე იმუშაოს, რადგან ამ ბრძოლაში არ არის აუცილებელი, დასაწყისშივე ისეთი აგრესიული ვიყო, როგორც ყოველთვის. ის შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად მომიღოს ბოლო. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ორთაბრძოლა, მით უკეთესი ჩემთვის", - განაცხადა ჰატონმა. პრეტენდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მისი ახალგაზრდული ასაკი დამატებითი უპირატესობა იქნება ცზიუს წინააღმდეგ ბრძოლისას. "მე დაველოდები, ვიდრე ის დაიღლება. მხოლოდ ამის შემდეგ მოვუმატებ ტემპს ", - დაამატა ჰატონმა.

თავისი აღსაზრდელის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება ჰატონის მწვრთნელს ბილი გრემსაც. "ჩვენი მზადების პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. ბრძოლის დღეს რიკი სპორტული ფორმის პიკს მიაღწევს. მან უკვე 20-ზე მეტი სატიტულო ბრძოლა გამართა. ასე რომ, ეს მისთვის სიახლე არ არის. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვავიწყდება ცზიუს შესაძლებლობები, მაგრამ, ამასთან, ჰატონის გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ", - განაცხადა გრემმა. მოკრივისა არ იყოს, მისი მწვრთნელიც ვარაუდობს, რომ ჰატონი ბოლო რაუნდებში ნოკაუტით გაიმარჯვებს ან ქულებით მოიგებს ბრძოლას, რადგან "ცზიუ ჰატონს ქულებით ცხოვრებაში ვერ მოუგებს", - ამბობს მწვრთნელი.

დაჯილდოება

# „ოსკაროსნები" - აქეთ, სექსუალურები - იქით

გიგა გურასაშვილი

*პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს "ოსკარის" მსგავსი Laureus World Sports Award-ის სპორტული პრემიები დაარიგეს. ჟიურის წევრები კი იყვნენ მსოფლიოს უდიდესი სპორტსმენები, სულ ორმოცნი, რომლებსაც 2004 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო სპორტსმენები უნდა დაესახელებინათ.*





*სპორტის ოსკარის მფლობელები - შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ინგლისელი კელი ჰოლმსი.*

ერთი სიტყვით, სპორტული "ოსკარების" ყოველწლიურ დაჯილდოებას ახალი ლაურეატები ჰყავს. ვაჟთა შორის 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, "დიდი სლემის" სერიათა სამი ტურნირის გამარჯვებული შვეიცარიელი როჟე ფედერერია. ქალთა შორის გაიმარჯვა ბრიტანელმა მძლეოსანმა 800 და 1500 მეტრზე რბენაში, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კელი ჰოლმსმა.

ვიდრე საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ფედერერი დასახელდებოდა, ამ ჯილდოს პრეტენდენტთა შორის შვეიცარიელთან ერთად იყვნენ "ტურ დე ფრანსის" ექვსგზის გამარჯვებული ამერიკელი ლენს არმსტრონგი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1500 და 5000 მეტრზე რბენაში მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი, ცურვაში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი მაიკლ ფელპსი, MotoGP-ის კლასში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იტალიელი ვალენტინო როსი და ფორმულა 1-ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი. მათი ტიტულატურის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟიურის წევრთათვის საუკეთესოს გამოვლენა იოლი საქმე არ უნდა ყოფილიყო.

ასევე იყო ქალთა შორის. კელი ჰოლმსმა გამოკითხვაში აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში რუს ელენა ისინბაევას, 2004 წლის საუკეთესო ჩოგბურთელს მარია შარაპოვას, მსოფლიოს უძლიერეს მეგოლფეს, შარშან ცხრა ტურნირის მომგებ შვედ ანიკა სორენსტამს, ჰოლანდიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ველორბოლაში ლეონტენ ზიილარდ ვან მორსელს და ოლიმპიურ ჩემპიონს შვიდჭიდში შვედ კაროლინა კლუფტს.

"წლის სპორტსმენის" გარდა, ჟიურის წევრებმა სხვადასხვა ნომინაციებშიც გამოარჩიეს საუკეთესონი.

"წლის გუნდის" ნომინაციაში პირველობა მოიპოვა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ტრიუმფატორმა და გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქემ საბერძნეთის ნაკრებმა. "წლის ახალბედად" დასახელდა 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი ჩინელი ლიუ სიანი. "წლის დაბრუნების" ნომინაციაში უმთავრესი ჯილდო წილად ხვდა იტალიელ ავტომრბოლს ალესანდრო ზანარდის, რომელმაც 2001 წელს ავტოავარიისას ორივე ფეხი დაკარგა, მაგრამ სპორტში დაბრუნება მაინც შეძლო.

"საუკეთესო პარაოლიმპიელის" პრემია გადაეცა კანადელ ჩანტალ პეტიტკლერკს, რომელმაც ათენის პარაოლიმპიურ თამაშებზე ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. "წლის ექსტრემალად" მოგვევლინა ბრიტანელი იახტსმენი ელენ მაკარტური, რომელმაც შარშან თებერვალში დედამიწის ირგვლივ მარტო მოგზაურობისთვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპეციალური ჯილდო "სულისკვეთებისთვის" გადაეცა ბეისბოლისტთა გუნდს "ბოსტონ რედ სოქსს", რომელმაც თავისი 86-წლიანი არსებობის მანძილზე პირველად შეძლო მსოფლიო სერიის მოგება.

რაკი გამოკითხვაზე ვსაუბრობთ, თემას გავაგრძელებთ და იმასაც დავძენთ, რომ ავტორიტეტული ბრიტანული საჩოგბურთო გამოცემის Ace Magazine-მა გამოკითხვის შედეგად ყველაზე სექსუალური ჩოგბურთელები გამოავლინა.

ბრიტანული ჟურნალის გამოკითხვაში 50 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ათი ყველაზე სექსუალური ქალ-ვაჟი ჩოგბურთელი დაასახელა. გამოკითხვის უმთავრესი მოთხოვნა ის გახლდათ, რომ ჩოგბურთელები მსოფლიო რეიტინგის ასეულის ბინადარნი უნდა ყოფილიყვნენ.

სპორტული "ოსკარისგან" განსხვავებით, Ace Magazine-ის გამოკითხვაში ყველაზე სექსუალურნი რუსი ჩოგბურთელები აღმოჩნდნენ. ქალთა შორის, ალბათ, უკვე მიხვდებოდით, ეს მარია შარაპოვაა, ხოლო ვაჟთა შორის - მარატ საფინი.

ასეთივე გამოკითხვის შედეგად შარშან ქალთა შორის გამოარჩიეს სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა, ხოლო ვაჟთა შორის - ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი.

საფეხბურთო გალერეა

# ვარსკვლავი - ჩირო ფერარა

("იუვენტუსი", იტალია)

***ჩირო ფერარა***
***დაიბადა*** *1967 წლის 11 თებერვალს*
***მცველი***
***სიმაღლე:*** *180სმ*
***წონა:*** *75კგ*
***კლუბები:*** *"ნაპოლი" (ნეაპოლი, იტალია, 1984-1994), "იუვენტუსი" (ტურინი, იტალია, 1994-2005)*
***ტიტულები:*** *იტალიის ჩემპიონი - 1987, 1990, 1995, 1997, 1998, 2002, 2003, იტალიის ვიცე-ჩემპიონი - 1988, 1989, 1996, 2000, 2001, იტალიის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1986, 2003, იტალიის თასი - 1987, 1995, იტალიის სუპერთასი - 1990, 1995, 1997, 2002, 2003, ჩემპიონთა თასი - 1996, უეფას თასი - 1989, ინტერტოტოს თასი - 1999, ევროპის სუპერთასი - 1996, საკონტინენტთაშორისო თასი - 1996, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1990, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 2000*
*იტალიის ნაკრებში ჩატარებულ 49 მატჩში გაიტანა 1 გოლი.*



ლაშა გოდუაძე

იტალიის ყველაზე ტიტულიანი კლუბი ტურინის "იუვენტუსი" მორიგ სკუდეტოსთან ძალიან ახლოსაა - თუ "ბებერმა ქალბატონმა" მორიგ ტურში იმარჯვა, ოცდამერვედ დაეუფლება ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელს.

სავარაუდოდ, "იუვენტუსი" ჩემპიონი გახდება. ამ შემთხვევაში კლუბის მცველი ჩირო ფერარა იტალიური ფეხბურთის ერთი რეკორდის თანამფლობელი გახდება - მერვედ მოიგებს სკუდეტოს, რაც აპენინის ნახევარკუნძულზე საუკეთესო მიღწევაა.

ჩირო ფერარამ ჩემპიონის ორი ტიტული ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოიპოვა, როცა მშობლიური "ნაპოლის" ღირსებას იცავდა. მომდევნო ხუთი სკუდეტო კი ტურინელებთან ერთად მოიგო.

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "პარმასთან" 2:0 მოგებულ მატჩში, შეცვლაზე შესულმა ჩირო ფერარამ ხუთასიანთა კლუბშიც შეაბიჯა - რიგით მეცხრე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც სერია ა-ში ამდენი შეხვედრა ჩაატარა. სანამ მის ჩანახატებს შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ კლუბს ლეგენდარული დინო ძოფი ლიდერობს 570 მატჩით. შემდეგ მოდიან: სილვიო პიოლა - 565, პიეტრო ვერხოვოდი - 562, პაოლო მალდინი - 561, ჯანლუკა პალიუკა - 557, რობერტო მანჩინი - 541, ენრიკო ალბერტოზი - 532, ჯანი რივერა - 527, ჯუზეპე ბერგომი - 519 და ჩირო ფერარა - 500. ფერარამ ამ ხუთასიდან თითქმის ნახევარი - 247 მატჩი - "ნაპოლის" მაისურით ჩაატარა, 253 კი - როგორც "იუვენტუსის" ფეხბურთელმა.

### ციტატები

**კარიერის დასაწყისზე**

...ბედნიერი ვარ, რომ მშობლიურ ქალაქში დავიწყე ფეხბურთის თამაში. "ნაპოლის" ბავშვობიდანვე ვქომაგობდი და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა ამ კლუბში მიმიწვიეს. სერია ა-ში ჩემი დებიუტი სწორედ ნეაპოლელთა შემადგენლობაში გაიმართა 1985 წლის გაზაფხულზე. მახსოვს, იმ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი ჩავატარე, მერე და მერე კი ძირითად შემადგენლობაშიც მოვიპოვე ადგილი.

**პირველ ტიტულზე**

...1986-1987 წლების სეზონში "ნაპოლი" ძალიან ძლიერი იყო და ჩემი პირველი ტიტულებიც სწორედ იმ სეზონში მოვიგე - კლუბმა დუბლი შეასრულა და მეც ჩემპიონი და თასის მფლობელი გავხდი. დიდებული გუნდი გვყავდა, მარადონას ბრწყინვალე თამაშით ფრთაშესხმულნი, ქვას ქვაზე არ ვტოვებდით! ორივე ჯილდო ჩემთვის დაუვიწყარია! სხვათა შორის, 1994-1995 წლების სეზონში "იუვენტუსმაც" დუბლი შეასრულა და მაშინაც ორივე ჯილდო მოვიგე. იტალიაში დუბლი, როგორც წესი, ძალიან იშვიათია. ასე რომ, მე ძალიან გამიმართლა!

**მარადონას შესახებ**

...დიეგო ძმაკაცია და ეს იტალიაში ყველამ ძალიან კარგად იცის. ბედნიერი ვარ, რომ მან ავტობიოგრაფიულ წიგნში ერთი თავი დამითმო. ის დიდებული ფეხბურთელი იყო და არანაკლებ ჩინებული ადამიანი. სამწუხაროდ, რთულ პერიოდში მოუხდა ცხოვრება. მის გარშემო არაერთი ავისმსურველი ირეოდა, რომლებმაც დიეგოს თავგზა აუბნიეს. უფრო მეტად რომ მომენდომებინა, მის გადარჩენას შევძლებდი. სამწუხაროდ, ძალიან გვიან გავიგე, რომ კოკაინს იყენებდა. ამ სენისგან მისი ხსნა იმ დროს შეუძლებელი იყო.

**1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე**

...ისე როგორც მთელ იტალიას, მეც იმედი გამიცრუვდა - ჩვენგან ქომაგები ჩემპიონობას ელოდნენ და ბიჭებსაც გვჯეროდა, რომ ოცნებას ავისრულებდით, მაგრამ არ გაგვიმართლა. ნახევარფინალის შემდეგ დიეგოს სიკვდილით დაემუქრნენ, თუმცა, ვთვლი, რომ მარადონა არაფერ შუაშია - ის თავის საქმეს აკეთებდა. თუ მოგება და ფინალში გასვლა გვსურდა, არგენტინელებთან მოპოვებული უპირატესობა არ უნდა გაგვეფლანგა და პენალტებამდე არ უნდა მიგვეყვანა საქმე.

**"იუვენტუსში" ტრანსფერზე**

...იმ დროს, როცა ტურინელებმა თავისთან გადასვლა შემომთავაზეს, "ნაპოლის" ძალიან უჭირდა. გამოსავალი რომ დამენახა, კლუბში დავრჩებოდი, მაგრამ არავინ იცოდა, რა იქნებოდა ხვალ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე "იუვენტუსში" გადასვლა. თანაც, ჩავთვალე, რომ "ნაპოლისთან" ვალმოხდილი ვიყავი. მგონი, გულშემატკივრებმა გამიგეს. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი - "იუვენტუსი" ოცნებების ასრულებაში დამეხმარა და არაერთი ბრწყინვალე მოგონება დატოვა ჩემში.

**მარჩელო ლიპის შესახებ**

...მას იტალიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. სხვა თუ არაფერი, ბევრი არაა მასავით ტიტულიანი. "იუვენტუსთან" ერთად მარჩელომ ყველა მწვერვალი დაიპყრო, ამიტომაც იმსახურებს პატივისცემას. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა - მის რჩეულთა შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ ვხვდებოდი, თუ ტრავმა მაწუხებდა. მიხარია, რომ ამ დიდებულ ადამიანთან ერთად არაერთ ჩინებულ გამარჯვებას მივაღწიე. იტალიის ნაკრებში ლიპის ყოველივე კარგს ვუსურვებ. მჯერა, რომ "სკუადრა აძურასთან" ერთად ის დიდ წარმატებებს მიაღწევს.

**დელ პიეროს შესახებ**

..."ნაპოლიში" დიეგო მარადონა იყო ლიდერი, "იუვენტუსში" კი ასეთი დელ პიეროა. შესანიშნავი ფეხბურთელია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლუბის სიმბოლოა. მიუხედავად იმისა, რომ ათ წელიწადზე მეტია "იუვენტუსში" თამაშობს, ასე მგონია, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. გარდა იმისა, რომ კარგი ფეხბურთელია, შესანიშნავი ადამიანიცაა. მამის გარდაცვალებამ მასზე ძალიან იმოქმედა, თუმცა, ვფიქრობ, მძიმე პერიოდი უკვე გადაიტანა. გულით ვუსურვებ წარმატებებს!

**ჩემპიონთა ლიგაზე**

...მგონი, ესაა საუკეთესო ტურნირი კლუბებს შორის. ჩემთვის ეს შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატთან ასოცირდებოდა - უძლიერესი კლუბები თამაშობენ და ყოველ მატჩში ბოლო წამამდე იბრძვი. ჩემპიონთა ლიგაში არაერთი დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩავატარე და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ თასი მოგებული მაქვს, თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან მწყდება გული სამი წაგებული ფინალის გამო. დღემდე ვერ ამიხსნია, რა დაგვემართა "დორტმუნდთან", "რეალთან" და "მილანთან". ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სამივე ფინალის წინ ფავორიტად ჩვენ ვითვლებოდით...

**ევრო 2000-ზე**

...ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჩემთვის გამოწვევა იყო - 33 წლისას ქვეყნის პირველ გუნდში მანდეს ადგილი და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვიყავი. სამწუხაროდ, არც ბელგია-ჰოლანდიაში გამიმართლა - მეგონა, ახლა მაინც გავხდები-მეთქი ჩემპიონი, მაგრამ ფრანგებმა იმარჯვეს. ის, რაც ჩვენ დაგვემართა როტერდამში, ათასში ერთხელ ხდება.

**წლევანდელ სეზონზე**

...ფეხბურთიდან ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში უნდა წავსულიყავი, თუმცა, გადავიფიქრე და კონტრაქტი გავახანგრძლივე. არც მინანია. ახლა ნამდვილად მივდივარ და ვიცი, უფეხბურთოდ ძალიან გამიჭირდება. მიმდინარე სეზონის წინ შეგუებული ვიყავი იმას, რომ იშვიათად ვითამაშებდი - როცა გუნდში ასეთი ძლიერი მცველები არიან, ვეტერანი სხვას რას უნდა ელოდო? ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი ვარ, რომ კარიერას "იუვენტუსის" ფეხბურთელად ვამთავრებ! მადლობა ამ კლუბს ყველაფრისთვის!

**იცოდით?**

...ჩირო ფერარას სამი შვილი ჰყავს: ორი ვაჟი და ქალიშვილი.

..."იუვენტუსის" მცველი სამკერდე ნიშნების მოყვარულია და საკმაოდ დიდ კოლექციასაც მოუყარა თავი. როგორც თავად ამბობს, ყველა იმ ქალაქის სამკერდე ნიშნებს აგროვებდა, სადაც ჩადიოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფეხბურთელები მუდმივად მოგზაურობენ, ადვილი წარმოსადგენია, რატომ ითვლის ფერარას კოლექცია დაახლოებით ორი ათას სამკერდე ნიშანს.

...ფერარა იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანია, რომლებსაც ევროთასებზე ასზე მეტი მატჩი ჩაუტარებიათ. დღესდღეობით მის ანგარიშზე ევროპის საკლუბო ტურნირებზე, ასევე ევროპის სუპერთასზე და საკონტინენტთაშორისო თასზე ჩატარებული 103 მატჩია.

...პაოლო მალდინისა და ალესანდრო კოსტაკურტას მსგავსად, ფერარას ხუთჯერ მოუგია იტალიის სუპერთასი. ეს რეკორდი გახლავთ. ფეხბურთელმა ეს ჯილდო 1990, 1995, 1997, 2002 და 2003 წლებში მოიპოვა.

...სეზონის დასრულებისთანავე ფერარა ნეაპოლის "სან-პაოლოზე" გამოსათხოვარი მატჩის გამართვას გეგმავს, რომელშიც მისი უახლოესი მეგობრები ითამაშებენ: "ნაპოლი" "იუვენტუსს" დაუპირისპირდება. ფერარა ერთ ტაიმს სამხრეთელთა შემადგენლობაში ითამაშებს, მეორეს კი - ტურინელთა შორის. ჩიროს თქმით, მან დიეგო მარადონასაც გაუგზავნა მოსაწვევი.

ინფოთეკა

### ამერიკა გალურჯდება

"დიდი სლემის" ტურნირთაგან ერთ-ერთი - აშშ-ის ღია ჩემპიონატი გარკვეულ რეფორმებს განიცდის. შეჯიბრების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ შეცვალონ კორტების ფერი. ამიერიდან კორტები მწვანის ნაცვლად ლურჯი იქნება. ვარაუდობენ, რომ ამით უფრო მეტ მაყურებელს მიიზიდავენ.

როგორ შეიძლება ამან მაყურებელი მიიზიდოს? როგორ და იოლად. საქმე ის არის, რომ კორტებს სწორედ მაყურებელთა გულისთვის შეუცვალეს ფერი. ამის შემდეგ ისინი ბურთის ტრაექტორიას უფრო კარგად გაარკვევენ და, შესაბამისად, უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს.

ამას გარდა, მოიგებენ ტელემაყურებლებიც, რომლებიც ასევე ხშირად ვერ ამჩნევენ, თუ სად დაეცა ბურთი. მოიგებენ მსაჯებიც, რომლებიც უკეთ დაინახავენ, თუ სად დაეშვა ბურთი - მოედანზე თუ აუტში. საინტერესოა, რომ მოედანი კორტის გარშემო მწვანე ფერის დარჩება. ამის შესახებ განაცხადა აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციის პრესმდივანმა კრის ვიდმაიერმა. აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში 29 აგვისტოს დაიწყება და 11 სექტემბრამდე გაგრძელდება.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 18 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "ატლეტიკო ჯუნიორი" (კოლუმბია) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირველი მატჩი
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:15 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" - "სპორტინგი"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "ატლეტიკო ჯუნიორი" (კოლუმბია) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირველი მატჩი
თავისუფალი დარტყმა
22:05 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - პსვ. პირველი მატჩი
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 თავისუფალი დარტყმა
01:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
12:30 "სარკის წინ"
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:15 სპორტული ცეკვები. "დიდი პრიზი "დინამო". მეორე ნაწილი
15:15 კარატე. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი პირველობა კუმიტეში და გუნდური პირველობა კატაში. ფინალები
16:30 ცხენოსნობა. სტიპლჩეიზი. "Grand National" ლივერპულში
17:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "COLORADO AVALANCHE". მე-6 მატჩი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:15 "სპორტისიმო"
21:00 "ვატერპოლე"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
23:00 "მწვერვალის ინტერესი". "ევერესტის ჩრდილოეთი კედელი"
00:00 ახალი ამბები
00:15 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
01:45 01:45-დან 04:35-მდე შესვენება
04:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სან პაულუ" (ბრაზილია). პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ველორბოლა - იტალიის ტური
17:00 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
20:15 ცხენოსნობა. მულტისპორტი - აი, მესმის!
20:30 მულტისპორტი. VIP საშვი
20:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი
21:15 ცხენოსნობა. შეჯიბრება კონკურში აშშ-ში
23:15 გოლფი. მიმოხილვა
00:45 აფროსნობა
01:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
02:00 ახალი ამბები
02:15 სუმო. ჰარუ ბაშო
03:15 ახალი ამბები

# სატანიზმი ევროპაში II

## სატანა შუა საუკუნეებში



წმინდა ანტონ ეგვიპტელი ებრძვის დემონს.

ეშმაკის გარეგანი სახისა და ხასიათის “დადგენაში” განსაკუთრებით დიდი როლი სამონასტრო საზოგადოებებმა შეასრულეს. ბერებისა და განდეგილების უმრავლესობა დაბალი სოციალური წარმოშობისა იყო. ჩვეულებრივ ისინი ძალიან გაჭირვებულ და სხვადასხვა ასკეტური ბრძოლით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდნენ. ამ დროს ხშირად ეუფლებოდათ ფიზიკური და ფსიქიკური მოშლა, რისი მთავარი დამნაშავე, რა თქმა უნდა, სატანა იყო.

ბერების ფანტაზია იკვებებოდა მოთხრობებით მათი წინამორბედების შესახებ. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო წმინდა ანტონი ეგვიპტელი (251-356), რომლის ცდუნების ამბავს არაერთი ასეკეთის წარმოსახვა შთაუგონებია. მით უმეტეს, რომ “წმინდა ანტონის ცხოვრება”, რომელიც IV საუკუნის 60-იან წლებში დაწერა **ათანასე ალექსანდრიელმა**, ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლასიკური ნაწარმოებია და არა მარტო შუასაუკუნეობრივი ბერებისა და მონაზვნების, არამედ საუკუნეთა განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ევროპელი მხატვრების, მაგალითად, იერონიმე ბოსქისა და სალვადორ დალის შემოქმედების ყურადღების ქვეშ მოქცეულა. თვითონ ანტონი ეგვიპტელი მიიჩნევდა, რომ ეშმაკეული ხილვა ფანტასმაგორიაა და მას უსათუოდ ამარცხებს მხურვალე ლოცვა.

VI საუკუნეში დაიწერა “დიალოგები”, რომელთა ავტორი იყო **გრიგოლი**, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა დიდი წმინდანი, რომის პაპი და ბერძნულ ტრადიციაში გრიგოლ დიალოგოსად წოდებული. დიალოგთა ტექსტი უკვე ამტკიცებს, რომ დემონები ყველგან არიან და ნებისმიერ ფორმას იღებენ. მაგალითად, ერთმა ებრაელმა აპოლონის ტაძარში დემონების ჯგუფიც კი იხილა. VIII საუკუნით დათარიღებულ “წმინდა აფრას ცხოვრებაში” ვხედავთ შავ რქიან და დანაოჭებული კანის მქონე ეშმაკს. X საუკუნეში დაწერილ “წმინდა დუნსტანის ცხოვრებაში” კი ეშმაკს წმინდანი ცხვირში გავარვარებულ მაშას წაავლებს.

მაგრამ ბერულ გარემოში ნელ-ნელა მატულობს პესიმიზმი. X საუკუნემდე ეშმაკის დამარცხება ჯერ კიდევ ადვილი იყო. მაგრამ XIII საუკუნიდან უკვე სხვანაირად ფიქრობდნენ. **ცეზარიუს ჰაისტერბახელი** (1200-1250), რომელმაც დაწერა ძალიან გავრცელებული თხზულება “საუბრები სასწაულებზე”, მოგვითხრობს იმ მრავალგვარ სახეზე, რომელთა მიღება შეუძლია სატანას: ეს ხან შავით მოსილი ზორბა მამაკაცია, ხან ახოვანი ჯარისკაცი, ხანაც ზანგი, ძაღლი, კატა, დათვი, ხარი, კრავი და ა. შ. ამგვარად, სატანა განუწყვეტლად სდევნის ადამიანს. მისი მოქმედების არე და შესაძლებლობა იზრდება: მას ადამიანის ნაწლავებშიც ძალუძს დაბუდება. XIII საუკუნის 70-იან წლებში აბატი რიჰალმუსი აფრთხილებდა თავის საძმოს: დემონები ყველგან არიან, “ისინი ყველას ატყვევებენ მჭიდრო და ნახვრეტებს მოკლებული ხუფის ქვეშ”. მათ მოაქვთ ბოროტი აზრები, ისინი გვიშლიან ლოცვების მოსმენას, მათთან ბრძოლა ძალიან ძნელია.

სატანა თავის ქვეშევრდომ დემონებს აგზავნის ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელ წუთს მისი სულის დასაუფლებლად. გრიგოლ დიალოგოსს მრავალი ამგვარი მაგალითი მოჰყავს: აი, თუნდაც ღვთის მგმობელი ბავშვი, რომელიც მამის მუხლებზე კვდება შავი ჭირისგან და წამდაუწუმ იმეორებს: “ზანგები, ზანგები მოვიდნენ ჩემს წასაყვანად”. ინგლისელი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, **მაღალღირსი ბედა** VIII საუკუნეში აღწერს ერთი მხედართმთავრის სიკვდილს. კარავში მწოლიარეს მას ჯერ ორი ანგელოზი წარუდგა. მათ ხელში ეჭირათ პატარა, მაგრამ მშვენიერი წიგნი — მომაკვდავის კეთილ საქმეთა ნუსხა. მაგრამ მალე დემონთა მთელი ურდო გამოჩნდა. მათ დანახვაზე მხედართმთავარს შიშისგან ელდა ეცა: დემონებს ვეებერთელა მახინჯი ტომი მოჰქონდათ — მის შეცოდებათა სია. დემონები მიმართავენ ანგელოზებს: “რას აკეთებთ აქ? ვერ ხედავთ, რომ ეს კაცი ჩვენ გვეკუთვნის?”. “მართალს ამბობთ!” — პასუხობენ ანგელოზები და ქრებიან. ამის შემდეგ დემონები მომაკვდავს ფეხებსა და თავში ფიწლებს ურტყამენ, ის სულს ლაფავს და ჯოჯოხეთში მიექანება.

საინტერესოა, რომ აქ დემონები უკან აბრუნებენ ღვთის ნების გამტარებელ ანგელოზებს. დუალიზმის გავლენა, როგორც ვხედავთ, ნელ-ნელა სამონასტრო გარემოშიც აღწევს და სატანა თანდათანობით იკრებს ძალას.

რაც შეეხება ეშმაკის არსებობას სახალხო ცნობიერებაში, მისი ყველაზე მკაფიოდ გამომხატველი სფერო თეატრია. საბაზრო მოედნებზე გამართულ სანახაობებში დროთა განმავლობაში სულ უფრო მრავლად გვხვდება ფანტასტიკური ელემენტები. თუ XII საუკუნეში სცენაზე წარმოდგენილ ედემის ბაღში ვხედავთ სატანას, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ახლოსაა მის თეოლოგიურ კონცეფციასთან, XIV-XV საუკუნეებში თეატრალური მისტერიები უკვე ცხოველის ტყავმოსხმულ, რქიან და საშინელსახიან ეშმაკს წარმოგვიდგენს. მიუნხენში 1597 წელს გამართულ წარმოდგენაში ასეთი ურჩხული 300 დემონისაგან შემდგარ რაზმს სარდლობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, სახალხო წარმოდგენებში ეშმაკი ყოველთვის დამარცხებულია, იგი კუდამოძუებული ტოვებს სცენას და მას სახალხო რისხვისა და დაცინვის ქარიშხალი ატყდება თავს.

გასაგებია, რომ ამგვარად საეკლესიო პროპაგანდის მიერ დაშინებული ქალაქის მოსახლეობა გულს იოხებდა. საეკლესიო ტერორით გაუღენთილი ოფიციალური კულტურის საპასუხოდ იბადებოდა სახალხო კონტრკულტურა. აქ სატანას დამცინავ სახელებს არქმევენ: რქიანი, რობინი, გრიპენი, ცალხელა, კოჭლი (ეს ალბათ ჰერმესის შესახებ მითის გამოძახილი იყო). ამ სახელების წარმოთქმა ერთი მხრივ, საეკლესიო ცოდვისაგან ერთგვარი თავის დასაძვრენი იყო, მეორე მხრივ კი შინაურულ იერს ანიჭებდა სატანას.

რქები ეშმაკმა ჩრდილოევროპული პანთეონიდან მიიღო მემკვიდრეობით. საფრანგეთში, ქალაქ არიეჟთან მდებარე, ე. წ. სამი ძმის გამოქვაბულში ამ რქიანი ღმერთის ყველაზე ძველი გამოსახულება მოიპოვება, რომელიც ცხრა ათას წელიწადს ითვლის. გერმანული ღმერთებიც — ტორი, ვოდენი, ცერნუნი — რქიანნი იყვნენ. სხვადასხვა სახის მიღების უნარი კი ქრისტიანულმა სატანამ ცეცხლის გერმანელი ღვთაებისგან, ლოკისაგან მიიღო.

სახალხო შეგნება ეშმაკის ადგილსამყოფელად სხვადასხვა ძნელად მისასვლელ ადგილებს მიიჩნევდა. ევროპულ ტოპონიმიკაში ხშირად გვხვდება სახელები, რომლებიც ითარგმნება შემდეგნაირად: ეშმაკის ხევი, ეშმაკის მთა, ეშმაკის ქვაბი, ეშმაკის ხახა და ა. შ. ეს ხალხური სატანაც საკმაოდ ვერაგია, მაგრამ ცბიერ და მოხერხებულ ადამიანს ადვილად შეუძლია მისი მოტყუება. ასევე ხშირია ევროპაში უცნაური ფორმის ლოდებიც, რომლებზედაც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ეს ქვადქცეული დემონია, რომელიც რომელიღაც ჭკვიანმა და ენამოსწრებულმა გლეხმა მოატყუა.

ამავე დროს, ხალხურ შეგნებაში თანდათანობით ილვიძებს განწყობა, რომელიც გამოხატულია XIII საუკუნის ფრანგულ რომანში “ოკასენი და ნიკოლეტა”: “რა უნდა ვქნა სამოთხეში? სულაც არ მწადია იქ მოხვედრა... იქ მოხუცი მქადაგებლები და მიხრწნილი ხეიბრები არიან, მათ ძველი მოსასხამები და ძონძები აცვიათ. ჯოჯოხეთში მირჩევნია, სადაც ლამაზ სტუდენტებს, ტურნირებსა და ომებში დაღუპულ მშვენიერ რაინდებსა და კეთილშობილ აზნაურებს შევხვდები. იქვე ხვდებიან მშვენიერი ქალბატონები, რომელთაც ქმრების გარდა ორი-სამი საყვარელიც ჰყოლიათ. იქვე იყრის თავს ოქრო და ვერცხლი”.

### მაგია შუა საუკუნეების სამართალწარმოებაში

ევროპული სამართლის დამოკიდებულება მაგიასა და ჯადოქრობასთან რომაულ სამართალს — თეოდოსისა და იუსტინიანეს კოდექსებს ემყარება. ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ რომაული სამართალი უგულებელყოფდა ჯადოქრობას, თუ ის ზიანს არ აყენებდა ადამიანებს ან მათ ქონებას. მაშინ ჯადოქრობა ისჯებოდა სისხლის სამართლით. სასჯელის დადგენისას მნიშვნელობა ჰქონდა თვით ზარალის ოდენობას და არა მისი მიყენების წესს. ადამიანის ან მისი ქონებისადმი მიყენებულ ზიანს ეწოდებოდა “მალეფიციუმი”.

თავდაპირველად მალეფიციუმის ბუნების განსაზღვრისას არანაირი საუბარი არ ყოფილა სატანასთან დადებულ ხელშეკრულებაზე. მღვდლებსაც და “ჯადოქრებსაც” ერთნაირად შეეძლოთ სასამართლო პროცესზე ექსპერტობა.

ვესტგოთების მეფე, ალარიხ II რომაელთა კანონებს მისდევს და მაგიის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულები მის კანონმდებლობაში საერო და არა საეკლესიო ხელისუფლების იურისდიქციაშია. სასჯელი ხშირად ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ არა საკუთრივ მაგიის გამოყენების, არამედ ისევ და ისევ მიყენებული ზარალის გამო. ჩვეულებრივ, VII-IX საუკუნეებში უვნებელი ჯადოქრობისთვის მხოლოდ მსუბუქ საეკლესიო ეპიტიმიას ადებდნენ ხოლმე ერთი ან სამი წლით. ჯადოქრების დაკითხვისას წამების გამოყენების პირველი ცნობა თარიღდება 805 წლით და მოიპოვება კარლოს დიდის კაპიტულარიუმში — ძალიან ძნელი იყო ქრისტიანობის დანერგვა საქსონიასა და ბავარიაში. მაგრამ ამ ცნობასაც თან ახლავს შენიშვნა: წამება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მიმართონ და მისი ბოროტად გამოყენება სასჯელს ექვემდებარება.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯადოქართა და კუდიანთა წამებითა და მკვლელობით მხოლოდ მოსამართლეები და ინკვიზიტორები იყვნენ დაკავებულნი. ადრეულ შუა საუკუნეებში საკმაოდ ხშირად მათ თვით მოსახლეობა უსწორდებოდა. უკვე ე. წ. “ალემანთა პაქტში”, ძველი გერმანული სამართლის ცნობილ დოკუმენტში (613-623 წწ.) არის პუნქტი, რომელიც კრძალავს ჯადოქრობაში ბრალდებულთა თვითნებურ მოკვდინებას. უფრო მეტიც, ჯადოქრობაში ცრუ ბრალდება საკმაოდ დიდი ჯარიმით ისჯებოდა. მეფე როტარის ედიქტი (643 წ.) კრძალავდა კანიბალიზმში ბრალდებული ქალების კოცონზე დაწვას. 775-790 წლებში გამოცემული საქსონური კაპიტულარიუმი კი კრძალავს მოკლულ “ჯადოქართა” შეჭმას. მაშინ ჯერ კიდევ გავრცელებული იყო რწმენა, რომ ადამიანის ღვიძლის ჭამით ღვიძლის პატრონის ნიჭი და ძლიერება შემჭმელზე გადადიოდა.

ამგვარი იყო სახალხო ცნობიერება. რაც შეეხება ოფიციალურ აზრს, იგი საკმაოდ შეიცვალა მას შემდეგ, რაც 850 წელს დამხო ფრანკთა იმპერია და ევროპაში ფეოდალური დაქუცმამცება გაძლიერდა. ვითარება გაამძაფრა იმანაც, რომ 829 წლის პარიზის საეკლესიო კრებაზე გამოცხადდა, რომ ლევიანთა და გამოსვლათა წიგნების შესაბამისი ადგილების ძალით მეფეს უფლება აქვს და ვალდებულიც კი არის დასაჯოს ისინი, ვინც ეშმაკთან კავშირის გამო ბოროტის ქმნას მიჰყო ხელი. მაგრამ მაინც საკმაო დრომ გაიარა მანამდე, სანამ 1022 წელს ცეცხლში დაწვეს ორლეანელ ერეტიკოსთა ჯგუფი — ეს იყო პირველი სიკვდილით დასჯა რელიგიური მოტივით.

### “ბოროტებისა” და “სატანის” ცნებების შინაარსი

ქრისტიანობასა და წარმართობას შორის ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება ისაა, რომ ამ უკანასკნელში “ბოროტების” ცნება სრულიად განცალკევებულია დემონებისაგან — ესენი შეიძლება ბოროტებიც იყვნენ და კეთილებიც. წარმართობა ბოროტებას ხან შემოქმედის ნებისაგან გადახრად მიიჩნევდა, ხანაც თვით შემოქმედების ნაყოფად. იუდაიზმშიც ბაბილონის ტყვეობამდე ბოროტება არ იყო იდენტიფიცირებული ბოროტ სულებთან, ბოროტება საერთოდ არ მიაჩნდათ ქვეყნიერების ერთ-ერთ პრინციპად.



კათარების ციხე-სიმაგრე.

მაგრამ ბაბილონის ტყვეობისას ებრაელთა სარწმუნოებამ ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) დუალისტური გავლენა განიცადა. ტყვეობამდე დაწერილ წმინდა წიგნებში სიტყვა “სატან” მხოლოდ მეტოქეს ნიშნავს და არა აუცილებლად ბოროტ ზებუნებრივ არსებას. მაგრამ წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნში, ნეშტთა წიგნებსა და იობის წიგნში, რომლებიც ტყვეობის შემდეგ დაიწერა და მათში მაზდეანთა ბოროტი ღვთაების, არიმანის გავლენა იგრძნობა, სატანა უკვე სრულიად კონკრეტული ფიგურაა — დასაბამიდან კეთილად შექმნილი და მოგვიანებით განდგომილი სული.

ამ სულის გამგებლობაში იმყოფებოდნენ ბოროტი ძალები, მაგრამ ადამიანთა შორის ეს მეამბოხე ვერ მოიპოვებდა თაყვანისმცემლებს ერთი უბრალო მიზეზის გამო: სატანა ძლიერი იყო, მაგრამ შექმნილი. ეს გარემოება მას იმთავითვე ღმერთზე განუზომლად დაბლა აყენებდა და ბუნებრივიცაა, რომ თაყვანისმცემლები არ ეყოლება მას, ვინც თავიდანვე დამარცხებისთვისაა განწირული.

ქრისტიანობამ ამგვარი წარმოდგენები მიიღო იუდაიზმისგან, მაგრამ დაამატა ორი დეტალი: ლუციფერის მიერ წამოწყებული ანგელოზთა ამბოხება ღვთის წინაალმდეგ და იდეა, რომ ლუციფერი, სანამ სატანად იქცეოდა, იყო უპირველესი და საუკეთესო ანგელოზთა შორის. ამას ამტკციებს, მაგალითად, ტერტულიანე და მრავალი სხვაც.

ამას დაემატა ბოროტების ქრისტიანული კონცეფცია. ბოროტება ეს დამახინჯებული ნებაა: ერთი მხრივ, ლუციფერისა და სხვა “ყოფილი” ანგელოზებისა, მეორე მხრივ კი ადამისა. ღმერთს არ სურს ბოროტება, მაგრამ უშვებს მას, რადგან ნების თავისუფლება მის მიერ შექმნილი ქვეყნიერების მნიშვნელოვანი პრინციპია. ბოროტება პირველი ცოდვის შედეგია, ამიტომაც შეუძლია ამქვეყნიურ ცხოვრებაში სატანას ადამიანების ცდუნება. მისი გავლენა განუზომლად დიდია ერეტიკოსებსა და არაქრისტიანებზე. ეკლესიის სხეულს მოკვეთილი ყოველი ასო სატანის კერძი ხდება.

ერთი სიტყვით, XI-XII საუკუნის თეოლოგიამ საკმარისი საფუძველი შექმნა იმისთვის, რომ ადამიანების ცნობიერება თანდათანობით გადახრილიყო ებრაელთა მიერ უკუგდებული დუალიზმისკენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ დროისთვის ევროპულ საზოგადოებაში გარეგანი საშიშროება თანდათანობით შეცვალა შინაგანმა დაძაბულობამ. გახშირდა მიგრაცია ქალაქებისკენ, შესუსტდა პოლიტიკური სტაბილურობა. თუ ადრე უბედურების მიზეზი ხილული იყო — აღმოსავლეთიდან მოსული ბარბაროსი — მის გაქრობასთან ერთად ადამიანთა მდგომარეობა არ შემსუბუქებულა, უბრალოდ ძნელი აღმოჩნდა მისი გამომწვევი მიზეზების შემჩნევა. სწორედ ამ დროს გრიგოლ VII-ის მიერ რეფორმირებული ეკლესია სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყოველივე არაქრისტიანულს, რაც სატანის ნამოქმედარად შეირაცხება. მდგომარეობას ეს არ ამსუბუქებს: უბრალოდ, ძლიერდება ძალადობა, მაგრამ არ იზრდება მოსავალი, არ სუსტდება ფეოდალური უსამართლობის შეგნება.

ამიტომაც ადამიანი ბუნებრივად მიდის მარტივ, მაგრამ ქრისტიანობის თვალსაზრისით მცდარ დასკვნამდე: ეკლესიას და მასთან ერთად ღმერთს ძალით მისი ტოლი თუ არა, მასთან შესადარი მტერი ჰყავს.

წარმოდგენათა ეს ცვლილება აშკარად შეინიშნება გოთურ არქიტექტურაში, რომელმაც თანდათანობით განდევნა რომანული სტილი. გოთური ტაძრების ქანდაკებებსა და ვიტრაჟებში აშკარად შეიმჩნევა იდეა, რომ ადამიანის ყველა უბედურებას — მოუსავლიანობას, სნეულებას, მარცხს, ამა ქვეყნის ძლიერთა უსამართლობას — ერთადერთი ავტორი ჰყავს: სატანა. იგი პირადად აღწევს ადამიანის ცხოვრებაში, უსაფრდება მას ყველაზე ინტიმურ წუთებში, განმარტოებულ ადგილას და თანდათანობით მოსახლეობის ცნობიერებაში თვითონ იძენს “ადამიანურ” თვისებებს. სატანის ასეთი რწმენა მკვიდრდება 1150 წლისთვის საფრანგეთის სამხრეთით და მდინარე რაინის გასწვრივ, სადაც კათარი მისიონერების ქადაგება განსაკუთრებულად ნაყოფიერ ნიადაგს იპოვის.

### კათართა მოძრაობის როლი

ამ ერესმა ევროპაში პირველად შეგნებულად გამოთქვა იდეა, რომ სატანა თავისი ძლიერებით ღმერთთან ტოლი ან შესადარი მაინც არის. კათართა წიაღიდან და მისი სულიერი მემკვიდრეობის გავლენით წარმოიქმნა მრავალი სხვადასხვანაირი მწვალებლობა და მათ შორის სატანიზმიც.

კათართა რწმენის თანახმად, სწორედ ბოროტმა სულმა შექმნა მატერიალური სამყარო, რომლის დანიშნულება სულთა შემპყრობა და დატყვევება იყო. მას შემდეგ სულები სხეულის საპყრობილეში იტანჯებიან. ზომიერ დუალისტებს მიაჩნდათ, რომ ბოროტი სული ღვთის ქმნილება იყო, რადიკალური დუალისტები კი ფიქრობდნენ, რომ ისიც ღმერთივით შეუქმნელი და მასთან დაუსაბამოდ დაპირისპირებული ძალაა. კათარები ამტკიცებდნენ, რომ ძველ აღთქმაში მოხსენიებული ღმერთი — ამა ქვეყნის შემოქმედი — სწორედ იგია სატანა. გარდა ამისა, ქადაგებდნენ, რომ ძველი აღთქმის ყველა პერსონაჟი, მათთან ერთად კი იოანე ნათლისმცემელი სინამდვილეში დემონები არიან. რაც შეეხება თვით ქრისტეს, იგი, კათართა აზრით, არა განკაცებული ღმერთი, არამედ სრულიად სულიერი არსება იყო, რომელიც სინათლის სულმა მატერიალური სამყაროს ტყვეობიდნა სულიერების გასათავისუფლებლად მოავლინა.

აქედან უკვე გამომდინარეობდა უფრო კონკრეტული შედეგები: კათოლიკური ეკლესია, რომელიც ასწავლის, რომ ქრისტე განკაცებული ღმერთია, სინამდვილეში ეშმაკის იარაღია; ბავშვების გაჩენა ყველაზე მძიმე ცოდვაა, მიუხედავად ქორწინებისა, რადგან ნიშნავს სულის დასატყვევებელი საკნების გამრავლებას; ქრისტე, რადგანაც სული იყო და არა ადამიანი, ჯვარცმისას არ განიცდიდა ფიზიკურ ტანჯვას, ამიტომ ჯვრის თაყვანისცემა უნდა აიკრძალოს; ასევე მცდარია ნათლისღება და ზიარება, რადგან ამ წესების აღსასრულებლად მატერიალური ნივთიერებები გამოიყენება.

კათარები არ ყოფილან ეშმაკის თაყვანისმცემლები — მათ კათოლიკეებზე მეტად სძულდათ სატანა. მაგრამ სწორედ ამ გადამეტებული სიძულვილით, უნებურად, ღვთის სწორი ძალაუფლება მიანიჭეს მას. ასე ხვდება ერთმანეთს და ერთიანდება დაპირისპირებული მხარეები. ეკლესიას ისინი ზედმეტი მატერიალურობისთვის საყვედურობდნენ და ეკლესიასთან ერთად შეიძულეს მის მიერ ნაქადაგევი ზნეობა, თავისივე ბავშვები და საკუთარი სხეულებიც კი. ამ სიძულვილის გამო სექტანტთა ერთი ნაწილი გადაჭარბებულ ასკეტიზმში ცხოვრობდა, მეორე ნაწილი კი, პირიქით, ამქვეყნიური ეშმაკეული მორალის საწინააღმდეგოდ გადაჭარბებულად მისდევდა გარყვნილებას. ასე სურდათ მათ ეშმაკის მიერ დაწესებული აკრძალვების დაძლევა, საკუთარი “სიწმინდის” განცხადება და “ნათელი” მომავლისკენ სწრაფვა.

ამის გამო კათარებს არ მიაჩნდათ ცოდვად ინცესტი, თვითმკვლელობა და მკვლელობაც კი, რადგან ორივე სულს ათავისუფლებდა ხორცის ტყვეობისაგან. მაგრამ მკვლელობას მაინც ყველა ვერ ჩაიდენდა — ამისთვის საჭირო იყო თემის წინამძღოლის, ეგრეთ წოდებული “უცოდველის” განსაკუთრებული ნებართვა. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად კათარებს სძულდათ სატანა, როგორც მატერიალობის შემოქმედი, და გულწრფელად ეთაყვანებოდნენ სიკეთისა და სინათლის ღმერთს.

ამ ტიპის ერესი, რა თქმა უნდა, სატანიზმისგან საკმაოდ შორს იდგა, პირიქით, ეთიკური თვალსაზრისით ყველაზე საშინელი ქმედებები პარადოქსულად იყო მოტივირებული სატანის მიმართ სიძულვილით. მაგრამ კათარებმა მაინც შეამზადეს ნიადაგი სატანიზმის დასამკვიდრებლად.

ჯერ ერთი, მასებში გავრცელდა იდეა ღმერთისა და სატანის თანასწორუფლებიანობაზე. გამოდიოდა, რომ სწორედ სატანა იყო მატერიალური სამყაროს გამგებელი, სწორედ მასზე იყო დამოკიდებული ადამიანური ცხოვრების “აქ” და “ახლა”. თანაც გაუგებარი იყო, ვინ გაიმარჯვებდა სინათლისა და ბოროტების ბრძოლაში. ამიტომაც შუა საუკუნეების ადამიანის ცნობიერებაში ბუნებრივად ჩნდებოდა შეკითხვა: თუ მთელს სამყაროში სატანის ბოროტი ზრახვაა გაბატონებული, სინათლის ხანა კი ვინ იცის როდის მოვა, იქნებ ჯობია პირდაპირ ეშმაკს შევუდგეთ სამსახურში? წარმართები ოდესღაც თაყვანს სცემდნენ ქვესკნელის ბნელ ძალებს, იქნებ ჯობია ჩვენც მათ მაგალითს მივბაძოთ?

მეორეც, თუ დაგარწმუნეს, რომ ძველი აღთქმის ღმერთი, ქვეყნიერების შემოქმედი, სინამდვილეში სხვა არავინაა, თუ არა სატანა, არც არაფერი გრჩება იმის გარდა, რომ თაყვანი სცე. არაფერი იცვლება: მხოლოდ შენი შეგნება გაიწმინდა იმ ორპირობისა და ქარაგმებისგან, რომლებითაც ეკლესია გატყუებდა.

მესამე — სწორედ კორუმპირებული და მჩაგვრელი ეკლესიის წინააღმდეგ სულ უფრო გაძლიერებული რისხვა მომხიბლავს ხდიდა საეკლესიო წესებისა და სიწმინდეების შეურაცხყოფას. ეს ყველაფერი, ქრისტიანული კონტრკულტურის ელემენტები, მომავალში შევა ახლად წარმოქმნილ სატანიზმში.

გარდა ამისა კათართა წიაღიდან წარმოიშვა შუა საუკუნეებში მეტად გავრცელებული, ეგრეთ წოდებული ანტინომინალისტური ერესები: მათი აზრით, როგორც კი ადამიანი შეიგნებს, რომ შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად, მაშინვე იქცევა უცოდველად და მისი ყოველი ქმედება, რაც არ უნდა საშინელი იყოს ეკლესიის თვალში, ღვთის წინაშე მართალია.

სწორედ კათარობის ვულგარულმა გაგებამ და ინტელექტუალურად უფრო დამუშავებულმა ანტინომინალისტურმა ერესებმა მოამზადეს შუა საუკუნეების ევროპაში სატანიზმის დაბადება.

სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გიხერხდებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ ბარკოდით ბლანკი უფასოდ**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ვინაიდან სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსახული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა



1. ძველი რომის იმპერატორი 2. დაუკავებელი თანამდებობა 3. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი 4. დამუხტული ნაწილაკი 5. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 6. მდ. ვოლგის მარჯვენა შენაკადი 7. ფოლადის გამოსადნობი ღუმელი 8. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი 9. ქალაქი სლოვაკიაში 10. სათვალის ნაირსახეობა 11. საბჭოთა რუსი გეოქიმიკოსი და მინერალოგი 12. ფრანგული ვაზის ჯიში 13. მე-19 საუკუნის ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი 14. ბერლინზე გამავალი მდინარე 15. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა საცხოვრებელი 16. სამკარედი 17. ქართველი თვითნასწავლი პრიმიტივისტი მხატვარი 18. მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მე-20 საუკუნის დასაწყისში 19. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი 20. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერალი 21. ლატვიის ფულადი ერთეული 22. სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა 23. ზედა სამოსის ფასონი 24. ძველი მონეტების შემსწავლელი მეცნიერება 25. მაჰმადიანთა ყოველდღიური ლოცვა 26. რქოვანი გამონაზარდი მამალი ფრინველის ფეხზე 27. მცველი, კარისკაცი ქართველი მეფეების კარზე 28. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება 29. იარაღი ხელით სამუშაოსათვის 30. პერუს დედაქალაქი

## TV პროგრამა

18 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "კონი და კარლა" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **23.30** ფეხბურთი. უეფას თასი. "სპორტინგი" -"ცსკა" **03.00** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ბერმუდის სამკუთხედის ფსკერზე" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "რაციო" (განმ.) **16.30** დოკ. ფილმი "ნილოსის წყაროების საიდუმლოება" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მასიური მკვლელობები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** კინოსამყარო "ცუდი ნიშანი" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "მცველი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "ღამის სტუმრები", "შავი, თეთრი, მწვანე", "არასდროს ცხოვრებაში". **00.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაში" (გ) (ტიმ მეტისონი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "პარმის სავანე" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.40, 16.40, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "შეხვედრა ბელვილში" (გ) **14.45, 17.45, 04.40** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 02.15** ქრონიკა **15.20** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **16.00** ფეხბურთი. "დინამო" - "ლოკომოტივი" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.30** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "მაფიის პატარძალი" (15) (ჯ. რობერტსი) **03.00** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.40** კომედიური ბოევიკი "ცუდი ბიჭები-2" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** მხ.ფილმი "დუელანტები" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.15** "ლაშქარი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ.ფილმი "სილვია" **23.00** დოკ. ფილმი "ბანკები" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** დრამა "ბაჭიების გალია" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** Доброе утро **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Многосерийный фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Русалочка". **12.20** Лев Фричинский в комедии **"НАШИ СОСЕДИ". 13.50** Док. фильм "Первая леди в стране Чингисхана". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **19.50** Многосерийный фильм **"МОЯ ГРАНИЦА". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Ударная сила. "Бог войны". **00.30** "Сканер". "Сверхвозможности человека". **01.00** Марио Ван Пиблз в боевике **"СОЛО".** Он - образец нового смертельного оружия, уникальный биоробот. Его имя - Соло, его главная задача - убивать. Он выглядит как человек, но сделан из микросхем. Военные посылают Соло в Латинскую Америку, приказав уничтожить объект накромафии в джунглях. Но заложенная в Соло программа дает сбой. Он начинает чувствовать как человек. А затем отказывается убивать мирных жителей, работающих на плантациях бандитов. Начальство решает уничтожить "бунтаря" и начинает на него охоту... **02.50** Молли Шэннон в комедии **"СУПЕРЗВЕЗДА".** Невзрачная школьница в огромных очках Мэри Кэтрин Галлахэр мечтает в жизни лишь об одном - получить поцелуй от самого красивого юноши. Это должен быть не просто поцелуй, а настоящий - страстный и бесконечный, от которого голова идет кругом. Но целовать бедняжку никто не собирается. И тогда она решает: единственный шанс достичь своей цели - это стать голливудской суперзвездой. К счастью характера и целеустремленности "серой мышке" не занимать... **04.20** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Сериал **"РИЭЛТОР". 13.35** Альберт Филозов в фильме **"ДОПИНГ ДЛЯ АНГЕЛОВ".** Клавдий Иванович Родимцев, специалист планового отдела, всеми силами старается жить честно, поэтому сидит на своих "жалких" 180 рублях оклада. Однажды ночью во сне к нему явился ангел-хранитель, чтобы помочь. Первый дар - коробку с деликатесами, обнаруженную у дверей квартиры, - Родимцев решил отнести на улицу. И оказался... в милиции по подозрению в ограблении ларька. Сантехники по чьему-то указанию затеяли замену сантехники на импортную. Супругу Клавдия вдруг повысили в должности. Вместо дачи-сарая образовался финский домик. А, главное, - спецслужбы предложили Родимцеву провести ревизию учреждения, возглавляемого неким Бесфамильным, при этом отчитавшись о недостаче в 2000 рублей. А на самом деле недостача, выявленная Родимцевым, составила 27 миллионов... **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЛЕХА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: СНАЙПЕР". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.20** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ". 02.30** Бильярд. **03.05** Мелодрама **"ВСЕ ТОЛЬКО ХОРОШЕЕ". 3**-я с. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## აცხადებს კონკურსებს

**კოდი 05-თ-01**

### რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარების მხარდაჭერა.

**კონკურსის მიზანი:**

ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარებას (სადადგმო ხარჯით, სადადგმო ჯგუფების ჰონორარით, ან ხარჯებით მცირე გასტროლებისათვის).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

**კოდი 05-თ-02**

### თეატრალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანი:**

იმ პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების 2005 წლის პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდებიან ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნება იმ პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

**კოდი 05-თ-03**

### ახალი ქართული პიესების კრებულის გამოცემა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - ახალი ქართული პიესების გამოცემა.

**კონკურსის მიზანი:**

დრამატურგიის განვითარების ხელშეწყობა, ახალი ქართული პიესების კრებულის გამოცემა და ახალი ქართული პიესებით ქართული თეატრის რეპერტუარის შევსება

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 31 ივლისი**

**კოდი 05-მ-01**

### პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტი

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსებში) მონაწილე პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტებით ხელშეწყობა

**კონკურსის მიზანი:**

პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებში (საერთაშორისო ფედერაციის წევრი კონკურსები) მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, პროფესიონალი მუსიკოს-შემსრულებლების სამგზავრო გრანტით ხელშეწყობა, შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლება, ქართველ მუსიკოსთა წარმოჩენა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სივრცეში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილი იქნება მომწვევი მხარის ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2. 500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

**კოდი 05-მ-02**

### მუსიკალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**

იმ პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების 2005 წლის პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდებიან ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში, გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნება პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში მუსიკალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

**კოდი 05-ს 01**

### თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

**კონკურისის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი - ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია.

**კონკურსის მიზანია:**

მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს თანამედროვე სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციასა და ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში.

**კონკურსის პირობები:.**

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, კერძო პირს, საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

**კოდი 05-ს 02**

### საქართველოში სახვითი ხელოვნების გამოფენების ხელშეწყობისათვის

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი - საქართველოში სახვითი ხელოვნების გამოფენების ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანია:**

მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენების მოწყობას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გამოიწვევენ შემოქმედთა სტიმულირებას, სახვითი ხელოვნების ახალი მიმართულებების და სახეების წარმოჩენას, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

**კონკურსის პირობები:**

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, კერძო პირს, საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

**კოდი 05-ს 03**

### სახვითი ხელოვანების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშესაწყობად

**კონკურისის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი: თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა.

**კონკურსის მიზანია:**

კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა და თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.

**კონურსის პირობები:**

წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოთჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების დარგობრივი კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**სამინისტროში განსახილველად პროექტის წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

***კონკურსების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ხელოვნების დეპარტამენტი, ტ. 99-03-06, ორშაბათს და ოთხშაბათს 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4***

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12 სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში.**




# ფემინისტმა აშშ-ის პრეზიდენტზე წიგნი გამოსცა

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ ქლინთონი თავის პოლიტიკურ სტატუსს სუსტი სქესის წარმომადგენელთა წინააღმდეგ იყენებდა. ამის შესახებ დეტალურად მოგვითხრობს წიგნი "ცხოვრებიდან: ქალები ქლინთონის გავლენის ქვეშ", რომლის ავტორიც კენდის ჯექსონია.

პოლიტიკოსის მსხვერპლებს შორის უბედურებაში გახვეული ქვრივი, ჯანდაცვის სისტემაში ატეხილ სკანდალზე მომუშავე ჟურნალისტი და პრეზიდენტის ყოფილი საყვარლის ოჯახის წევრები არიან. ჯექსონის თქმით, ბილ ქლინთონი დევნიდა ნებისმიერ ქალს, რომელიც მის პოლიტიკურ კარიერას საფრთხეს უქმნიდა. "ბუნებრივია, ისეთი ცივსისხლიანი ადამიანი როგორიც ბილ ქლინთონია, პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებისთვის მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა. ის მხოლოდ ამ გზით შეინარჩუნებდა ხელისუფლებას," - ამტკიცებს ჯექსონი.

ავტორი მიიჩნევს, რომ წიგნი, რომელიც აშშ-ის მაღაზიების თაროებს 31 მაისიდან დაამშვენებს, ერთგვარი გაგრძელებაა თავად ქლინთონის მიერ გამოცემულ 950-გვერდიანი მემუარებისა (ამავე დღეს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ავტობიოგრაფიული ხასიათის სქელყდიანი წიგნის პრეზენტაციაც გაიმართება). წიგნში "ცხოვრებიდან" შესულია იმ რვა ქალის მონათხრობი, რომლებმაც ქლინთონი არა მხოლოდ ახლოს გაიცნეს, არამედ მისი ვნებაც დააკმაყოფილეს.

წიგნის გმირები მიესალმებიან ახალ გამოცემას. ერთ-ერთმა ქალბატონმა, კეტლინ ვილეიმმა, ქლინთონს სექსუალური ახირებების მონა, წიგნს "რეალურ კოშმარის ამსახველი გამოცემა" უწოდა. პრეზიდენტის მიერ გაუპატიურებული ხუანიტა ბროადრიკი კი მასზე დაწერილ წერილებს "მოვლენათა ზუსტ ქრონოლოგიად" აფასებს.

თავად ავტორი, ლოს-ანჯელესში მომუშავე იურისტი კენდის ჯექსონი თავს ფემინისტად მიიჩნევს.










